

სოციალურ

მეცნიერებათა

ვექტორები

N 4, 2022



**V**ECTORS OF  
SOCIAL SCIENCES



საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი  
INTERNATIONAL SCIENTIFIC PEER-REVIEWED JOURNAL

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს  
სამეცნიერო ჟურნალი

# სოციალურ მეცნიერებათა ვექტორები

საერთაშორისო სამეცნიერო რეცენზირებადი  
ჟურნალი

N 4 2022

თბილისი 2022

## **სარედაქციო კოლეგია**

### **ანა ფირცხალაშვილი**

სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ვიცე-რექტორი სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით (თავმჯდომარე)

### **გიორგი ლავთაძე**

დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ვიცე-რექტორი სასწავლო მიმართულებით

### **ბოდუარი ბუაშვილი**

დოქტორი, ასოც. პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით

### **საშა ფლემინგი**

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, bbw Gruppe გენერალური დირექტორი. განათლების კვლევის და ადმინისტრირების ინსტიტუტის დირექტორი. ბერლინისა და ბრანდენბურგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი.

### **შოთან შლენაერ**

აღმოსავლეთ შვეიცარიის უნივერსიტეტის პროფესორი, დოცენტი

### **ეპარტი კლაინი**

ემ. პროფესორი, პოტსდამის უნივერსიტეტი. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამფუძნებელი დირექტორი

### **მარტინ დალი**

ლაზარსკის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, დოქტორი, პოლონეთის უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული აკრედიტაციის საბჭოს წევრი

### **ანდრეა აპოლონი**

რომის ტორ ვერგატას უნივერსიტეტის პროფესორი

### **ჯოაჰან ფრანსკე**

პროფესორი, დოქტორი, პოტსდამის უნივერსიტეტის ლექტორი, პოტსდამის უნივერსიტეტთან არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის კვლევის ინსტიტუტის გამგეობის წევრი.

### **მარკუს კერბერი**

სამართლის დოქტორი, ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის, ეკონომიკური სამართლისა და ეკონომიკურ სწავლებათა ინსტიტუტის პროფესორი.

### **ნუსტინა ბოკაიო**

დოქტორი, ვროცლავის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და ევროპული ინტეგრაციის კვლევების დეპარტამენტი.

### **ეკატერინა ქარდავა**

სამართლის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი, საჯარო სამსახურის ბიუროს თავმჯდომარე.

## დარგობრივი მიმართულებები:

### სამართალი

მიმართულების თავმჯდომარე: სერგო ჭელიძე  
მიმართულების ედიტორები: თეა ჯუღელი  
ბესიკ ლოლაძე  
გიორგი ციციანი

### ეკონომიკა

მიმართულების თავმჯდომარე: თენგიზ თაქთაქიშვილი  
მიმართულების ედიტორები: ლაშა ზივზივანიძე  
პაატა შურდია  
დავით ჩახვაშვილი

### ადმინისტრირება/მართვა

მიმართულების თავმჯდომარე: რუსუდან ბერიაშვილი  
მიმართულების ედიტორები: ლარისა პატარია  
ლევანი დუნდუა  
ია წულაია  
თამარ კაკუტია

### ფსიქოლოგია

მიმართულების თავმჯდომარე: ნოდარ სარჯველაძე  
მიმართულების ედიტორები: მადონა კეკელია  
ინა შანავა  
გიორგი დონაძე  
ლია ქურხული

### ჟურნალისტიკა

მიმართულების თავმჯდომარე: თინათინ ზაქარაშვილი  
მიმართულების ედიტორები: ია მახარაძე  
მარინე გერმანიშვილი

### პოლიტიკის მეცნიერებები

მიმართულების თავმჯდომარე: აკაკი აბზიანიძე  
მიმართულების ედიტორები: ეკა დარბაიძე  
მარინე იტრიაშვილი  
ქრისტინე მაჭარაშვილი

## თექნიკური რედაქტორი:

ანა ცეცხლაძე

ISSN 2667-9892

DOI: <https://doi.org/10.51895/VSS>

უაკ (udc) 001.5 ს 75

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

რედაქციის აზრი შეიძლება, არ ემთხვეოდეს ავტორისას. სტატიაში მოყვანილი ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

## **სარჩევი**

### ***ადმინისტრირება და მართვა***

<b>დავით ჩახვაშვილი, თეონა მაისურაძე</b> პერსონალის ლოიალობა, როგორც კომპანიის სტაბილურობის ფაქტორი	<b>6</b>
<b>სოფო ვასაძე</b> სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მნიშვნელობა და როლი უმალესი განათლების სფეროში	<b>18</b>

### ***სოციალური მუშაობა***

<b>გაბრიელა შმიდი, რუდი მაიერი, ანა ფირცხალაშვილი, ნია ძერია</b> ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის არსებული მექანიზმის გამოწვევები კოვიდ -19 პანდემიის პირობებში საქართველოსა და შვეიცარიაში	<b>32</b>
---	-----------

### ***პოლიტიკის მუხნიერებები***

<b>ვაჰე დავითიანი, სილვა ხაჩიკიანი</b> აშშ-ს ენერგეტიკული დიპლომატია მსოფლიო ენერგეტიკული ბაზრების ტრანსფორმაციის პირობებში (სამხრეთ კავკასიის ვექტორი)	<b>48</b>
<b>მარიამი ბაზერაშვილი</b> რუსეთ-უკრაინის ომის ზეგავლენა რუსეთ-სირიის ურთიერთობებზე	<b>66</b>

### ***ჟურნალისტიკა***

<b>თინათინ მაჭარაშვილი, ნათია სვანიძე, თორნიკე კაკალაშვილი</b> ღია პოლიტიკური რეკლამის დაფარული მნიშვნელობები (2014-2021 წლების ქართული სატელევიზიო პოლიტიკური რეკლამების მაგალითზე)	<b>78</b>
<b>მარიამ ადამაშვილი</b> რელიგიური საკითხები ქართულ მედიაში რაოდენობრივი კვლევის ანალიზი	<b>94</b>

# ანდამინისტრირება/ მართვა



## პერსონალის ლოიალობა, როგორც კომპანიის სტაბილურობის ფაქტორი

### დავით ჩახვაშვილი

პროფესორი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### თეონა მაისურაძე

პროფესორი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

ორგანიზაციების მხრიდან თანამშრომელთა ლოიალობის საკითხისადმი მზარდი ინტერესი იმით არის განპირობებული, რომ დღესდღეობით პერსონალი ნებისმიერი ორგანიზაციის ყველაზე ღირებული რესურსია. ორგანიზაციის თანამშრომლების ჭეშმარიტი სურვილი, ხარისხიანად შეასრულონ თავიანთი სამუშაო, ორგანიზაციის წარმატებული ფუნქციონირების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. ორგანიზაციის სტაბილური განვითარებისთვის დაცული უნდა იყოს გარკვეული ბალანსის პრინციპი: ანუ კომპანიას უნდა ჰყავდეს ლოიალური მომხმარებლები, ლოიალური პერსონალი და ლოიალური ინვესტორები. უშუალო ურთიერთობა კომპანიის თანამშრომლების კმაყოფილებას, რომლებიც კონტაქტში არიან მომხმარებლებთან და თავად მომხმარებლების კმაყოფილებას შორის, ერთად განაპირობებს კომპანიის ფინანსურ წარმატებას ბაზარზე. ორგანიზაციაზე პერსონალის ზემოქმედების ეკონომიკური ეფექტურობის გაცნობიერებით, მომხმარებელთა ლოიალობაზე და პერსონალის მოტივაციის მნიშვნელოვნების გააზრებით, აუცილებელი ხდება თანამშრომლებისთვის ხელსაყრელი, შეიძლება ითქვას მიმზიდველი და კომფორტული სამუშაო პირობების შექმნა.

არჩეული საკითხის აქტუალობა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა კომპანიის სტაბილიზაციის მაჩვენებელია ორგანიზაციის მომგებიანობა, რაც, თავის მხრივ, პირდაპირ დამოკიდებულია თანამშრომლების ეფექტურობაზე. სამუშაო პროცესში ადამიანების მიერ მიღწეული შედეგები დამოკიდებულია არა მხოლოდ მათ ცოდნაზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე, არამედ თანამშრომლების სურვილზე, იმუშაონ ორგანიზაციის სასარგებლოდ.

**საკვანძო სიტყვები:** პერსონალის ლოიალობა, კომპანიის მომგებიანობა, პერსონალის შეფასება, ორგანიზაციის სტაბილურობის ფაქტორი, პერსონალის ლოიალობის შეფასება, პერსონალის ლოიალობის ფორმირება.

### შესავალი

ბევრ თანამედროვე ორგანიზაციაში მწვავედ დგას პერსონალის დენადობის პრობლემა, რაც უარყოფითად აისახება მთლიანად ორგანიზაციის საქმიანობაზე. თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლება ორგანიზაციისთვის ყოველთვის არის კრიზისი მიკრო დონეზე და ახალი კანდიდატის პოვნისა და მომზადების ხარჯები მნიშვნელოვნად მოქმედებს წარმოების პროცესის სტაბილურობაზე. „ამიტომ მენეჯმენტს მეცნიერულ დონეზე სჭირდება

პერსონალის შენარჩუნების პროცესის მართვა, რასაც უფრო ხელს უწყობს ორგანიზაციაში ლოიალური პერსონალის პოლიტიკის შემუშავება“.<sup>1</sup>

თანამედროვე ორგანიზაციისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პერსონალის მართვის სისტემის გაუმჯობესება, თანამშრომლების შესაძლებლობებისა და პროფესიონალიზმის განვითარებაში ინვესტირება, პერსონალის შემოქმედებითი ინიციატივისა და ორგანიზაციული საქმიანობის წახალისება და გუნდში ხელსაყრელი ატმოსფეროს შექმნა. სწორედ ამიტომ, ორგანიზაციაში პერსონალის ლოიალობის ჩამოყალიბება აუცილებელი პირობაა ორგანიზაციის წარმატებული ფუნქციონირებისთვის და სტაბილიზაციის ეტაპზე გადასასვლელად.

პირველი ცნობები პერსონალის მოტივაციასა და სტიმულირებაზე, რომელიც გავლენას ახდენს კვლევის თემაზე, გვხვდება მე-20 საუკუნის დასავლელი და ამერიკელი მკვლევარების ნაშრომებში - ა. მასლოუ, ფ. ჰერცბერგი, კ. არგირისი, დ. მაკრეგორი და სხვები.

პერსონალის ლოიალობის კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები ჩამოყალიბებულია უცხოელი ავტორების: მ. არმსტრონგის, დ. დროუბის, ფ. რაიხელდის, ლ. ტურსტონის, ჯ. ჰესკეტის, ლ. შლეზინგერის და სხვათა ნაშრომებში.

ქართული და უცხოური წყაროების ანალიზმა აჩვენა, რომ ბევრ თანამედროვე ორგანიზაციაში მენეჯერები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ პერსონალის მენეჯმენტის პროცესს, არ ფიქრობენ კომპანიის ფინანსური სტაბილურობის პირდაპირ დამოკიდებულებაზე მათი პერსონალის კმაყოფილებაზე და ლოიალობაზე.<sup>2</sup>

მოცემული სტატიის ამოცანაა 2021 წელს ჩატარებული კვლევის გაშუქება. კვლევის მიზანი იყო: შეიმუშაოს ღონისძიებათა ნაკრები შპს „ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტის“ პერსონალის ლოიალობის ფორმირებისთვის ორგანიზაციის სტაბილურობის მიზნით.

ამ მიზნის მისაღწევად საჭირო გახდა მთელი რიგი ამოცანების გადაჭრა, კერძოდ:

- კომპანიის სტაბილიზაციის კონცეფციისა და ძირითადი ფაქტორების შესწავლა;
- სტაბილიზაციის ფაქტორად განიხილოს პერსონალის ლოიალობა;
- პერსონალის ლოიალობის დონის შეფასებისა და გაზომვის მეთოდების შესწავლა;
- შპს „ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტის“ ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობის აღწერა;
- შპს „ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტის“ საკადრო შემადგენლობის ანალიზი;
- ორგანიზაციაში პერსონალის ლოიალობის დონის შეფასება;
- პერსონალის ლოიალობის გაზრდის მიზნით კომპანიის სტაბილიზაციის მიზნით რეკომენდაციების მომზადება;

<sup>1</sup> Maloney, D., Effective project management: the gift that keeps on giving. <https://slack.com/collaboration/effective-management>. 2019 [უ.გ.04.11.2022].

<sup>2</sup> Osborne, S., Hammoud, M. S., „Effective Employee Engagement in the Workplace“. International Journal of Applied Management and Technology. 2017 [უ.გ.04.11.2022].



- შპს „ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტის“ პერსონალის ლოიალობის გასამყარებლად ღონისძიებების შემუშავება;

- შემოთავაზებული რეკომენდაციების განხორციელების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტურობის განხილვა და ჩატარებული სამუშაოების სამეცნიერო გამოცემებში გაშუქება.

კვლევის ობიექტად შეირჩა „ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი“, რომლის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ბახტრიონის ქუჩა 10.

კვლევის საგანი იყო „ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტის“ პერსონალის ლოიალობის სისტემა.

პრობლემების გადაჭრის პროცესში გამოყენებული იქნა ანალიზის, მონაცემთა სინთეზისა და განზოგადების მეთოდები სპეციალიზებული პერიოდული გამოცემების, სამეცნიერო ლიტერატურის, ინტერნეტ წყაროების მასალების შესწავლის საფუძველზე; სტატისტიკური ანალიზი; ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ პირველადი ინფორმაციის ანალიზი; სამეცნიერო წრეებში განხილვის მეთოდი.

კვლევის საინფორმაციო ბაზად გამოყენებული იქნა სპეციალიზებული ქართულენოვანი და უცხოური გამოცემების მასალები განსახილველ თემაზე, ავტორების საკუთარი კვლევის შედეგები, ასევე ინტერნეტში წარმოდგენილი კვლევითი ნაშრომების მასალები.

კვლევის პროცესში ჩამოყალიბდა და გამოიკვეთა მისი სამეცნიერო სიახლე:

- ორგანიზაციის სტაბილიზაციის კონცეფციის შესწავლისას სტაბილიზაციის ფაქტორად დასაბუთებულია პერსონალის ლოიალობა;

- შპს „ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტის“ პერსონალის ლოიალობის დონის შეფასებისას გამოკითხვისა და წმინდა ლოიალობის ინდექსის გამოყენებით გაზომვის მეთოდით არგუმენტირებული იქნა პერსონალის ლოიალობის როლი ორგანიზაციის სტაბილურობაში;

- შემუშავდა ღონისძიებების მთელი რიგი პერსონალის ლოიალობის გასაძლიერებლად შპს „ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტის“ სტაბილურობისთვის.

შესავალი ნაწილის შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობდა შემუშავებული რეკომენდაციების და შემოთავაზებული ზომების შემოღების შესაძლებლობაში პერსონალის ლოიალობის ფორმირებისთვის, რათა მოხდეს ორგანიზაციის („ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტის“) სტაბილურობის ზრდა.

## 1. ორგანიზაციის სტაბილურობაზე მოქმედი ფაქტორები

დღესდღეობით, ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ეტაპზე, არსებულ კრიზისულ ვითარებაში, მხოლოდ საწარმოების სტაბილურ და კონკურენტუნარიან ფუნქციონირებას შეუძლია უზრუნველყოს როგორც საკუთარი ფინანსური სტაბილურობა და სახელმწიფოს მდგრადი განვითარება, ისე მთლიანად რეგიონის სტაბილურობა და საინვესტიციო მომხიბვლელობა.

ენციკლოპედიური ლექსიკონის თანახმად, სტაბილიზაცია (ლათინური stabilis - სტაბილური) არის მდგრადობის ზრდა, მუდმივ მდგომარეობამდე მიყვანა ან ამ მდგომარეობის

შენარჩუნება, ანუ მუდმივი, უცვლელი, რაც დიდხანს ინარჩუნებს განსაზღვრულ მდგომარეობას, დონეს და სხვა.<sup>3</sup>

სტაბილურობა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ეკონომიკური სისტემის რეცესიის თავიდან აცილებას, გარკვეული მაჩვენებლების გარკვეულ დონეზე დაფიქსირებას და ზოგადად აქტივობის გაუმჯობესებას.

ეკონომიკური სუბიექტების აქტივობის დონეზე სტაბილიზაცია არის ეტაპი, როდესაც კომპანია იკავებს გარკვეულ ნიშას ბაზარზე და ბიზნესის მიზანია პოზიციების შენარჩუნება იმავე დონეზე და მიღწეული პოზიციის შენარჩუნება.

სტაბილიზაციის მახასიათებლებია:

- ფინანსური მაჩვენებლების სტაბილურობა;
- ზრდის ტემპების შენელება;
- პერსონალის რაოდენობის სტაბილურობა;
- ბიზნეს პროცესების ფორმალიზაცია;
- კომპანიის ფილიალების გახსნა.<sup>4</sup>

მრავალი კომპანიის მიზანი, რომელიც ბაზარზე მაღალი ზრდის ტემპით შემოდის, არის სტაბილიზაციის სტადიის მიღწევა. კომპანიის ეკონომიკური საქმიანობის სტაბილიზაციის შესახებ მენეჯმენტის გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ, მენეჯმენტმა უნდა შეაგროვოს დეტალური ინფორმაცია საწარმოში არსებული მდგომარეობის შესახებ და შეიმუშაოს ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა. ამ ოპერაციას შეიძლება ეწოდოს ორგანიზაციის ეკონომიკური საქმიანობის შიდა აუდიტი. აუდიტის ჩატარება შესაძლებელია როგორც დამოუკიდებლად, ასევე აუტსორსირებული სპეციალისტების დახმარებით. მეორე ვარიანტი შესაფერისია მენეჯერებისთვის, რომლებსაც არ აქვთ საკმარისი პროფესიული უნარები ფინანსების სფეროში.

კომპანიის ეკონომიკური საქმიანობის სტაბილიზაციის პროცესის პირველი ეტაპი არის ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება სხვადასხვა წყაროდან ორგანიზაციის მომავალ მუშაობაზე მენეჯმენტის გადაწყვეტილებების მისაღებად.

სტაბილიზაციის პროცესის მეორე ეტაპი არის ადრე შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე ორგანიზაციის ყველა კომპონენტის სტაბილურობის ანალიზი. ამ ეტაპის შედეგია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის მახასიათებლების მიღება.

მესამე ეტაპი არის ორგანიზაციის სტაბილურობის მართვის მიზნის განსაზღვრა, ასევე მიზნის მიღწევის ძირითადი ინსტრუმენტების განსაზღვრა. დასახული მიზნების მიღწევა შესაძლებელია ფინანსური, საკრედიტო, საფასო, მარკეტინგული პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით და ა.შ.

ორგანიზაციის ეკონომიკური საქმიანობის სტაბილიზაციის შემდეგი ნაბიჯი არის დაგეგმვა. ეს პროცესი არის ორგანიზაციის ყველა სტრუქტურული განყოფილების მუშაობის

<sup>3</sup> Uribe, L., The Importance of Employee Loyalty and How To Improve It. (By Indeed Editorial Team). <https://www.indeed.com/career-advice/career-development/importance-of-employee-loyalty>, 2019 [უ.გ.04.11.2022].

<sup>4</sup> Barman, J. P., Employee Loyalty- 3 Things to Understand & How to Improve It. (Employee Engagement). <https://vantagecircle.com/employee-loyalty>, 2022. [უ.გ.04.11.2022].

კოორდინაციის მეთოდი. დაგეგმვა საშუალებას გაძლევთ დაადგინოთ, განმარტოთ და გადაჭრათ ორგანიზაციის ამოცანები კონკრეტული მიზნების გათვალისწინებით, ასევე განსაზღვროთ მათი განხორციელების საშუალებები, მეთოდები და დრო. მთელი ორგანიზაციის საქმიანობის დაგეგმვა საშუალებას აძლევს მენეჯმენტს გააცნობიეროს მისი მოძრაობის ვექტორი, განსაზღვროს პროცესების გავლენა კომპანიის შედეგებზე და ასევე მიაწოდოს ინფორმაცია შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად.<sup>5</sup>

მეხუთე ეტაპი არის მდგრადობის ახალი დონის პროგნოზირება, რომლისკენაც იქნება მიმართული მოძრაობის ვექტორი წინა ეტაპზე გეგმების შესრულების შედეგად. ეს არის სტაბილიზაციის პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული ეტაპი, რომელიც მოითხოვს ფინანსური მენეჯერის მაღალ პროფესიონალიზმს. სწორედ ამ ეტაპზე ყალიბდება ორგანიზაციის ბიუჯეტი, რაც ნათლად აჩვენებს ორგანიზაციის მიზნების მიღწევის შესაძლებლობებს.

ამ ეტაპის შედეგად თითქმის ყოველთვის საჭიროა კორექტირება, რაც არის საქმიანობის სტაბილიზაციის შემდეგი ეტაპი. კორექტირების ეტაპის არსი არის სასურველი მდგომარეობის მიახლოება კომპანიის რეალურ შესაძლებლობებთან. ამ ეტაპის შედეგად ორგანიზაციის ყველა პასუხისმგებელი პირი ეცნობა ორგანიზაციის ეკონომიკური საქმიანობის სტაბილიზაციის საბოლოო გეგმას.<sup>6</sup>

ხოლო, სტაბილიზაციის პროცესის ბოლო ეტაპი არის შედეგების კონტროლი და ანალიზი. ანალიზი ტარდება ორი გზით:

- 1) დასახული მიზნების შედარებით პროცესის განხორციელებისას მიღებულ შედეგებთან;
- 2) ორგანიზაციის სტაბილურობის სრული შეფასებით (გახდა თუ არა იგი მდგრადი გარე და შიდა ფაქტორებთან მიმართებაში).

ორგანიზაციის ფინანსურ სტაბილურობაზე, რომელიც სტაბილიზაციის პროცესის საფუძველია, გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორების უზარმაზარი მრავალფეროვნება. მათ შორის გამოიყოფა შიდა ფაქტორები, რომლებიც პირდაპირ არის დამოკიდებული თავად ორგანიზაციის საქმიანობის მართვაზე, მუშაობის ორგანიზებაზე და გარე ფაქტორებზე, რომელთა შეცვლა საერთოდ არ ექვემდებარება ორგანიზაციის მენეჯმენტის ძალისხმევას.

ორგანიზაციის სტაბილურობაზე მოქმედი გარე ფაქტორები იყოფა ჯგუფებად.<sup>7</sup>

- 1) ეკონომიკური ფაქტორები პირდაპირ გავლენას ახდენს ფირმის ეფექტურობაზე. თავის მხრივ, ეკონომიკური ფაქტორები იყოფა ფინანსური სისტემის მდგომარეობის ფაქტორებად და ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობის ფაქტორებად.

ქვეყნის ფინანსური სისტემის მდგომარეობის ფაქტორებს შორისაა ინფორმაციული პროცესები და მასთან დაკავშირებული ინფლაციური მოლოდინები, საქართველოს სახელმწიფოს რეფინანსირების განაკვეთი, საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალური ბანკის პოლიტიკა, საკრედიტო ინსტიტუტის განვითარების ხარისხი და ა.შ.

---

<sup>5</sup> Luong, S., 6 Reasons Why Corporations Should Care About Employee Loyalty. (The Qualities of a Loyal Employee). <https://www.viktorwithak.com/employee-loyalty-and-why-it-matters>, 2018. [უ.გ.04.11.2022].

<sup>6</sup> Kreacic, A., Employee Loyalty is your Most Important Resource. (Management & Leadership Coaching). <https://www.gbcorporat.com/blog/employee-loyalty-is-your-most-important-resource>, 2021 [უ.გ.04.11.2022].

<sup>7</sup> Nawrat, A., Employee loyalty is only short-term. (It isn't stopping them looking for new jobs elsewhere). <https://www.unleash.ai/company-culture/employee-loyalty-is-only-short-term>, 2021. [უ.გ.04.11.2022].

ზოგადი ეკონომიკური ფაქტორები ხასიათდება ეკონომიკური ზრდის ტემპით, სასაქონლო მწარმოებლების საინვესტიციო მიმზიდველობით შიდა ბაზარზე, ეკონომიკაში ციკლური რყევებით და ქვეყნის საგადასახადო ბალანსის მდგომარეობით.

2) კონკურენტი კომპანიების საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტორები, რომლებიც აწარმოებენ მსგავს ან მონათესავე პროდუქტებს. ფაქტორების ეს ჯგუფი საშუალებას აძლევს ორგანიზაციის მენეჯმენტს შეადაროს სხვა კომპანიებში ადმინისტრაციული და ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზება, გამოავლინოს ორგანიზაციის მახასიათებლები, შეაფასოს კომპანიის მარკეტინგული პოლიტიკა კონკურენტების ანალიზით - ბენჩმარკინგი.

3) სოციალურ-დემოგრაფიული ფაქტორები დაკავშირებულია ცხოვრების წესის, მუშაობის, მოხმარების ჩამოყალიბებასთან. ფაქტორების ეს ჯგუფი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობაზე. ახალი ტენდენციების გაჩენა იწვევს მოხმარების ახალი ტიპის შექმნას, ანუ ჩნდება სხვა საქონლისა და მომსახურების საჭიროება, რაც დიდ გავლენას ახდენს ორგანიზაციის საქმიანობაზე.<sup>8</sup> იგი მოიცავს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა დემოგრაფიული მდგომარეობა, უმუშევრობის დონე, მოსახლეობის შემოსავლის დონე, მოსახლეობის გადახდისუნარიანობა, ფასეულობათა სისტემა, რომელიც ხდება საზოგადოებაში და ა.შ.

4) სამეცნიერო და ტექნიკური ფაქტორები ხელს უწყობს გარკვეული ინდუსტრიების ან კონკრეტული ორგანიზაციების სწრაფ განვითარებას. ამავდროულად, ფაქტორების ამ ჯგუფმა შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს სხვა ორგანიზაციების განადგურებაზე. ეს გამოწვეულია სამეცნიერო და ტექნიკური ფაქტორების გავლენის გაურკვეველობით. ერთი მხრივ, სამეცნიერო განვითარების ახალი ტექნოლოგიების გამოყენება მათ საქმიანობაში საშუალებას აძლევს ორგანიზაციის უზრუნველყოს პროდუქციის კონკურენტუნარიანობა; ახალ ბაზრებზე შესვლა. მეორე მხრივ, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, სხვადასხვა მეცნიერული განვითარების გამოყენება ხშირად იწვევს მიმდინარე ბრუნვიდან თანხების დიდი ხნით გადატანას. ეს განპირობებულია კაპიტალის მნიშვნელოვანი ინტენსივობით და ახალი ტექნოლოგიების გრძელვადიანი გამოყენებით. ამ უკანასკნელის გამოყენების შედეგი შეიძლება იყოს როგორც მაღალი მოგების მიღება, ასევე მნიშვნელოვანი ზარალის მიყენება მათი არაანაზღაურების გამო.<sup>9</sup>

5) საერთაშორისო ფაქტორები, რომლებიც მოიცავს მსოფლიო ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციას, ცალკეული სახელმწიფოების ეკონომიკური ძალაუფლების ზრდას, საერთაშორისო ფინანსური სისტემის ჩამოყალიბებას, ახალი დიდი ბაზრების გაჩენას, დოლარისა და ევროს ცვლილებას მსოფლიო ბაზარზე.

6) პოლიტიკური და სამართლებრივი ფაქტორები პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებასთან და სახელმწიფო ორგანოების საქმიანობასთან. ფაქტორების ამ ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული საკანონმდებლო საზღვრები არეგულირებს ეკონომიკური სუბიექტების მოქმედებას სახელმწიფოს ბერკეტების შესუსტებით ან გამძლიერებით. პოლიტიკურ და სამართლებრივ ფაქტორებს მიეკუთვნება პოლიტიკური სტაბილურობა

<sup>8</sup> De Castro, A., 6 Strategies for Building Employee Loyalty. (To develop loyalty among employees and encourage them to stay, company leaders need to meet workers' basic needs). <https://www.shrm.org/hr-today/news/all-things-work/pages/six-strategies-for-building-employee-loyalty.aspx>, 2022. [უ.გ.04.11.2022].

<sup>9</sup> Barman, J. P., Employee Loyalty- 3 Things to Understand & How to Improve It. (Employee Engagement). <https://vantagecircle.com/employee-loyalty>, 2022. [უ.გ.04.11.2022].

როგორც ქვეყანაში მთლიანად, ისე რეგიონებში, ხელისუფლების სტაბილურობა, პოლიტიკური ძალების განლაგება, მართვის საკანონმდებლო ბაზა, სახელმწიფოს საგადასახადო და საკრედიტო პოლიტიკა, საბაჟო პოლიტიკა და საკანონმდებლო აქტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის კონტროლს.<sup>10</sup>

7) გარემო და კლიმატური ფაქტორები, რომელთა მოქმედება არ ექვემდებარება ორგანიზაციის ნებას.

ამრიგად, უნდა ითქვას, რომ თითქმის შეუძლებელია ზუსტად დადგინდეს და რაოდენობრივად განისაზღვროს გარე ფაქტორების ჯგუფი, რომლებიც გავლენას ახდენენ ორგანიზაციის ფინანსურ სტაბილურობაზე.

ორგანიზაციის სტაბილურობად ფუნქციონირებაზე მოქმედი შიდა ფაქტორები ასე შეგვიძლია წარმოვადგინოთ:<sup>11</sup>

ორგანიზაციის ფინანსურ სტაბილურობაზე მოქმედი ფაქტორები უნდა დაიყოს ორგანიზაციულ, საწარმოო, საკადრო, საბაზრო და ფინანსურად. როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი შიდა ფაქტორები, აღსანიშნავია ორგანიზაციის ფინანსური და ადამიანური რესურსები. ეს ფაქტორები ურთიერთდაკავშირებულია, რადგან ერთმანეთთან ურთიერთობისას, თუ ერთი იცვლება, სხვები შეიცვლება.

ის ფაქტი, რომ ორგანიზაციას აქვს საკუთარი სახსრების საკმარისი რაოდენობა, კერძოდ, მიღებული მოგება, შესაძლებელს ხდის კონკურენტულ გარემოში თავდაჯერებულობის გრძნობას. ამავდროულად, ღირს ისე, რომ მოგების უფრო დიდი პროცენტი იყოს მიმართული საწარმოო საქმიანობის გაფართოებაზე. სასესხო კაპიტალი დიდ გავლენას ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ სტაბილურობაზე. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ნასესხები ფინანსური რესურსების წყალობით საწარმო ზრდის ფინანსურ შესაძლებლობებს, მაგრამ აქ აღსანიშნავია ფინანსური ზარალის პარალელური რისკი.<sup>12</sup>

საკადრო ფაქტორები მოიცავს თანამშრომლების კვალიფიკაციას, თანამშრომლების მოტივაციას და ლოიალობას, ასევე პერსონალის ბრუნვას. აღსანიშნავია, რომ რაც უფრო დაბალია ბრუნვა და რაც უფრო მაღალია თანამშრომელთა კვალიფიკაცია და ლოიალობა, მით უფრო სტაბილურია საწარმო.<sup>13</sup> გამოცდილებიდან ჩანს, რომ ორგანიზაციის წარუმატებლობის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება დაკავშირებული იყოს მენეჯმენტის პერსონალის არაკომპეტენტურობასთან, გამოუცდელობასთან ან არასაკმარის კვალიფიკაციასთან, მათ უუნარობასთან, გაითვალისწინონ შიდა გარემოში ცვლილებები.

საბაზრო ფაქტორები, კერძოდ, ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობა ბაზარზე, პრაქტიკულად უკონტროლო ფაქტორებს უნდა მივაწეროთ. ყოველდღიურად ჩნდება ახალი

---

<sup>10</sup> Maloney, D., Effective management: the gift that keeps on giving. <https://slack.com/collaboration/effective-management>, 2019. [უ.გ.04.11.2022].

<sup>11</sup> Hoek, J., What is employee loyalty? (The principles of loyalty). <https://www.effactory.com/knowledge/what-is-employee-loyalty>, 2013. [უ.გ.04.11.2022].

<sup>12</sup> Carver, C., Employee Loyalty: The Secret Sauce and Tips Your Organization Needs. (Employee loyalty is volatile). <https://astronsolutions.net/employee-loyalty>, 2021. [უ.გ.04.11.2022].

<sup>13</sup> Утенин, В., Ключевые показатели эффективности (KPI) и практическая система мотивации персонала. «Elitarium». Издательства «Фолио», Київ. 2019.

საწარმოები, რომლებმაც მომავალში შეიძლება შეამცირონ ამ ბიზნეს სუბიექტის კონკურენტუნარიანობის დონე.<sup>14</sup>

სამეწარმეო საქმიანობის წარმატება ან წარუმატებლობა დიდწილად დამოკიდებულია მოწოდებული პროდუქტებისა და სერვისების სტრუქტურისა და შემადგენლობის არჩევანზე, ანუ წარმოების ფაქტორებზე. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია გადავწყვიტოთ რა პროდუქტები იწარმოება, ასევე იმის განსაზღვრა, თუ როგორ უნდა ვაწარმოოთ, ე.ი. ორგანიზაციისა და მენეჯმენტის რა ტექნოლოგია და მოდელი უნდა იმოქმედოს.

ამრიგად, კვლევის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ შიდა ფაქტორები, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ საწარმოების ფინანსურ სტაბილურობაზე, შესაძლებელს ხდის ორგანიზაციის საქმიანობის რეგულირებას.

შეჯამებით, შეგვიძლია განვსაზღვროთ, რომ ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობა, რომელიც არის სტაბილიზაციის საფუძველი, არის მდგომარეობა, რომელშიც უზრუნველყოფილია გადახდისუნარიანობა, კონკურენტუნარიანობა და ორგანიზაციის განვითარების გრძელვადიანი პროგნოზირებადი პერსპექტივა. კვლევის შედეგად გამოიკვეთა ორგანიზაციის ფინანსურ სტაბილურობაზე (სტაბილიზაციაზე) მოქმედი ძირითადი გარე და შიდა ფაქტორები.

ორგანიზაციის სტაბილურობის მართვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შიდა ფაქტორებს, რადგან ისინი პირდაპირ დამოკიდებულია ორგანიზაციის საქმიანობაზე და ორგანიზაციის მიერ მათ მართვის ზომებზე. გარდა ამისა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ შიდა ფაქტორები ახდენს გავლენას ორგანიზაციის ფინანსურ სტაბილურობაზე, რომელიც აყალიბებს ბიზნეს სუბიექტების საქმიანობას.<sup>15</sup>

## 2. პერსონალის ლოიალობა, როგორც ორგანიზაციის სტაბილურობის ფაქტორი

ორგანიზაციის ეკონომიკური საქმიანობის სტაბილიზაციის ერთ-ერთი ფაქტორი პერსონალის ლოიალობაა. ნებისმიერი თანამედროვე ორგანიზაციის საფუძველი ან ბირთვი არის ხალხი, რადგან სწორედ ისინი უზრუნველყოფენ ორგანიზაციისთვის ხელმისაწვდომი ყველა სახის რესურსის ეფექტურ გამოყენებას. პერსონალი განსაზღვრავს კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობას წარმატებას და შესაბამისად, აყალიბებს მის კონკურენტუნარიანობას. პერსონალის ჩართვა კომპანიის ბიზნეს პროცესებში, რაც ხელს უწყობს შემომავალი რესურსების გადაქცევას მზა პროდუქტად გამოსავალზე, ეს არის მთავარი ბიზნეს ფუნქციის განხორციელება, რაც იწვევს მთავარი მიზნის მიღწევას. თანამშრომლების კარგად კოორდინირებულმა მუშაობამ შეიძლება მიიყვანოს ორგანიზაცია სრულყოფილ მდგომარეობამდე, მის უნარს დააკმაყოფილოს არა მხოლოდ მისი პერსონალის მოთხოვნილებები, არამედ განჭვრიტოს მომხმარებელთა და სხვა დაინტერესებული მხარეების მოლოდინები.<sup>16</sup>

<sup>14</sup> Kreacic, A., Uribe L., Luong S. - Employee loyalty is declining. Here's how to build it back. (How can we bring back loyalty?). <https://www.weforum.org/agenda/2021/11/employee-loyalty-declining-how-to-build-it-back>, 2021. [უ.გ.04.11.2022].

<sup>15</sup> Luong, S., 6 Reasons Why Corporations Should Care About Employee Loyalty. (The Qualities of a Loyal Employee). <https://www.viktorwithak.com/employee-loyalty-and-why-it-matters>, 2018. [უ.გ.04.11.2022].

<sup>16</sup> Kreacic, A., Employee Loyalty is your Most Important Resource. (Management & Leadership Coaching). <https://www.gbcorporat.com/blog/employee-loyalty-is-your-most-important-resource>, 2021. [უ.გ.04.11.2022].

პერსონალის ლოიალობის შესასწავლად, როგორც კომპანიის სტაბილიზაციის ერთ-ერთი ფაქტორი, განვიხილოთ ლოიალობის ზოგადი კონცეფცია.

ლოიალობა არის ადამიანის პოზიტიური დამოკიდებულება კონკრეტული ობიექტის ან სუბიექტის მიმართ. ბევრი ექსპერტი აღნიშნავს, რომ ლოიალობის საფუძველია სარგებლობის სურვილი, თავდადებული დამოკიდებულება, თავიდან აცილება იმისა, რაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ლოიალობის ობიექტს.

ხშირად პერსონალის ლოიალობის ცნება იდენტიფიცირებულია საიმედოობის კონცეფციასთან, რაც მთლად სწორი არ არის, ამიტომ აღსანიშნავია მათი განსხვავებები. თანამშრომლის სანდოობა არის კომპანიაში მიღებული სამართლებრივი და მორალური სტანდარტების დაცვა, ან მათი შესრულების სურვილი. ბევრი ექსპერტი განმარტავს პერსონალის სანდოობას, როგორც კანონმორჩილს. განმარტებიდან გამომდინარე, სანდოობა მოქმედებს როგორც ინდივიდუალური მახასიათებელი და პიროვნული თვისება.

ორგანიზაციისადმი ლოიალობა შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის:

- მომხმარებელი, რომელშიც მომხმარებლები ლოიალური არიან კომპანიის მიმართ, რომელიც აწარმოებს საქონელს და მომსახურებას, აღიარებს წარმოებული საქონლისა და მომსახურების მაღალ ხარისხს, ენდობა ამ კომპანიის წარმომადგენლებს;
- პერსონალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც ორგანიზაციისადმი ერთგულება.

კომპანიის ლოიალური თანამშრომლები მზად არიან არა მხოლოდ დაელოდონ კომპანიის დროებით სირთულეებს და მიიღონ აუცილებელი ორგანიზაციული ცვლილებები, არამედ პირადად წვლილი შეიტანონ წარმომოხილი პრობლემების სწრაფ დაძლევისა და მოგვარებაში. ასეთი თანამშრომლები აფასებენ თავიანთ სამუშაოს ამ ორგანიზაციაში: ისინი ცდილობენ შეასრულონ თავიანთი საქმე რაც შეიძლება კარგად და ასევე მოუწოდებენ თავიანთ კოლეგებს იგივე გააკეთონ. მხოლოდ ერთგულ პერსონალს შეუძლია გამოიყენოს კრეატიულობა წარმომოხილი პრობლემების გადასაჭრელად, ინდივიდუალური და კოლექტიური პასუხისმგებლობის აღება და ყველა შესაძლო ძალისხმევა კომპანიის დასახული მიზნების მისაღწევად. თუ თანამშრომელი ლოიალურია თავისი მენეჯერის მიმართ, რაც გულისხმობს მისი კომპეტენციის, პატივისცემის, ავტორიტეტის აღიარებას ამ პიროვნების თვალში, ის მზადაა გასწიროს თავისი ინტერესები საერთო საქმისთვის.<sup>17</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ლოიალობა არის ადამიანის დამოკიდებულების მაჩვენებელი რაღაც კონკრეტულის მიმართ.

ლოიალობა შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ატრიბუტებით:<sup>18</sup>

- 1) ლოიალობის ობიექტთან მისი ძირითადი ღირებულებებისა და რწმენის გაზიარება;
- 2) პირადი გამოცდილება გამოყენება ლოიალობის ობიექტის წარმატებისთვის;
- 3) პატიოსნება და კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ობიექტის მიმართ;

---

<sup>17</sup> De Castro, A., 6 Strategies for Building Employee Loyalty. (To develop loyalty among employees and encourage them to stay, company leaders need to meet workers' basic needs). <https://www.shrm.org/hr-today/news/all-things-work/pages/six-strategies-for-building-employee-loyalty.aspx>, 2022. [უ.გ.04.11.2022].

<sup>18</sup> Uribe, L., The Importance of Employee Loyalty and How To Improve It. (By Indeed Editorial Team). <https://www.indeed.com/career-advice/career-development/importance-of-employee-loyalty>, 2019. [უ.გ.04.11.2022].

- 4) ლოიალობის ობიექტისთვის საფრთხის თავიდან აცილების, უარყოფითი რისკების თავიდან აცილების სურვილი;
- 5) საჭიროების შემთხვევაში გარკვეული მსხვერპლის გაღების მზადყოფნა ლოიალობის ობიექტის სასარგებლოდ;
- 6) კომპანიის დაკისრებული მოვალეობების, ფუნქციების, მისიის საუკეთესოდ შესრულების სურვილი;
- 7) სიამაყის გრძნობა ლოიალობის ობიექტთან კუთვნილებით.<sup>19</sup>

აქედან გამომდინარე, ლოიალური პერსონალი არის თანამშრომლები, რომლებიც ერთგულები არიან თავიანთი საქმისთვის და კომპანიისთვის, რომლებიც აცნობიერებენ, რომ მათი, როგორც ამ სფეროში პროფესიონალის პიროვნების ზრდა ასევე ხელს უწყობს კომპანიის ზრდას და კეთილდღეობას; ესენი არიან ადამიანები, რომელთა ინტერესები პირდაპირ ემთხვევა კომპანიის მიზნებს; ესენი არიან შემსრულებლები, რომლებიც არა მხოლოდ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს, არამედ მზად არიან გამოიჩინონ შემოქმედებითი მიდგომა მენეჯმენტისგან წამოსული პრობლემების გადაჭრის მიმართ; ეს არის პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსურ წარმატებას და სტაბილურ განვითარებას.

## დასკვნა

დღესდღეობით, ორგანიზაციის ეფექტური ფუნქციონირებისთვის ორგანიზაციას სჭირდება არა მხოლოდ კვალიფიციური კადრების შერჩევა, არამედ კომპანიისადმი ლოიალური გახადოს იგი. პერსონალის ლოიალობის ფორმირების ყველაზე მნიშვნელოვანი პირობებია:<sup>20</sup>

- 1) ანაზღაურება შესრულებული სამუშაოსთვის. მატერიალური ანაზღაურება უნდა იყოს თანამშრომელთა ჩადებული ძალისხმევის პროპორციული, ხოლო პროპორციები თანაბარი უნდა იყოს იმავე დონის თანამშრომლებისთვის.
- 2) თანამშრომლის პირადი მიზნების განხორციელება კომპანიაში მუშაობის გზით. როგორც სტატისტიკა აჩვენებს, ადამიანი თავისი ზრდასრული აქტიური ცხოვრების დაახლოებით მესამედს სამსახურში ატარებს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ თანამშრომელმა თავი საჭიროდ და მნიშვნელოვანად იგრძნოს კომპანიისთვის, იყოს პიროვნული ზრდისა და საკუთარი და ორგანიზაციული მიზნების რეალიზაციის გზაზე.
- 3) შრომითი ხელშეკრულების შეთანხმებული პირობების დაცვა. ამ კომპანიაში სამუშაოზე განაცხადის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, უპირველეს ყოვლისა, მომავალი თანამშრომელი ყურადღებას აქცევს ხელშეკრულების პირობებს. ამ ეტაპზე თანამშრომლისთვის მნიშვნელოვანია, რომ რეალობა არ განსხვავდებოდეს იმისგან, რაც ითქვა მუშაობის დაწყებამდე. ბევრი კონტრაქტის ცვლილება ადამიანების მიერ აღიქმება უსამართლოდ, განსაკუთრებით მაშინ, თუ ისინი მიიღება ცალმხრივად.
- 4) კომფორტული სამუშაო ადგილი. დღევანდელ სამყაროში ადამიანები ხვდებიან, რომ სასიამოვნოა იყო არა მხოლოდ მდიდარი, არამედ ჯანმრთელი ერთდროულად. ახლა

<sup>19</sup> Carver, C., Employee Loyalty: The Secret Sauce and Tips Your Organization Needs. (Employee loyalty is volatile). <https://astronsolutions.net/employee-loyalty>, 2021. [უ.გ.04.11.2022].

<sup>20</sup> Nawrat, A., Employee loyalty is only short-term. (It isn't stopping them looking for new jobs elsewhere). <https://www.unleash.ai/company-culture/employee-loyalty-is-only-short-term>, 2021. [უ.გ.04.11.2022].



თანამშრომლებისთვის მნიშვნელოვანი ხდება ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა ხმაურის და გამოსხივების დონე, სამუშაო ადგილის განათება, ჰაერის სისუფთავე და ა. შ. ეს ასევე მოიცავს ხელსაყრელ ატმოსფეროს გუნდში, რომელიც ხასიათდება არა მხოლოდ კომპანიის ორგანიზაციული კულტურით, ორგანიზაციის საერთო მიზნებითა და მისიით, არამედ კოლეგებს შორის პატივისცემით, ურთიერთდახმარებითა და სოლიდარობით.

5) მენეჯმენტთან ურთიერთობა. ეს მდგომარეობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ლოიალობის გაჩენაში. ამ შემთხვევაში ძირითადი პუნქტებია კრიტერიუმების პოპულარობა და სამუშაოს შეფასების სამართლიანობა, მენეჯერის თანაბარი დამოკიდებულება ყველა თანამშრომლის მიმართ (ფავორიტების არარსებობა), თავად მენეჯერის მიერ კომპანიის შიდა წესების დაცვა, თანმიმდევრულობა მიზნის მიღწევაში, ამოცანების დასახვის სიცხადე, კონსტრუქციული კრიტიკა, მაღლიერების გამოხატვის უნარი და მრავალი სხვა.

თუ ამ პირობებიდან ბევრი დაკმაყოფილებულია, მაშინ პერსონალი უმეტესწილად ლოიალური ხდება მათი ორგანიზაციის მიმართ. მსოფლიოში ბევრი ცნობილი კომპანიის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ორგანიზაციის ადამიანური რესურსების სრულყოფილად გამოყენება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობა, რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიას მიაღწიოს ლიდერის პოზიციას ბაზარზე. ასეთმა კომპანიებმა მიაღწიეს გამორჩეულ ეკონომიკურ შედეგებს, კერძოდ, ორგანიზაციის პრობლემების გადაჭრაში პერსონალის ჩართულობის გაზრდით. ისინი თვლიან ადამიანებს, როგორც კომპანიის მიღწევების მთავარ წყაროს. პერსონალის ერთგულება (ერთგულება, ერთგულება), თანამშრომლების მიერ ორგანიზაციის მიზნებისა და ღირებულებების მიღება, მზადყოფნა იმუშაოს შრომისმოყვარეობით მათი განხორციელებისთვის, განიხილება ყველაზე მნიშვნელოვანი პირობა არა მხოლოდ ადამიანური რესურსების, არამედ ადამიანური რესურსების მაქსიმალური დაბრუნებისთვის. ორგანიზაციის ყველა სხვა რესურსი, ვინაიდან ადამიანებზეა დამოკიდებული, როგორ გამოიყენება ფინანსები, ტექნიკური საშუალებები და ა. შ.<sup>21</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრმა კომპანიამ მიაღწია წარმატებას არა მხოლოდ მათი თანამშრომლების ლოიალობისა და ერთგულების განვითარებით, არამედ ბიზნეს პროცესების კომპეტენტური აგებულებით, სწორად შემუშავებული მარკეტინგული სტრატეგიით, ტექნიკური, ინფორმაციული საშუალებების ეფექტური გამოყენებით და ორგანიზაციის სხვა რესურსებით. თანამშრომლების ლოიალობა, როგორც პროცესი არ უნდა იყოს იდეალიზებული, მაგრამ მას მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეკავოს პერსონალის მართვასა და პერსონალის მუშაობაში.<sup>22</sup>

---

<sup>21</sup> Hoek, J., What is employee loyalty? (The principles of loyalty). <https://www.effectory.com/knowledge/what-is-employee-loyalty>, 2013. [უ.გ.04.11.2022].

<sup>22</sup> Kreacic, A., Uribe L., Luong, S., Employee loyalty is declining. Here's how to build it back. (How can we bring back loyalty?). <https://www.weforum.org/agenda/2021/11/employee-loyalty-declining-how-to-build-it-back>, 2021. [უ.გ.04.11.2022].

## ბიბლიოგრაფია

1. Maloney, Devon, Effective management: the gift that keeps on giving. <https://slack.com/collaboration/effective-management>, 2019; [უკანასკნელად გადამოწმდა: 04.11.2022];
2. Kreacic, Ana, Employee Loyalty is your Most Important Resource. Management & Leadership Coaching. <https://www.gbcorporat.com/blog/employee-loyalty-is-your-most-important-resource>, 2021; [უკანასკნელად გადამოწმდა: 04.11.2022];
3. Osborne Schrita, Hammoud Mohamad S., „Effective Employee Engagement in the Workplace“. International Journal of Applied Management and Technology. 2017;
4. Uribe, Lucia, The Importance of Employee Loyalty and How To Improve It. (By Indeed Editorial Team). <https://www.indeed.com/career-advice/career-development/importance-of-employee-loyalty>, 2019; [უკანასკნელად გადამოწმდა: 04.11.2022];
5. Luong, Simon, 6 Reasons Why Corporations Should Care About Employee Loyalty. (The Qualities of a Loyal Employee). <https://www.viktorwithak.com/employee-loyalty-and-why-it-matters>, 2018; [უკანასკნელად გადამოწმდა: 04.11.2022];
6. Hoek, Josje, What is employee loyalty? (The principles of loyalty). <https://www.effactory.com/knowledge/what-is-employee-loyalty>, 2013;
7. Barman, Jyoti Prakash, Employee Loyalty- 3 Things to Understand & How to Improve It. (Employee Engagement). <https://vantagecircle.com/employee-loyalty>, 2022; [უკანასკნელად გადამოწმდა: 04.11.2022];
8. Kreacic, Ana, Uribe Lucia, Luong, Simon, Employee loyalty is declining. Here's how to build it back. (How can we bring back loyalty?). <https://www.weforum.org/agenda/2021/11/employee-loyalty-declining-how-to-build-it-back>, 2021; [უკანასკნელად გადამოწმდა: 04.11.2022];
9. Carver, Charles, Employee Loyalty: The Secret Sauce and Tips Your Organization Needs. (Employee loyalty is volatile). <https://astronsolutions.net/employee-loyalty>, 2021; [უკანასკნელად გადამოწმდა: 04.11.2022];
10. Утенин, Владислав, Ключевые показатели эффективности (KPI) и практическая система мотивации персонала. «Elitarium». Издательства «Фолио», Київ. 2019; [უკანასკნელად გადამოწმდა: 04.11.2022];
11. De Castro, Amy, 6 Strategies for Building Employee Loyalty. (To develop loyalty among employees and encourage them to stay, company leaders need to meet workers' basic needs). <https://www.shrm.org/hr-today/news/all-things-work/pages/six-strategies-for-building-employee-loyalty.aspx>, 2022; [უკანასკნელად გადამოწმდა: 04.11.2022];
12. Nawrat, Allie, Employee loyalty is only short-term. (It isn't stopping them looking for new jobs elsewhere). <https://www.unleash.ai/company-culture/employee-loyalty-is-only-short-term>, 2021; [უკანასკნელად გადამოწმდა: 04.11.2022].

## სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მნიშვნელობა და როლი უმაღლესი განათლების სფეროში

სოფო ვასაძე,

ანთროპოლოგიის მაგისტრი,  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

თანამედროვე სამყაროში არსებული გამოწვევების გადააზრება და მათთან გამკლავება სამეცნიერო საქმიანობის მეტად განვითარებას საჭიროებს. სწორედ კვლევებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება შესაძლებელია ეფექტიანი აღმოჩნდეს სხვადასხვა სფეროს განვითარებისთვის, ასევე, ეკონომიკური, საზოგადოებრივი, კულტურული თუ სხვა სახის პრობლემის გადაწყვეტის დროს. ამის დასტურია, თუნდაც კოვიდ 19-ით გამოწვეული პანდემია და მასთან გამკლავების პროცესი, რომელიც სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმატების შედეგად გადაიჭრა, რაც გამოიხატება ვაქცინის შექმნაში, ხოლო მისი გამოყენებით კი, პანდემიის დამარცხებაში.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტებმა/სასწავლო უნივერსიტეტებმა<sup>1</sup>, სადაც ხორციელდება სწავლა-სწავლების პროცესი და კვლევითი საქმიანობა, იქმნება ახალი ცოდნა და გამოცდილება, ხელი შეუწყონ კვლევითი საქმიანობის ზრდა-განვითარებას და სამეცნიერო საქმიანობის სტუდენტებში წახალისებას. ეს კი გამოიწვევს უკვე არსებული ცოდნის გადახალისებას და გამყარებას, ამასთან ერთად კი, შეიქმნება ახალი ცოდნა და მოხდება მისი ინტეგრირება, როგორც სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესში, ასევე, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ და ა. შ. პროცესებში.

სტატია მოიცავს, როგორც საერთაშორისო კვლევების მიმოხილვას, ზოგად მსჯელობას იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა და როლი აქვს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას უმაღლესი განათლების სფეროს განვითარებაში, ასევე, საქართველოში ჩატარებული თვისებრივი (ექსპერტული გამოკითხვა) კვლევის შედეგებს, რომლის მიზანია გამოავლინოს უმაღლესი განათლების სფეროში, კერძოდ კი, უნივერსიტეტების და სასწავლო უნივერსიტეტების საქმიანობაში კვლევითი-სამეცნიერო აქტივობებს რა მნიშვნელობა და როლი უჭირავს. ამ პროცესში გამოკითხულნი იყვნენ საქართველოში მოქმედი 10 უნივერსიტეტის/სასწავლო უნივერსიტეტის კვლევითი სამსახურის თანამშრომლები (ჯამში 15 რესპონდენტი), რომლებიც კვლევაში წარმოდგენილნი არიან როგორც დარგის ექსპერტები.

კვლევის ძირითად მიგნებებად შეიძლება ჩაითვალოს, ის რომ უნივერსიტეტების უმთავრესი ფუნქცია და როლი არის, როგორც უკვე არსებული ცოდნის გადაცემა ახალი თაობებისთვის,

<sup>1</sup> „სასწავლო უნივერსიტეტი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს (გარდა დოქტორანტურისა). სასწავლო უნივერსიტეტი აუცილებლად ახორციელებს მეორე საფეხურის - მაგისტრატურის - საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს“.  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=97> [უ. გ. 12.12.2022].

ასევე ახალი ცოდნის შექმნა. უნივერსიტეტები კვლევითი საქმიანობით მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ახალი ცოდნის შექმნაში, რაც ხელს უწყობს მაღალკვალიფიციური კადრების ჩამოყალიბებას და ავითარებს სხვადასხვა დარგს. ასევე, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება კვლევებისთვის სათანადო ფინანსების მოზიდვის და კვლევების ინტერნაციონალიზაციის საკითხი, რაც განავითარებს სამეცნიერო პროექტების ხელმისაწვდომობას ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე.

**საკვანძო სიტყვები:** უნივერსიტეტი, სამეცნიერო საქმიანობა, კვლევა, გამოწვევა, განვითარება.

## შესავალი

დღევანდელ რეალობაში ადამიანების ყოფა დინამიურ ტემპში მიმდინარეობს და მუდმივად განიცდის ცვლილებებს, რაც უმეტესწილად სწორედ სამეცნიერო მიღწევების დამსახურებაა. გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესი თავისთავად აჩქარებს მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და ა. შ. პროცესებს, ამავდროულად ხელმისაწვდომს ხდის ნებისმიერ ინფორმაციას და ხელს უწყობს ახალი ცოდნის შექმნას, რომელიც გარკვეულწილად სამეცნიერო კვლევების შედეგია.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სამყაროში მეცნიერულ მიღწევებზე საუბრისას, ხშირად ტექნოლოგიურ სიახლეებს, ინტერნეტის და ტელეკომუნიკაციების მასობრივ გავრცელებას მოიაზრებენ. დღესდღეობით მეცნიერება მიიჩნევა, როგორც გლობალური საზოგადოების პროგრესის საფუძვლად, ასევე, ეკონომიკური, თუ საზოგადოებრივი განვითარების მთავარ მამომრავებელ ძალად. თანამედროვე მეცნიერება ორიენტირებულია საზოგადოების განვითარების გრძელვადიანი ხედვის და გეგმის დასახვაზე, რაც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდასთან. ის ქვეყნები, სადაც მწირია ბუნებრივი რესურსების რაოდენობა, ძირითადად ინტელექტუალური ცოდნის შექმნასა და წარმოებაზე არიან ორიენტირებულნი, შესაბამისად, მათი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები სამეცნიერო მიღწევებზე და ტექნოლოგიების განვითარებაზე არის დამოკიდებული.

ქვეყნის საზოგადოებრივი, ეკონომიკური თუ ყოფითი კულტურის განვითარების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია უმაღლესი საგანმანათლებლო სფეროს აქტიური ჩართულობა, არა მხოლოდ ახალი თაობებისთვის არსებული ცოდნის გადაცემის და გაზიარების მხრივ, არამედ სწორედ სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების საშუალებით ახალი ცოდნის შექმნის, წარმოების თვალსაზრისით.

ამ პროცესში კი წამყვანი ფუნქცია და როლი უნივერსიტეტებს/სასწავლო უნივერსიტეტებს აკისრიათ, სადაც კვლევითი საქმიანობა მიმდინარეობს და ახალი ცოდნა იქმნება, რომელიც სწორედ ზემოთხსენებული პრობლემების მოგვარებას უნდა ეხმარებოდეს. თანამედროვე უნივერსიტეტების როლი მხოლოდ არსებული ცოდნის გაზიარება აღარაა, ძალიან მნიშვნელოვანია ახალი ცოდნის შექმნა და სფეროების ამგვარად განვითარება.

ასევე, თანამედროვე უნივერსიტეტების მთავარი გამოწვევა კვლავ რჩება საზოგადოებაში არსებულ პრობლემებზე პასუხი და იმგვარი მოქალაქეების აღზრდა, რომლებიც შეძლებენ საზოგადოებისთვის უკეთესი პირობების შექმნას. სტატიის მთავარი მიზანაც სწორედ

საუნივერსიტეტო ცხოვრებაში კვლევის მნიშვნელობის და თანამედროვე სამყაროში უნივერსიტეტის ფუნქციის და როლის წარმოჩენაა.

სტატიაში გაეცნობით საკვლევ საკითხის გარშემო არსებული თანამედროვე ლიტერატურის მიმოხილვას, ასევე, მცირედ ექსპერტულ გამოკითხვას და მიღებული შედეგების ანალიზს.

## 1. მეთოდოლოგია

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სტატიაში წარმოდგენილი კვლევის მიზანს წარმოადგენს შეისწავლოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მნიშვნელობა და როლი უმაღლესი განათლების სფეროს საქმიანობასა და განვითარებაში. სტატიაში წარმოდგენილი კვლევის მეთოდოლოგია გულისხმობს საქართველოში მოქმედი უნივერსიტეტებისა და სასწავლო უნივერსიტეტების კვლევითი-სამეცნიერო სამსახურის წარმომადგენლების გამოკითხვას თვისებრივი კვლევის მეთოდით, რომელთაც აქვთ უშუალო შეხება უნივერსიტეტში/სასწავლო უნივერსიტეტში კვლევითი პროცესების მენეჯმენტთან და განვითარებასთან. კვლევის მონაწილეები წარმოადგენენ დარგის ექსპერტებს, რადგან მათ აქვთ უშუალო შეხება უმაღლესი განათლების სფეროში კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის განვითარებასთან და მართვის პროცესებთან. ამასთან მიმართებით კი მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ ის ძირითადი საკვლევ კითხვები, რომელიც კვლევამ მოიცვა: რატომ არის მნიშვნელოვანი კვლევითი საქმიანობა უმაღლესი განათლების სფეროსთვის, რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს უნივერსიტეტში წარმოებული სამეცნიერო საქმიანობა, რა ღირებულებებს უნდა ეფუძნებოდეს სამეცნიერო კვლევა, რა არის დღეს, 21-ე საუკუნეში უნივერსიტეტის უმთავრესი როლი და ფუნქცია, რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს უნივერსიტეტი თანამედროვეობაში. ასევე, საკვლევ კითხვები მოიცავდა ისეთ კითხვებს, რომელიც ეხება უმაღლესი განათლების სფეროში არსებული გამოწვევების გამოვლენას. ასევე, კვლევის ამოცანას წარმოადგენდა, გამოევილინა ის დარგები, სადაც მეტად ტარდება სამეცნიერო საქმიანობა და დარგები, რომლებიც საჭიროებენ კვლევითი-სამეცნიერო მიმართულებით მეტად გააქტიურებას.

კვლევის მეთოდად შეირჩა თვისებრივი კვლევის მეთოდი, კვლევა ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით, სადაც მონაწილეებს ჰქონდათ საშუალება ღია კითხვების გზით გამოეხატათ საკუთარი მოსაზრება უნივერსიტეტში/სასწავლო უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის მნიშვნელობის და როლის შესახებ. ჯამში კითხვარი შეავსო 15 რესპონდენტმა საქართველოში მოქმედი 10 უნივერსიტეტიდან/სასწავლო უნივერსიტეტიდან. კითხვარის შევსება მონაწილეების მხრიდან მოხდა ონლაინ.

## 2. ლიტერატურის მიმოხილვა

### 2.1 კვლევის როლი უმაღლესი განათლების სფეროში

სხვადასხვა ჩატარებული კვლევის თუ ექსპერტის მოსაზრების თანახმად, უმაღლესი განათლების სისტემამ უნდა უზაფხოს მსოფლიოში არსებულ გამოწვევებს და აქტიური წვლილი შეიტანოს კაცობრიობის და საზოგადოების განვითარებაში. მნიშვნელოვანია მოხდეს კვლევის მნიშვნელობის გადააზრება და ცოდნის ინტეგრირება საზოგადოებრივ პროცესებში. მეცნიერთა და სხვადასხვა დარგის პროფესიონალების ურთიერთგადაკვეთისას,

მნიშვნელოვანია, ვიპოვოთ ის გზები, რომელიც ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ხედვის განვითარებას და ასევე, გაკეთდეს იმაზე რეფლექსია, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ ხედვების გამოყენება და ერთმანეთთან დაკავშირება პრაქტიკაში. მხოლოდ გადაკვეთა მეცნიერებასა და სხვადასხვა დარგებს შორის იძლევა ახალი ცოდნის განვითარების საშუალებას<sup>2</sup>.

მნიშვნელოვანია, კვლევაზე საუბრისას ვახსენოთ, რომ უნივერსიტეტის უმთავრესი ფუნქცია სწავლებაა, ხოლო კვლევითი საქმიანობა სწავლების ხარისხის გაზრდას და ახალი პროფესიონალების გუნდის ჩამოყალიბებას უნდა უწყობდეს ხელს.

კვლევით საქმიანობაში საუნივერსიტეტო საზოგადოება დაახლოებით ასი წლის წინ ჩაერთო, როდესაც კოლუმბიის უნივერსიტეტმა პირველმა შექმნა ცენტრი (1928 წელი), სადაც სწავლება, კვლევა და პაციენტებზე ზრუნვა ერთი სივრცის ქვეშ იყო გაერთიანებული. კემბრიჯის უნივერსიტეტმა კვლევითი საქმიანობა მოგვიანებით, 1945 წელს დაიწყო. თავიდანვე კვლევის ინტეგრირება უნივერსიტეტებში განპირობებული იყო ორი ძირითადი მიზეზით: სწავლება და აღმოჩენისადმი ინტერესი. ისტორიის მანძილზე საუნივერსიტეტო საქმიანობა ყოველთვის იმსახურებდა ყურადღებას.

მკვლევარი, უილიამ ჰენრი პერკინი, ამბობს, რომ უნივერსიტეტის აღზევება არის გამორჩეული ფაზა უმაღლესი განათლების გლობალური ისტორიის მანძილზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ევროპული უმაღლესი განათლება მუდმივად განიცდიდა სხვადასხვა კულტურის გავლენას, მათ შორის ისეთი ქვეყნების გავლენას, როგორცაა ეგვიპტე, ჩინეთი, ინდოეთი, ისლამური ქვეყნები და სხვა.

თავისთავად, კვლევის პროცესი არ გულისხმობს იმას, რომ აღმოვაჩინოთ რაიმე სრულიად ახალი, რაც მანამდე არ არსებობდა. კვლევის პროცესში ხელახლა ხდება გარკვეული მოვლენის თუ ფენომენის შესახებ არსებული ცოდნის გადახალისება და გაფართოება. ყველაზე მთავარი აქტივობა კვლევაში ესაა - ვიპოვოთ პასუხები კითხვებზე<sup>3</sup>.

ხარისხიანი კვლევა აუმჯობესებს სწავლების პროცესს. იქიდან გამომდინარე, რომ უნივერსიტეტები არა მხოლოდ ავრცელებენ, არამედ ქმნიან ახალ ცოდნას სწორედ კვლევის საშუალებით, მნიშვნელოვანია, რომ კვლევითმა პროცესმა წახალისოს ხარისხიანი სწავლების პროცესი. საინტერესოა მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა ფუნქცია გააჩნია უნივერსიტეტს 21-ე საუკუნეში? უნივერსიტეტი თანამედროვე გაგებით არის სივრცე, სადაც, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები ქმნიან გარემოს ახალი ცოდნისთვის, კვლევის საშუალებით წარმოიქმნება ახალი პლატფორმები განვითარებისთვის.<sup>4</sup>

უნივერსიტეტის თანამედროვე გაგების გათვალისწინებით კი, უნივერსიტეტში მასწავლებლის როლი სრულიად განსხვავდება სკოლის მასწავლებლის როლისგან. ლექტორი პირველ რიგში უნდა წარმოადგენდეს სტუდენტისთვის მეგობარს, მენტორს, გიდს, რომელიც

<sup>2</sup> Vessuri, H., The Role of Research in Higher Education: Implications and Challenges for an Active Contribution to Human and Social Development in book Higher Education in the World 3, 2008. Pp.119-114.

<sup>3</sup> Lakhotia, S., Research and Innovation in Universities: Why and How These Should Promoted in book Quality Mandate for Higher Education Institutions in India. University Grants Commission, 2021, pp.89-114.

<sup>4</sup> იხ. სქოლიო 3. გვ. 89-114.

ცხოვრებისეულ გამოცდილებასაც უზიარებს მათ, ასევე, ლექტორს მეტად მოეთხოვება დაეხმაროს სტუდენტებს პროფესიული ცხოვრების გზის დასაწყებად<sup>5</sup>.

## 2.2. უნივერსიტეტების მომავალი და კვლევა

ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის მიერ მომზადებულ დოკუმენტში – „უნივერსიტეტები კედლების გარეშე - ხედვა 2030 წლისთვის“, დეტალურად არის წარმოდგენილი ის სამომავლო პრიორიტეტები, საჭიროებები და ღირებულებები, რისი შესრულებაც 2030 წლისთვის მოუწევთ უნივერსიტეტებს, რაც მათთვის იქნება როგორც მთავარი გამოწვევა, ასევე, მომავალი განვითარების პერსპექტივა<sup>6</sup>.

უპირველეს ყოვლისა, უნივერსიტეტებმა უნდა შექმნან სამომავლო განვითარების კონკრეტული ხედვა, თუ რა მიმართულებით სურთ წინსვლა, როგორ ისახავენ მიზნებს და როგორ პასუხობენ თანამედროვე გამოწვევებს. ამ ამოცანების შესასრულებლად მათ დასჭირდებათ მეტი გახსნილობა საზოგადოების სხვადასხვა წრეების, თუ დარგების მიმართ.

ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის დოკუმენტის მიხედვით, მომავალში უნივერსიტეტების სტრუქტურა მეტად ჰიბრიდული გახდება<sup>7</sup>.

რაც შეეხება უნივერსიტეტებში ინტერნაციონალიზაციის პროცესს, ევროპული უნივერსიტეტების მომავალი მეტად ტრანსნაციონალური და მულტინაციონალური სახისაა, რაც შექმნის ბაზას კვლევისთვის და ინოვაციისთვის. ასევე, უფრო ხარისხიანი სწავლებისთვის.

უნივერსიტეტების მომავლის მისიად შეიძლება მოვიანროთ სწავლებისა და კვლევისთვის თანამშრომლობითი პროექტების განხორციელება, პოზიტიური დამოკიდებულების განვითარება ევროპელობისადმი გლობალურ და ლოკალურ დონეზე<sup>8</sup>.

2030 წლისთვის დოკუმენტის ხედვის მიხედვით, უნივერსიტეტებს ევროპის მასშტაბით ექნებათ მეტი ავტონომიურობა, რათა შეძლონ დამოუკიდებლად მიიღონ სტრატეგიული გადაწყვეტილებები ორგანიზაციული, ფინანსური, და ა. შ. საკითხების შესახებ.

სწავლის პროცესი უფრო მეტად დაუკავშირდება კვლევას და მკვლევარებს. უნივერსიტეტები უფრო აქტიურად ჩაერთვებიან კვლევით ნაწილში, როგორც ფუნდამენტური, ასევე, გამოყენებითი კვლევების მიმართულებით. ასევე, უნივერსიტეტების ბაზაზე მეტად განვითარდება ინტერდისციპლინური კვლევითი პროექტები და საგამომცემლო სისტემები. ბუნებრივია, უნივერსიტეტები კვლავ განახორციელებენ სადოქტორო პროგრამებს, რაც უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური მკვლევრების ჩამოყალიბებას.

უნივერსიტეტების მომავლის მისიად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ ისინი სხვადასხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ჩაერთვებიან მსოფლიო გამოწვევებთან გამკლავების პროცესში. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტები შეასრულებენ წამყვან როლს ინოვაციური

<sup>5</sup> იხ. სქოლიო 3. გვ. 89-114.

<sup>6</sup> Universities without walls - A vision for 2030 European University Association, February, 2021.

<sup>7</sup> იხ. სქოლიო 6.

<sup>8</sup> იხ. სქოლიო 6.

ეკონომიკის განვითარებაში, გააერთიანებენ მსგავსი ხედვის მქონე დაინტერესებულ მხარეებს აკადემიური, ბიზნეს, სამოქალაქო თუ სტარტაპ სექტორიდან უნივერსიტეტების სამომავლო განვითარებისთვის მეტი ფინანსური ინვესტიციის გაკეთება გახდება საჭირო იმისათვის, რომ განვითარდეს მეცნიერება, შეიქმნას ახალი ცოდნა და დაიხვეწოს ტექნოლოგიები. სამომავლოდ სასურველია, რომ უნივერსიტეტების ფინანსური ავტონომიურობა გაძლიერდეს, რათა უნივერსიტეტებმა დამოუკიდებლად შეძლონ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება<sup>9</sup>.

მიმოვიხილოთ რამდენიმე კვლევა, რომელიც ეხება საუნივერსიტეტო სისტემაში არსებულ გამოწვევებს და კვლევითი საქმიანობის ფუნქციას და როლს. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტში კვლევითი მიღწევების ხარისხობრივად გაზომვა სირთულეს წარმოადგენს შემდეგი მიზეზების გამო: უნივერსიტეტები მონაწილეობენ სხვადასხვა აქტივობაში ერთდროულად (სწავლება, კვლევა, ცოდნის გადაცემა თუ შექმნა). ამ აქტივობების შედეგად სხვადასხვა შედეგი დგება, შესაბამისად, შეიძლება შედეგების ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი კომპონენტი შეიცვალოს კიდევ.

კვლევის შედეგების ანალიზისას ყველაზე ხშირად გამოყენებადი ინდიკატორია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციები, მათი ციტირების ინდექსი, ხოლო შემდეგ კი მოდის - პატენტი. უნივერსიტეტის კვლევის შედეგების გაანალიზება არ უნდა განხორციელდეს მხოლოდ ერთი ინდიკატორის გამოყენებით - ან პუბლიკაციით ან პატენტით, უნდა გავითვალისწინოთ უნივერსიტეტების მრავალპროდუქტიულობითი ხასიათი. ზოგიერთი უნივერსიტეტი უფრო სპეციალიზირებულია სოციალურ მეცნიერებებში, ზოგი კი - ჰუმანიტარულ დარგში, სადაც კვლევის ძირითადი შედეგი არის - პუბლიკაცია, ხოლო სხვა უფრო პრაქტიკულ დარგებში, მაგალითად, ტექნოლოგიებში კი - პატენტი<sup>10</sup>.

ტერმინი „ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა“ მომდინარეობს ცოდნის და ტექნოლოგიების მნიშვნელობის აღიარებით თანამედროვე ეკონომიკაში. ეს საზოგადოებები საქმიანობის ყველა სფეროში ცოდნის გამოყენებით ხასიათდებიან. თითქმის ყველა სფეროს საქმიანობა ეფუძნება ცოდნის გამოყენებას და ცოდნის მენეჯმენტს. არ არსებობს შეკითხვები იმასთან დაკავშირებით, რომ ცოდნა არის მთავარი მამოძრავებელი ძალა ეკონომიკური გაძლიერებისთვის<sup>11</sup>.

უნივერსიტეტები შეიცვალნენ საკმაოდ ძლიერად რეგულირებადი ინსტიტუციებიდან უფრო მეტად კოლეგიალურად გადაწყვეტილების მიმღებ ორგანიზაციებად და გახდნენ მეტად ინტერაქტიულები სოციალური განვითარების მიმართულებით.

სტატიაში მიმოვიხილეთ კვლევა, სადაც კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს უნივერსიტეტის მენეჯმენტი - ვიცე - რექტორი, დეკანი, დეპარტამენტის ხელმძღვანელები და ა.შ. კვლევაში გამოიკითხნენ დარგის წამყვანი ექსპერტები, რომლებიც სხვადასხვა

<sup>9</sup> იხ. სქოლიო 6.

<sup>10</sup> Serrano, L., Manuel, P. J., The Research Output of Universities and its Determinants: Quality, Intangible Investments, Specialization and Inefficiencies. 2016.

<sup>11</sup> იხ. სქოლიო 10.



პერსპექტივით ხედავენ უმაღლესი განათლების და კვლევის საკითხებს შვედეთში. აღნიშნული კვლევის მიზანია აკადემიური ლიდერების როლის შესწავლა წარმატებული კვლევითი გარემოს შესაქმნელად<sup>12</sup>.

ახალი ცოდნის შექმნის პროცესში გადამწყვეტი და მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტებმა გაითავისონ, რომ ახალგაზრდების, სტუდენტების დაინტერესება კვლევითი აქტივობებით გადამწყვეტია მეცნიერების განვითარებისთვის. სტუდენტების კვლევითი საქმიანობით დაინტერესების შესახებ მრავალი კვლევა ჩატარებულა. სხვადასხვა კვლევის მიხედვით, ახალგაზრდების დაინტერესება სამეცნიერო აქტივობებით მხოლოდ პრაგმატული/ მოვალეობრივი მიზნით არის განპირობებული და არ ეფუძნება მათ რეალურ კვლევით ინტერესს<sup>13</sup>.

ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, რომელიც 2013, 2015 და 2017 წლებში ფოკუს ჯგუფის მეთოდით ჩატარდა, გამოიკითხნენ განათლების სამივე საფეხურის სტუდენტები. კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ კვლევითი საქმიანობის განსავითარებლად განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს დოქტორანტურის საფეხურზე, რადგან ამ პერიოდში სტუდენტები უკვე თავად ატარებენ კვლევას. განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სადოქტორო პროგრამებს, რომელიც განაპირობებს უნივერსიტეტის კვლევითი მიმართულებით განვითარების წინაპირობას. ჩატარებული კვლევის ძირითადი დასკვნა ისაა, რომ თანამედროვე უნივერსიტეტის განვითარება, განათლების და ტრენინგების მაღალი დონე და ხარისხი უკავშირდება კვლევითი-სამეცნიერო აქტივობების წახალისებას, შესაბამისად, ახალი ცოდნის შექმნას, რაც უნივერსიტეტის ბაზაზე ხორციელდება. ამ პროცესში კი, უნივერსიტეტის ლექტორები და სტუდენტები ერთობლივად აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულები<sup>14</sup>.

აგრეთვე უნდა გაეხვას ხაზი უნივერსიტეტში დამამთავრებელ კურსზე მყოფი სტუდენტების კვლევაში ჩართულობას, რაც ინგლისური ტერმინით - undergraduate research - აღინიშნება. ხშირად ხდება, რომ სტუდენტები ისე ამთავრებენ უნივერსიტეტს, რომ მათ არ აქვთ შეხება მკვლევარ პროფესორებთან, კვლევით პროცესთან. კვლევითმა უნივერსიტეტებმა უნდა იზრუნონ, რომ მათი პროგრამების დამამთავრებელი კურსის სტუდენტები აქტიურად ჩაერთონ კვლევით საქმიანობაში, რათა ამ ფორმით გააძლიერონ სასწავლო პროცესის ხარისხიც.

საკმაოდ რთულია განმარტო ზუსტად თუ რა არის დამამთავრებელი კურსის კვლევა. ესაა კვლევა, რომელიც ტარდება საბაკალავრო საფეხურის დამამთავრებელ კურსზე მყოფი სტუდენტის მიერ, სადაც ხდება კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავება.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეესწავლა კოლეჯის და უნივერსიტეტის სტუდენტების ინტერესი მეცნიერული მიღწევებისადმი, თუ როგორ იყენებენ სტუდენტები უნივერსიტეტის დასრულების შემდგომ მიღებულ აკადემიურ ცოდნას პრაქტიკაში და რამდენად აქვთ თავად

<sup>12</sup> Carlsson, H, K., Söderholm, Anders, A. Research Quality and the Role of the University Leadership, 2014.

<sup>13</sup> Valentin, R., Pavel. I. A., The Purpose of Research in Universities. 2012.

<sup>14</sup> Manov, B., Milenkova, V., Students' research activity as a contribution to modern university, Scientific journal Anthropological Researches and Studies, 2018.

მოტივაცია, რომ შექმნან ახალი ცოდნა და ჩაერთონ კვლევით აქტივობაში. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სტუდენტები არ აანალიზებენ მიღებულ აკადემიურ ცოდნას და ნაკლებად იყენებენ პრაქტიკაში<sup>15</sup>.

მორიგი კვლევის მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტში არსებული სხვადასხვა ფაკულტეტის წარმომადგენლების შეხედულებების კვლევა უნივერსიტეტში მიმდინარე მნიშვნელოვან თემებთან დაკავშირებით. საკვლევი თემები მოიცავდა კვლევის ადმინისტრირებას, კვლევის ხარისხის საკითხს, დაფინანსების მოპოვების პროცესს, კვლევისთვის არსებულ პირობებს, ბარიერებს და მექანიზმებს კვლევის გაძლიერების მიზნით<sup>16</sup>. კვლევამ გამოავლინა, რომ უნივერსიტეტში არსებულ ფაკულტეტებზე მწირია კვლევისთვის შესაფერისი, როგორც ფინანსური, ასევე ტექნიკური პირობები, ასევე, კვლევის ხარისხის გასაუმჯობესებლად აუცილებელია, რომ გამარტივდეს კვლევის დაფინანსების წყაროები, გამოყოფილი იყოს აკადემიური პერსონალისთვის კვლევისთვის ადეკვატური დრო, რათა ისინი აქტიურად ჩაერთონ კვლევის პროცესში.

## 2. კვლევის შედეგები

თვისებრივი კვლევის ნაწილში მონაწილეობა მიიღეს, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ საქართველოში მოქმედი 10 უნივერსიტეტის/სასწავლო უნივერსიტეტის კვლევითი სამსახურის 15 წარმომადგენელმა, რომლებიც კვლევაში უმაღლესი განათლების სფეროში სამეცნიერო და კვლევითი მიმართულებით დარგის ექსპერტებად გვევლინებიან.

რესპონდენტების უმრავლესობის აზრით, უნივერსიტეტის საქმიანობაში კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობა გადამწყვეტი და მნიშვნელოვანია, რადგან კვლევითი პროცესის საშუალებით ხდება ცოდნის უწყვეტობის შენარჩუნება, ახალი ცოდნის თუ სამეცნიერო ლიტერატურის შექმნა. ასევე, კვლევითი საქმიანობა უნივერსიტეტებისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ამ პროცესში ვითარდება, როგორც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ასევე, სტუდენტებიც. აგრეთვე, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი ეს არის ადგილი, სადაც იქმნება მეცნიერება და მნიშვნელოვანია ახალი ცოდნის შექმნის პროცესს ჰქონდეს ხელშეწყობა უნივერსიტეტებისგან. ასევე, დაფიქსირდა მოსაზრება, რომ კვლევითი საქმიანობა ავითარებს ლოგიკურ და კრიტიკულ აზროვნებას, და ის მნიშვნელოვანია, როგორც სხვადასხვა დარგის განვითარებისთვის, აგრეთვე, ამ დარგების პროფესიონალების ჩამოყალიბებისთვის.

რესპონდენტების უმრავლესობის აზრით, უნივერსიტეტში წარმოებული კვლევითი აქტივობები უნდა ემსახურებოდეს პირველ რიგში - ახალი ცოდნის შექმნას, უნივერსიტეტის განვითარებას, აკადემიური პერსონალის განვითარებას. შემდგომ მოდის მოსაზრება, რომ კვლევითი საქმიანობა უნდა უწყობდეს ხელს სტუდენტების განვითარებას, უნივერსიტეტის

<sup>15</sup> Al-Hassanieh, S., University Students' Role in Improving Scientific Research Systems. Higher Institute of Administration Development (HIAD), Damascus University, 2006.

<sup>16</sup> Al-Sulaiman, A., Al-muhanna, A., Abumadin, M. Research and Research Activities in a University in Eastern Saudi Arabia, Scientific Journal Saudi Medical Journal, 2002.

რეპუტაციის ზრდას, საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებას, ეკონომიკის განვითარებას და რესპონდენტების მხრიდან ყველაზე მცირე პასუხების რაოდენობა ერგო - სტუდენტების დასაქმებას.

რესპონდენტების უმრავლესობის თქმით, სამეცნიერო კვლევა უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ ღირებულებებს - აკადემიურ კეთილსინდისიერებას, ინფორმაციის ვალიდურობას და სანდოობას, ხოლო შემდგომ მოდის აკადემიური თავისუფლება და კვლევის ინოვაციურობა/თანამედროვეობა.

რესპონდენტების აზრით, საქართველოში მეტნაკლებად აქტიურად ტარდება სამეცნიერო კვლევები ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო და სამედიცინო, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების, ტექნიკური მიმართულებით. თუმცა, მათი მოსაზრება არ ეფუძნება რაიმე კონკრეტულ მონაცემებს, და მხოლოდ რესპონდენტების რეფლექსიას და დაკვირვებას წარმოადგენს. აგრეთვე, მათი დაკვირვების საფუძველზე გამოვლინდა, რომ სამეცნიერო კვლევები საქართველოში საჭიროებს განვითარებას შემდეგ სფეროებში - ეკონომიკა და ბიზნესი, ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო, თანამედროვე ტექნოლოგიები, სახელოვნებო დარგები.

საქართველოში კვლევითი საქმიანობის მთავარ გამოწვევად სახელდება ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე კვლევითი პროექტების განხორციელების მიზნით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის არსებული მატერიალური და ფინანსური რესურსების სიმწირე, დაფინანსების მოძიების საკითხი.

ასევე, პრობლემატურია კვლევითი საქმიანობისთვის შესაბამისი ადამიანური რესურსის მოძიება, აკადემიურ პერსონალს ნაკლებად აქვს კვლევითის დრო და ფინანსები. ასევე, საქართველოში დეფიციტურია იმფაქტ ფაქტორიანი ჟურნალები, შესაბამისად, არსებობს სამეცნიერო ლიტერატურის სიმწირე, ასევე, იშვიათია კვლევების ინტერნაციონალიზაცია. რესპონდენტების თქმით, საქართველოში ნაკლებად არსებობს კვლევების შედეგების და რეკომენდაციების გამოყენების პრაქტიკა.

ასევე, უნივერსიტეტებს არ აქვთ მკვეთრად გამოყოფილი კვლევითი პრიორიტეტები, რაც ასევე, რესპონდენტების მხრიდან დასახელდა, როგორც ერთ-ერთი პრობლემა საქართველოში კვლევების მიმართულებით არსებული გამოწვევების სიაში. აგრეთვე, გამოწვევად დასახელდა აკადემიური პატიოსნება, რაც მოიცავს ზოგად აკადემიურ კეთილსინდისიერებას და პლაგიატის შესახებ ცნობიერების არსებობის საკითხს.

რესპონდენტების უმეტესობის აზრით, კვლევის საგნიდან გამომდინარე აუცილებელია ინტერდისციპლინური მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს დასკვნების ვალიდურობას და სანდოობას. ასევე, ინტერდისციპლინური კვლევა ზრდის კვლევის არეალს და ხელს უწყობს კვლევების ინტერნაციონალიზაციას. რესპონდენტთა აზრით, ინტერდისციპლინური მიდგომა კვლევის პროცესში აუცილებელიცაა, რადგან განაპირობებს კვლევის მაღალ ხარისხს, იძლევა მეტად მრავალფეროვან ინფორმაციას.

რესპონდენტების უმრავლესობის აზრით, აუცილებელია უნივერსიტეტში მიმდინარე თუ დასრულებული კვლევითი საქმიანობის პროცესების პოპულარიზაცია და გაშუქება, ფართო აუდიტორიისთვის გაცნობა. კვლევების პოპულარიზაციის პროცესში რესპონდენტებმა

დასახელებს შემდეგი მედია საშუალებები, რომელთა გამოყენებაც ყველაზე ეფექტური შეიძლება აღმოჩნდეს კვლევების პოპულარიზაციის პროცესში - სოციალური ქსელები, საერთაშორისო ონლაინ მედია პლატფორმები, ვებგვერდი, ბოლოს კი დასახელდა, ტრადიციული მედია საშუალებები: ტელევიზია, რადიო, ჟურნალი და ა. შ.

რესპონდენტების უმრავლესობის აზრით, აუცილებელია კვლევითი საქმიანობით ახალგაზრდების დაინტერესება, რათა მოხდეს ახალი ცოდნის შექმნის უწყვეტობის შენარჩუნება. ამისათვის კი, რესპონდენტებმა დასახელებს სტუდენტებისა და ლექტორების ერთობლივი კოლაბორაციული პროექტები. სასურველია არსებობდეს ახალგაზრდა მეცნიერთა წამახალისებელი ფონდი, სადაც სტუდენტები ჩაერთვებიან სამეცნიერო საქმიანობაში. უნივერსიტეტის დანიშნულებად რესპონდენტები ხედავენ ახალი ცოდნის შექმნას, დაგროვებას და გადაცემას მომავალი თაობებისთვის. ასევე, დასახელდა, რომ უნივერსიტეტმა უნდა მოამზადოს კვალიფიციური პროფესიონალები, შეუწყოს ხელი განათლებული საზოგადოების წინსვლას და განვითარებას. ასევე, ჩამოაყალიბოს მოქალაქე. რესპონდენტების აზრით, დღევანდელ დღეს უნივერსიტეტი დგას სხვადასხვა გამოწვევის წინაშე. ეს გამოწვევებია: ზოგადად სამეცნიერო საქმიანობის გაუფასურება, ახალგაზრდების ნაკლებად დაინტერესება სამეცნიერო საქმიანობით, კვლევები ორიენტირებულია მეტად რაოდენობაზე და არა ხარისხზე.

კვლევის მონაწილეების აზრით, უნივერსიტეტი უნდა იდგეს შემდეგ მნიშვნელოვან ღირებულებებზე: ცოდნა და ამ ცოდნის ხელმისაწვდომობა, ურთიერთპატივისცემა კოლეგებს შორის, შრომის დაფასება და წახალისება, აკადემიური თავისუფლება, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება, პროფესიონალიზმი და კეთილსინდისიერება, განათლება და განვითარება. ბოლოს კი, კითხვაზე, თუ რა არის ის მნიშვნელოვანი ღირებულებები, რომელზეც უნდა იდგეს უნივერსიტეტი, რესპონდენტებმა დასახელებს შემდეგი ღირებულებები: აკადემიური პატიოსნება და თავისუფლება, ცოდნისადმი პატივისცემა, განვითარება, ახალი ცოდნისადმი გახსნილობა, აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს შორის პატივისცემა, შრომის დაფასება, ჰუმანიზმი და სოციალური პასუხისმგებლობა, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება, პიროვნული რესურსების რეალიზება, ინტერდისციპლინური და ინტერკულტურული მიდგომა სწავლების და კვლევის პროცესში.

კვლევიდან გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევა უმაღლესი განათლების სფეროში, რომელიც შეიძლება რეკომენდაციების სახით იქნეს წარმოდგენილი სტატიაში. ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ქართული უმაღლესი განათლების სფეროში სამეცნიერო კვლევების დაფინანსების საკითხი. ასევე, აქტუალურია უმაღლესი განათლების სფეროს განვითარების პროცესში კვლევების ინტერნაციონალიზაცია, რაც გულისხმობს სამეცნიერო-კვლევით დონეზე შესაძლებლობების გაზრდას, ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევითი პროექტების და აქტივობების განხორციელებას. აგრეთვე, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია გაიზარდოს საქართველოში იმფაქტ ფაქტორიანი სამეცნიერო ჟურნალების რაოდენობა. ასევე, იქიდან გამომდინარე, რომ უნივერსიტეტებში მკვლევრებს აქვთ ნაკლები დრო და ფინანსები ატარონ კვლევები, საქართველოში არსებობს სამეცნიერო ლიტერატურის სიმწირე, რაც აგრეთვე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება აღნიშნულ სფეროში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პრობლემატურ საკითხია უკვე ჩატარებული კვლევების შედეგების და რეკომენდაციების გამოყენების საკითხი, რაც წესით ხელს უნდა უწყობდეს სხვადასხვა დარგის განვითარებას. ბოლოს კი, არ არსებობს ახალგაზრდა მეცნიერთა წამახალისებელი შესაძლებლობები, რომელიც მიმართული იქნება გააუმჯობესოს და განავითაროს ახალი მეცნიერული ცოდნის შექმნის პროცესი ჩვენს ქვეყანაში, შესაბამისად, სასურველია, რომ მოხდეს ახალი თაობის დაინტერესება კვლევითი საქმიანობით.

გარდა უმაღლესი განათლების სფეროში არსებული გამოწვევებისა, კვლევამ გამოავლინა, რომ უნივერსიტეტის მთავარი ფუნქცია დღევანდელ რეალობაში არის ახალი მეცნიერული ცოდნის დაგროვება და მომავალი თაობებისთვის გადაცემა. აღსანიშნავია, რომ ჩატარებული მცირედი გამოკითხვის შედეგები ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტის დანიშნულებად აღიქმება ახალი ცოდნის დაგროვება, პროფესიონალი კადრების ჩამოყალიბება ბაზრისთვის და მოქალაქეობრივი ცნობიერების ხელშეწყობა.

## დასკვნა

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, შესაძლებელია შევაჯამოთ, რომ კვლევითი საქმიანობა უმაღლესი განათლების სფეროში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს და მას უმთავრესად ახალი ცოდნის შექმნის ფუნქცია აკისრია. კვლევითი საქმიანობა ხელს უწყობს პერსონალის და სტუდენტების განვითარებას, თანამედროვე მოქალაქის ჩამოყალიბებას და ქმნის სხვადასხვა დარგის განვითარებისთვის მყარ საფუძველს. აღსანიშნავია, რომ ზოგადად, როგორც საერთაშორისო, ასევე, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდა თაობა ნაკლებად არის დაინტერესებული კვლევითი საქმიანობით, რაც სასურველია გახდეს უნივერსიტეტებისთვის წამყვანი პრიორიტეტი.

ასევე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკაში დაინერგოს უკვე ჩატარებული კვლევების შედეგების გამოყენება ამა თუ იმ სფეროს განვითარების მიზნით და მათი პოპულარიზაცია. აქტუალურ საკითხად რჩება კვლევების ინტერნაციონალიზაცია, სასურველია მოხდეს ქართველი აკადემიური პერსონალის ხელშეწყობა იმ მხრივ, რომ მათ შეძლონ საკუთარი საქმიანობის წარდგენა საერთაშორისო მაღალ იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში, ასევე, საერთაშორისო კონფერენციებზე.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტებში/სასწავლო უნივერსიტეტებში ჩატარებული კვლევები ინტეგრირებულია სასწავლო პროცესებში და ეს კი ქმნის სწორედ ახალ სამეცნიერო, სასწავლო ლიტერატურას, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა დარგის, ასევე, ამ დარგში მოღვაწე პროფესიონალების განვითარებას და წინსვლას. შესაბამისად, სასურველია, რომ წახალისდეს მეტად ახალი ქართული სამეცნიერო ლიტერატურის შექმნა და ასევე, მათი ფართო საზოგადოებისთვის წარდგენა.

### ბიბლიოგრაფია

1. Al-Hassanieh, Salim, University Students' Role in Scientific Research, conference paper, 2016;
2. Al-Hassanieh, S., University Students' Role in Improving Scientific Research Systems. Higher Institute of Administration Development (HIAD), Damascus University, 2006;
3. Al-Sulaiman, Abdulsalam, Al-muhanna, Abdulsalam, Abumadin, Mahdi. Research and Research Activities in a University in Eastern Saudi Arabia, Scientific Journal Saudi Medical Journal, 2002;
4. Berdahl, Robert M., Research Universities: Their Value to Society Extends Well Beyond Research, Association of American Universities, 2009;
5. Carlsson, Hakan, Kettis, Asa, Söderholm, Anders, Research Quality and the Role of the University Leadership, 2014;
6. Carpentier, Vincent, Historical Perspective, Research in Higher Education in Encyclopedia of International Higher Education Systems and Institutions. Springer, 2018;
7. A El-Dakhs, Dina, Undergraduate Research: Importance, Challenges and Success Stories, Conference paper, 2010;
8. Lamanauskasa, Vincentas, Augien, Dalia. Development of Scientific Research Activity in University: A Position of the Experts, 2015;
9. Lakhotia, Subhash, Research and Innovation in Universities: Why and How These Should Promoted in book Quality Mandate for Higher Education Institutions in India. University Grants Commission, 2021;
10. Manov, Boris, Milenkova, Valentina. Students' research activity as a contribution to modern university, Scientific journal Anthropological Researches and Studies, 2018;
11. Pavel, Ileana-Alexandra, Radoi, Valentin, The Purpose of Research in Universities, 2012;
12. Serrano, Lorenzo, Pastor José Manuel, The Research Output of Universities and its Determinants: Quality, Intangible Investments, Specialization and Inefficiencies, 2016;
13. Tripp, Simon, Helwig, Ryan, Yetter, Dylan. With Examples of their Functional Role and Impacts Within the State of Indiana, 2017;
14. Vessuri, Hebe, The Role of Research in Higher Education: Implications and Challenges for an Active Contribution to Human and Social Development in book Higher Education in the World 3, 2008;
15. Universities Without Walls: A Vision for 2030, European University Association, 2021 <https://eua.eu/downloads/publications/universities%20without%20walls%20%20a%20vision%20for%202030.pdf>; [უკანასკნელად გადამოწმდა: 09.11.2022].

# სოციალური მუშაობა





## ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის არსებული მექანიზმის გამოწვევები კოვიდ -19 პანდემიის პირობებში საქართველოსა და შვეიცარიაში

**რუდი მაიერი**

დოქტორი, პროფესორი,  
აღმოსავლეთ შვეიცარიის უნივერსიტეტი

**ანა ფირცხალაშვილი**

სამართლის დოქტორი, პროფესორი,  
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

**გაბრიელა შმიდი**

პროფესორი,  
აღმოსავლეთ შვეიცარიის უნივერსიტეტი

**ნია ძერია**

ექსპერტი

### აბსტრაქტი

COVID-19 პანდემიის წინააღმდეგ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. მათ შორის იყო საქართველო და შვეიცარიაც. სხვადასხვა სახელმწიფო, მართალია, სხვადასხვა მეთოდით ებრძოდა პანდემიას და შესაბამისად საგანგებო მდგომარეობაც სრული ან ნაწილობრივი, გრძელ ან მოკლევადიანი ვადით გვხვდებოდა, თუმცა ფაქტია, რომ პანდემია მთელს მსოფლიოში სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური საქმიანობის შემაფერხებელი უმთავრესი ფაქტორი გახდა.

მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ვირუსით დაინფიცირების პრევენციის მიზნით თვითიზოლაციაში ან კარანტინში იმყოფება. ეს პროცესები ერთი მხრივ, ვირუსის გავრცელების პრევენციას, მეორე მხრივ კი, უამრავი ადამიანის პოტენციურ მოძალადესთან ერთ სივრცეში იზოლირებას უკავშირდება.

შესაბამისად კვლევის ავტორებისთვის, საინტერესო იყო, თუ როგორ რეაგირებდა ორი საკვლევი სახელმწიფო (საქართველო და შვეიცარია) არსებულ გამოწვევებზე. შეიცვალა თუ არა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის მეთოდები და კონკრეტულად რა პრობლემები გამოიკვეთა. კვლევა ემსახურება პრობლემების გამოკვეთას, შეფასებას ძალადობის გაზრდილი რისკების შესახებ და საბოლოოდ ძალადობის ზრდის პრევენციის მიზნით განხორცილებული ღონისძიებების შეფასებას ორ დასახელებულ ქვეყანაში. საბოლოოდ კი, სტატიაში შეფასდება და შეჯამდება საპასუხო ღონისძიებები და გამოიკვეთება

რეკომენდაციები, რომლებიც კრიზისულ მდგომარეობაში იქნა ან ვერ იქნა განხორციელებული, და ჩამოყალიბდება რეკომენდაციები.

სტატიაში დასახელებული კვლევა ჩატარდა შვეიცარიის საერთაშორისო მობილობის პროექტ „MOVETIA“ ფარგლებში. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-სა და შვეიცარიის აღმოსავლეთ უნივერსიტეტის მხარდაჭერით და მათი პროფესორების, ექსპერტებისა და სტუდენტთა ჩართულობით. კვლევაში, გარდა სტატიის ავტორებისა ჩართული იყო პროფესორი ინა შანავა. ასევე, სტუდენტები მარიამ ესაიაშვილი, ანა ცირეკიძე, ნინა მალენ, დავიდ ზანიტი, ნიკოლაი ლაიბ და კრისტინა პასკოვ.

**საკვანძო სიტყვები:** COVID-19 პანდემია, ოჯახში ძალადობა, პრევენცია, ქალთა მიმართ ძალადობა.

## შესავალი

ზოგადად, კრიზისების პერიოდში, მათ შორის, ეპიდემიის დროს, არსებობს ქალთა მიმართ ძალადობის ზრდის ტენდენცია.<sup>1</sup> თითქმის ყველა ქვეყანაში გაიზარდა ძალადობის მსხვერპლი ქალების რიცხვიც.<sup>2</sup> ძალადობის რისკს ასეთ შემთხვევაში სხვადასხვა გარემოება ამწვავებს, მაგალითად, პანდემიით გამოწვეული შიში, სტრესი, გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობა, რაც მოძალადისთვის შესაძლოა მაპროვოცირებელი ფაქტორი გახდეს.<sup>3</sup> ამასთან, მსხვერპლი უფრო მეტ დროს ატარებს ოჯახის მოძალადე წევრთან, რის გამოც, მისგან თავის დაღწევა რთულდება - მსხვერპლმა შესაძლოა ვერ მოახდინოს განმარტოება და, შესაბამისად, სამართალდამცავ უწყებებში დარეკვა.

არამხოლოდ პანდემიის პირობებში, არამედ პანდემიამდეც, სტატისტიკა ცხადყოფდა, რომ ოჯახური დანაშაული ისევე, როგორც ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა, ყველა საზოგადოების უნივერსალურ რეალობას წარმოადგენს და მთელს მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული კომპლექსური პრობლემაა, რომელსაც, სპეციფიკური ხასიათისა და სოციალური საშიშროების გათვალისწინებით, დამანგრეველი შედეგები მოყვება არა მხოლოდ დაზარალებულისთვის, არამედ მთლიანად საზოგადოებისთვის.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მკაცრი ე.წ. ლოკდაუნი, ორ შესაძარებელ ქვეყანაში-საქართველოსა და შვეიცარიაში, სხვადასხვა ხანგრძლივობით ხასიათდებოდა. თუკი შვეიცარიაში იზოლაციის მკაცრი ზომები მხოლოდ 2-3 თვე გრძელდებოდა, საქართველოში იგი თითქმის 3 ჯერ მეტად ხანგრძლივი იყო. გარდა ამისა, კვლევის პროცესში გასათვალისწინებელი ფაქტორი იყო, კოვიდ-19-მდე მდგომარეობა, საქართველოსა და შვეიცარიაში, სერვისების მიწოდების მხრივ. სხვადასხვა მოცემულობიდან გამომდინარე, შედარებითი ანალიზი ვერ იქნება ბოლომდე ზუსტი, თუმცა სიტუაციური (კოვიდ-19 ის

<sup>1</sup> World Health Organization, COVID-19 and violence against women, 26 მარტი, 2020; UN Women, COVID-19 and Ending Violence Against Women and Girls.

<sup>2</sup> United Nations, UN chief calls for domestic violence 'ceasefire' amid 'horrifying global surge', 6 აპრილი, 2020.

<sup>3</sup> ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის გავლენა ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობაზე. A Gender Lens on COVID-19: Pandemics and Violence against Women and Children | Center for Global Development | Ideas to Action (cgdev.org) [უ. გ. 21.12.2022].

პანდემია) ანალიზიდან გამომდინარე, შედარება არის რელევანტური და მისი შედეგები საინტერესოა დაინტერესებული ექსპერტული წრეებისა და ფართო საზოგადოებისათვის.

### 1. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი იყო საქართველოსა და შვეიცარიაში ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ არსებული სერვისების განხორციელებაში არსებული გამოწვევების, კოვიდ-19 პანდემიის პირობებში აღნიშნული სახელმწიფოების ადაპტაციის პროცესის შესწავლა და შედეგების შედარება. მიზნიდან გამომდინარე, გამოყენებულ იქნა კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები.

საქართველოს კვლევის რაოდენობრივ გამოკითხვაში 77-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ ადამიანები, რომელთა საქმიანობაც უკავშირდება ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებს - ქვეყნის მასშტაბით არსებული საჯარო და კერძო სექტორის თავშესაფრების, კრიზისული ცენტრებისა და ძალადობის მსხვერპლებთან მომუშავე ორგანიზაციების თანამშრომლები (ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები და იურისტები). პირდაპირი გამოკითხვისთვის შემუშავდა კითხვარი, მონაცემები დამუშავდა SPSS 23 - ის გამოყენებით. თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა ნახევრად სტრუქტურირებული თვისებრივი საკვანძო ინფორმაციული ინტერვიუები - სიღრმისეული ინტერვიუები, რომლებიც ოთხ ექსპერტთან ჩატარდა. თვისებრივ მონაცემთა ანალიზი კონტენტ ანალიზის მეთოდით განხორციელდა.

თვისებრივ კვლევაში გამოყენებულ იქნა მიზნობრივი შერჩევა, რაოდენობრივ კვლევაში გამოყენებულ იქნა ხელმისაწვდომი შერჩევა.

კვლევის შვეიცარიული ნაწილი შვეიცარიის მასშტაბით ოჯახურ ძალადობაზე მომუშავე ორმოცდაათოთხმეტე (N=54) თავშესაფრის, კრიზისული ცენტრისა და საკონსულტაციო ცენტრისთვის დაგზავნილ ონლაინ კითხვარს მეთოდურად ეფუძნებოდა. კითხვარი მოიცავდა როგორც ღია, ისე ნახევრად ღია ტიპის შკალირებულ შეკითხვებს. შერჩეულ ცენტრებს ონლაინ კითხვარის ბმული თანმხლებ წერილთან ერთად 2 ივნისს დაეგზავნათ, რასაც 10 დღის ვადაში ორი წერილობითი შეხსენებაც მოჰყვა. პასუხის გაცემისთვის ვადა 2022 წლის 17 ივნისამდე მოვითხოვეთ. პასუხები სრულიად ანონიმური იყო და ცენტრის გამჟღავნების საშუალებას არ იძლეოდა. შეფასება ისეთ რაოდენობრივ ასპექტებს მოიცავდა, როგორცაა სტატისტიკური მონაცემები, ხოლო თვისობრივი ასპექტები კონტენტ ანალიზის საფუძველზე დადგინდა.

### 2. რაოდენობრივი კვლევის შედეგები (საქართველო)

მონაცემების დამუშავების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით (92,2%), მსხვერპლები შეტყობინების გასაკეთებლად ყველაზე ხშირად პოლიციას (112) მიმართავენ. გამოკითხულთა ნაწილი (5,2%) მიიჩნევს, რომ მსხვერპლები ძალადობის ცხელ ხაზს (116 006) იყენებენ აქტიურად, ხოლო რესპონდენტთა დარჩენილი ნაწილის მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა მექანიზმს მიმართავენ მსხვერპლები ძალადობის შესახებ შეტყობინების

გასაკეთებლად, თანაბრად ნაწილდება ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზსა (1505) და არასამთავრობო ორგანიზაციებზე (1,3% და 1,3%).

მსხვერპლთა სოციო-ეკონომიკური სტატუსის თვალსაზრისით, კვლევის მონაწილეთა 74%-ის თანახმად, თავშესაფარში მყოფ მსხვერპლებს ხშირად აქვთ სოციალურად დაუცველის სტატუსი, 14.3% მიიჩნევს, რომ სტატუსის მქონე მსხვერპლები თავშესაფრებში იშვიათად ხვდებიან, ხოლო 11.7%-ის თანახმად, თავშესაფარში მყოფ მსხვერპლებს თითქმის ყოველთვის აქვთ სოციალურად დაუცველის სტატუსი.

რაც შეეხება სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მსხვერპლთა რიცხვის ცვლილებას კოვიდ-19 პანდემიის პირობებში, კვლევის მონაწილეთა 53.2%-ის თანახმად, გაიზარდა დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე მსხვერპლთა მიმართვიანობა. იგივე ნიშნით, რესპონდენტთა 11.7% მიიჩნევს, რომ გაიზარდა მაღალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე მსხვერპლთა მიმართვიანობა, ხოლო 35.1%-ის თანახმად, აღნიშნული თვალსაზრისით ცვლილებები არ გამოვლენილა.

კვლევის ერთ-ერთ ინტერესის საგანს წარმოადგენდა კოვიდ -19 პანდემიის პირობებში გამოვლენილი ძალადობის დომინანტური ფორმა. მიღებული მონაცემების დამუშავების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ რესპონდენტთა 49.4% ფიზიკური ძალადობის ფორმას გამოყოფს, 46.8% ფსიქოლოგიურ ძალადობას, ხოლო 3.9% ეკონომიკური ძალადობის მატებაზე აკეთებს აქცენტს.

იმისათვის, რომ განსაზღვრულიყო თუ ვის ასახელებენ ძალადობის მსხვერპლები უფრო ხშირად მოძალადეებად, შედეგების დამუშავების საფუძველზე დადგინდა, რომ რესპონდენტების გამოცდილებით, მსხვერპლები განსაკუთრებულად გამოარჩევენ ძალადობას პარტნიორისა (68,8%) და ყოფილი პარტნიორის (15,6%) მხრიდან.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში რესპონდენტებმა უპასუხეს შეკითხვას პანდემიის დროს მსხვერპლებისათვის სერვისების მიწოდების თვალსაზრისით გამოვლენილი გამოწვევების შესახებ. პასუხების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მოპასუხეთა 68,8% მიიჩნევს, რომ აღნიშნული მიმართულებით არანაირი სირთულე არ გამოვლენილა. ხოლო, რესპონდენტთა 31.2% შემდეგ გამოწვევებს ასახელებს: „ტრანსპორტირების პრობლემა“; „ღამის საათებში უსაფრთხო ადგილზე გადასაყვანად კოვიდ ტესტის გაკეთება“; „პანდემიის დროს სოციალური იზოლაცია (ჩაკეტვა)“; „მსხვერპლებთან დაკავშირება, ინტერვენცია, რეალური ძალადობის იდენტიფიცირება“; „ინფორმაციული ვაკუუმი“; „იზოლაციის 14 დღიანი პერიოდის გატარება იზოლირებულად, თავშესაფარში მოხვედრამდე“; „ფსიქოლოგიური და ეკონომიკური დახმარება“; „ფსიქოლოგის მომსახურება“.

შეკითხვაზე იყო თუ არა მიღებული რაიმე განსაკუთრებული ზომები მსხვერპლთათვის სერვისების ეფექტურად მიწოდების თვალსაზრისით კოვიდ პანდემიის დროს, რესპონდენტთა 55.8%-მა უარყოფითი, ხოლო 44.2%-მა დადებითი პასუხი დააფიქსირა. რესპონდენტებმა ძირითადად გამოყვეს შემდეგი აქტივობები: „შეიქმნა აპლიკაცია, რომლის საშუალებითაც მსხვერპლს შეუძლია ხმოვანი სიგნალით მოითხოვოს დახმარება“; „მოხდა

ტრანსპორტირების უზრუნველყოფა“; „კოვიდის მკურნალობა, ჯანდაცვის სერვისები“; „ფსიქოლოგიური დახმარება, კრიზისულ პროგრამაში ჩართვა“.

იმისათვის, რომ დადგენილიყო რამდენად უზრუნველყოფილი იყო კოვიდ პანდემიის პირობებში იმ უწყებებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობა, რომლებიც ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის მომსახურების გაწევის პროცესში იყვნენ ჩართული, მიღებული მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ რესპონდენტთა 46.8%-ის თანახმად ხშირად, 39.0%-ის თანახმად თითქმის ყოველთვის, 13.0%-ის თანახმად იშვიათად, ხოლო 1.3%-ის თანახმად თითქმის არასდროს იყო უზრუნველყოფილი ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის მომსახურების გაწევის პროცესში სხვადასხვა უწყებებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობა.

იმის დასადგენად, კოვიდ პანდემიის პირობებში მსხვერპლთა რესურსებით გაძლიერების თვალსაზრისით გამოვლინდა თუ არა რაიმე შეფერხება, კვლევის შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ 68.8%-ის თანახმად არ გამოვლენილა, ხოლო 31.2%-ის თანახმად გამოიკვეთა შეფერხებები. რესპონდენტთა მიერ ძირითად სირთულედ დასახელდა: „სოციალურად დაუცველის სტატუსის არქონის შემთხვევაში, დისტანციური რეჟიმის გამო, დროში სტატუსის მინიჭების პროცესის გაჭიანურება - მომართვაზე ეფექტური რეაგირების დაგვიანება“; „გადაადგილების შეფერხება, თავშესაფრის სერვისის გადავსება“; „დასაქმების კუთხით, პანდემიის პირობებში დასაქმების ადგილების უფუნქციოების გამო“; „პროფესიული გადამზადება და დასაქმება, რომელიც მსხვერპლის გაძლიერებას გულისხმობს“; „ფსიქოლოგის ონლაინ მომსახურების ნაკლებ ეფექტურობა“.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, რესპონდენტებმა შეაფასეს ძალადობის საქმეების განხილვა დისტანციური სასამართლო პროცესების პირობებში. მოპოვებული მონაცემების გაანალიზების საფუძველზე დადგინდა, რომ რესპონდენტთა 27.3%-ის შეფასება დადებითი, 26%-ის კი უარყოფითია. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა 46.8%-მა აირჩია პასუხი „მიჭირს პასუხის გაცემა“.

კვლევის მონაწილეებმა ასევე შეაფასეს კოვიდ-19 პანდემიის პირობებში, სამუშაო პროცესში გამოვლენილი სირთულეებიც. რესპონდენტთა 55.8%-ის თანახმად არანაირი სირთულე მათ სამუშაო პროცესში არ გამოკვეთილა. კვლევის მონაწილეთა 44.2%-მა დადებითი პასუხი დააფიქსირა და ღია კითხვებზე მიღებული პასუხებით, მონაწილეების მხრიდან შემდეგი სირთულეები გამოიკვეთა: „მომალადებთან მუშაობის გართულება, ტექნიკური საშუალებების ხელმისაწვდომობის სირთულე“; „ბენეფიციარის მხრიდან საჭიროებებზე მიმართვიანობის გაძნელება, შიში მიმართვიანობის“; „პირადად შეხვედრის შესაძლებლობის ნაკლებობა“; „გადაადგილების, დაავადების რისკი“; „მცირეწლოვან, დამოკიდებულ პირებთან ონლაინ კონსულტაციები და შეხვედრები“; „პირისპირ შეხვედრის ორგანიზება, მათ შორის უტრანსპორტობის გამო“; „გართულდა შეფასების პროცედურები“; „კიდევ უფრო დიდ სტრესთან იყო დაკავშირებული მუშაობა, თან ახლდა ნერვიულობა ჯანმრთელობაზე, როგორც საკუთარ თავზე, ასევე ბენეფიციარებზე. ასევე ბარიერი იყო მონიტორინგის მხრივ“; „იყო ტრანსპორტირების სირთულე“; „პანდემიის პირობებში უსაფრთხოების დაცვის მიზნით არ სურდათ უცხო პირის სახლში მიღება“;

### 3. თვისებრივი კვლევის შედეგები (საქართველო)

ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ არსებულ სერვისებში ჩართულმა ექსპერტებმა უპასუხეს შეკითხვებს კოვიდ-19 პანდემიის პირობებში გამოვლენილი გამოწვევებისა და სირთულეების შესახებ. თვისებრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღეს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებმა.

მთავარ პრობლემად რესპონდენტებმა კომუნიკაციის თვალსაზრისით გამოვლენილი სირთულეები გამოყვეს, რომლის თანახმადაც, სავარაუდო მსხვერპლებს ექმნებოდათ დაბრკოლებები დახმარების თხოვნით მიემართათ პოლიციისთვის. ლოქდაუნი მნიშვნელოვანი გამოწვევა გახდა გადაადგილების თვალსაზრისითაც. კერძოდ, ძალადობის სავარაუდო მსხვერპლები სატრანსპორტო მიმოსვლის შეჩერების გამო ვერ მიდიოდნენ პოლიციაში, რათა გაეკეთებინათ განაცხადი საკუთარ პრობლემებთან დაკავშირებით. რესპონდენტებმა კომუნიკაციის მთავარ მექანიზმებად გამოყვეს 112 (პოლიცია), 116 006 (ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციო ცხელ ხაზი), სოციალური ქსელები (ფეისბუქ გვერდი) და აღნიშნეს, რომ რადგანაც მოძალადესთან ერთ სივრცეში ყოფნის გამო სავარაუდო მსხვერპლები ვერ ახერხებდნენ ხშირად ზარის განხორციელებას, მეზობლებისა და გარეშე პირების საშუალებით აწვდიდნენ დახმარების საჭიროების შესახებ ინფორმაციას როგორც პოლიციას, ასევე თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებს. კერძო სექტორის წარმომადგენლის თანახმად, აღნიშნულმა მათთვის გააჩინა ისეთი აპლიკაციის შექმნის საჭიროება, რომელიც ქალებს დარეკვის გარეშე პოლიციისთვის შეტყობინების გაგზავნის შესაძლებლობას მისცემდა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის აპლიკაცია შეიქმნა, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს ბაზაზე.

როგორც რესპონდენტები მიუთითებენ, საწყის ეტაპზე სირთულეები ასევე იქმნებოდა კოვიდ-დადებითი მსხვერპლების შემთხვევაშიც. იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობდა გამოცდილება, ჭიანჭურდებოდა სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება. არაეფექტური იყო დისტანციურ რეჟიმში ჩატარებული გამოკითხვა, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად ართულებდა საქმეზე დროულ რეაგირებას.

საჯარო სექტორის წარმომადგენელმა დაწესებულებაში (თავშესაფარი) მთავარ პრობლემად გამოყო ტექნიკური აღჭურვილობის სიმცირე. მსხვერპლზე დამოკიდებულ პირთა, არასრულწლოვანთა რაოდენობის გამო, თავშესაფარს უჭირდა მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში დისტანციურ რეჟიმში ჩართვის უზრუნველყოფა. იყო შემთხვევებიც, როცა დაწესებულების თანამშრომლებმა პირადი კომპიუტერებითა და ტელეფონებით ასარგებლეს მოსწავლეები. არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტის თანახმად, კოვიდპანდემიის საწყის ეტაპზე გამოიკვეთა სირთულეები გადაადგილებასთან დაკავშირებით. მხოლოდ საშვით იყო ნებადართული ტრანსპორტირება, რაც აფერხებდა მათ პროფესიულ საქმიანობას. თუმცა, მას შემდეგ, რაც აღნიშნული პრობლემა გამოიკვეთა, იურისტებისთვის ნებადართული გახდა გადაადგილება საადვოკატო ორდერისა და მოწმობის საპატრულო პოლიციისთვის ჩვენების საფუძველზე.

რესპონდენტთა თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვანი განსხვავებები ქალთა მიმართ გამოვლენილ ძალადობის ფორმებში არ გამოკვეთილა, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა შესაძლოა მაინც უფრო მეტად გამოიყოს.

საჯარო სექტორის დაწესებულებაში განთავსებული ბენეფიციარებისთვის, რომლებსაც უწევდათ სამსახურში გამოცხადებულიყვნენ, უზრუნველყოფილი იყო ტრანსპორტირება, რაც ასევე განპირობებული იყო უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული დაინფიცირების რისკი საზოგადოებრივ ტრანსპორტში. თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულმა ცენტრმა 2020 წლის თებერვლიდან აქტიურად დაიწყო სამუშაო პროცესები და აპრილის თვეში აამოქმედა ცხელი ხაზი, რომელსაც ფსიქოლოგიური და იურიდიული მომსახურების ონლაინ პლატფორმაზე მიწოდების შესაძლებლობაც დაერთო. ამასთანავე, სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო პირისპირ კონსულტაციების მიღებაც ყველა კოვიდ რეგულაციის დაცვით. საჯარო და კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობის საფუძველზე, სწორედ კოვიდ პანდემიის პირობებში, თბილისში ახალი თავშესაფრის დამატების საჭიროებაც განისაზღვრა.

კვლევის მონაწილეთა მოსაზრებით, კოვიდ-19-ის პირობებში გამოიკვეთა დასაქმების პრობლემა. ექსპერტთა ძალისხმევით პანდემიამდე დასაქმებული ბენეფიციარების ნაწილმა სამსახური დაკარგა იქიდან გამომდინარე, რომ რეგულაციების ფონზე არაერთმა ორგანიზაციამ შეწყვიტა საქმიანობა. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი ამ მხრივ სახელმწიფოს უმოქმედობაზე მიუთითებს და აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებით სახელმწიფოს ჩართულობა არ გამოკვეთილა. თუმცა, სახელმწიფო დაწესებულებები მაინც ახერხებდნენ ბენეფიციართა დასაქმებას და მათი ფინანსური უზრუნველყოფის ხელშეწყობას.

რესპონდენტები პანდემიის დასაწყისში უწყებათაშორის კოორდინირებული მუშაობის თვალსაზრისით, არაერთი პრობლემის არსებობაზე მიუთითებენ. თუმცა, გარკვეული პერიოდის შემდეგ თითქმის ყველა სირთულის თანდათანობით აღმოფხვრაზე აკეთებენ აქცენტს. იმის გამო, რომ არ მუშაობდა კანცელარია და შეზღუდული იყო გადაადგილება, ვერ ხერხდებოდა საჩივრისა და განაცხადის წარდგენა. მცირე ხნის შემდეგ შეიქმნა სპეციალური მეილები, რომელზეც საჩივრის, განაცხადისა თუ შუამდგომლობის გაგზავნა იყო შესაძლებელი. სირთულე იქმნებოდა იმის გამოც, რომ პროკურორები ორი კვირა პროკურატურიდან მუშაობდნენ, ხოლო ორი კვირა დისტანციურად. დისტანციურად მუშაობის პერიოდში ისინი ვერ ეცნობოდნენ დოკუმენტაციას, რის გამოც მათგან დადგენილების გამოცემას ისეთ საქმეზე, რომელზეც კანონმდებლობით 48 საათია მაქსიმუმ განსაზღვრული (შესაძლო იყო ამ მოლოდინის რეჟიმში ბევრი რამ შეცვლილიყო სისხლის სამართლის საქმეზე), რეალურად სჭირდებოდა ორ კვირაზე მეტი. აღნიშნული პროცესები დაიხვეწა, მოგვიანებით ელექტრონულ მეილზე კონკრეტულ პროკურორს ეგზავნებოდა დოკუმენტაცია, რომელიც დასტურით აცნობებდა ადვოკატს მათ მიღებას. გადაუდებელი შემთხვევების დროს ასევე, ორდერის ელექტრონულად, სწრაფად მომზადების შესაძლებლობაც იქნა მიღწეული.

რესპონდენტთა თანახმად, პანდემიის პირობებში საჭირო გახდა ბენეფიციარებისთვის ალტერნატიული საცხოვრებლის მოძიებაც. ზოგ შემთხვევაში, თავად თავშესაფარში დაემატა

საწოდები, თუმცა იყო შემთხვევებიც, როცა მსხვერპლები კერძო პირების მიერ შექმნილ თავშესაფარში გადანაწილდნენ. პრობლემას წარმოადგენდა კარანტინის რეგულაციებიც, რომელთა ფონზეც დაწესებულებებს ბენეფიციართა სიმრავლის გამო უწევდათ ეზოში სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობის კონტროლი, რათა ყველა ერთ სივრცეში არ აღმოჩენილიყო, ინფიცირების თავიდან აცილების მიზნით. ასეთი რეგულაციები ბავშვებისთვის განსაკუთრებულად რთული აღმოჩნდა.

კვლევის მონაწილეთა თანახმად, კოვიდ დადებითი ბენეფიციარები საჭიროებისამებრ, დაუყოვნებლივ გადაჰყავდათ სამედიცინო დაწესებულებებსა და კოვიდ სასტუმროებში. კოვიდ პანდემიის განმავლობაში არც ერთ სავარაუდო ძალადობის მსხვერპლს არ მიუღია უარი დახმარებაზე (როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში).

კვლევის მონაწილეებმა გამოყვეს რამდენიმე საკითხი, რომლებიც პანდემიის პირობებში გამოიკვეთა და საჭიროებს გაუმჯობესებას. მნიშვნელოვანია ფინანსური მხარდაჭერისა და ადამიანური რესურსებით გაძლიერებაზე ზრუნვა, ახალი თავშესაფრის დამატება, ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პრევენციული ღონისძიებების გაძლიერება და მედია საშუალებებისა და სოციალური ქსელების აქტიური ჩართულობა, როგორც ცნობიერების ამაღლების, ასევე შეტყობინების გაკეთების თვალსაზრისითაც, იმ შემთხვევისათვის, თუ მსხვერპლს არ აქვს საშუალება პირადად მიმართოს შესაბამის ორგანიზაციას დახმარებისთვის.

#### 4. კვლევის შედეგები (შვეიცარია)

გამოკითხული 54 ცენტრიდან ოცდათორმეტმა (59%) კითხვარს სრულად უპასუხა, ხოლო 22-მა მათგანმა (40%) სანახევროდ. მიღებული შედეგები სარწმუნოდ შეიძლება ჩაითვალოს. დაწესებულებათა შორის იყო: ქალთა 18 თავშესაფარი, მამაკაცთა 1 თავშესაფარი, მსხვერპლთა საკონსულტაციო 11 ცენტრი და ორი სხვა დაწესებულება. 11 მათგანი (დაახლოებით 35%) კრიზისულ ცენტრს წარმოადგენს, 32 პროცენტი თავშესაფრებია, ხოლო დაახლოებით 26 პროცენტი ორივე მომსახურებას სთავაზობს. ხსენებულ დაწესებულებათა 93 პროცენტი ქალთა და შვილიან ქალთა მომსახურების ცენტრს წარმოადგენს, 46 პროცენტი მამაკაცებს და შვილიან მამაკაცებს ემსახურება (მსხვერპლთა საკონსულტაციო ცენტრების უმეტესობა თავიანთი ძალისხმევით ორივე სქესის წარმომადგენლებზე გადანაწილებას ცდილობს, მაშინ, როდესაც ქალთა და მამაკაცთა თავშესაფრები კონკრეტული სქესის წარმომადგენლებს ეხმარებიან). 5 ცენტრი ასევე ეხმარება მოზარდებსა და ტრანსგენდერ ქალებს, „ყველა გენდერისა და სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანებს, ისევე როგორც „ძალადობის ყველა მსხვერპლს“.

ბენეფიციართა დაახლოებით ერთ მესამედს შვეიცარიის მოქალაქეები შეადგენენ, 29%-ზე ოდნავ ნაკლები რაოდენობა EU/EFTA სახელმწიფოების მოქალაქეებზე მოდის, ხოლო 30%-ზე ოდნავ ნაკლები მესამე ქვეყნების მოქალაქეებზე ფიქსირდება. თვალშისაცემი განსხვავება შეინიშნება თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებს შორისაც: შვეიცარიული ეროვნების წარმომადგენლები ქალთა თავშესაფრებში 25%-ს შეადგენენ, ხოლო მსხვერპლთა საკონსულტაციო ცენტრებში 40%-ზე მეტს. 25-მა დაწესებულებამ თავიანთ ბენეფიციართა



სოცალურ-ეკონომიკურ სტატუსზე მიუთითა: ბენეფიციართა დაახლოებით 75% ძირითადად სოცალურად დაუცველი ოჯახებიდან იმყოფებოდნენ, ქალთა თავშესაფრებში მათი რაოდენობა 85%-ს აღწევდა, ხოლო მსხვერპლთა საკონსულტაციო ცენტრებში ეს რიცხვი 78%-ს ოდნავ ჩამოუვარდებოდა.

#### 4.1. დახმარების მაძიებელთა რაოდენობა, მათთან კომუნიკაციის გზები და საკონსულტაციო და განთავსების ობიექტთა რაოდენობა

დახმარების ცენტრებთან დაკავშირება თავად მსხვერპლთა მიერ ძირითადად სატელეფონო ხაზით, პოლიციის მიერ მსხვერპლთა მონაცემების მიწოდებით ან სპეციალისტთა დასკვნის საფუძველზე ხორციელდება. აღნიშნული, კოვიდ პანდემიის განმავლობაში ცენტრთა ორ მესამედში არ შეცვლილა. ცვლილების მიზეზი შესაძლოა პირადად შეტყობინებისა და კონტაქტის საშუალების შეზღუდვა გამხდარიყო (გადაადგილების შეზღუდვა, სტრესის ქვეშ მყოფი ოჯახები).

გამოკითხულ დაწესებულებათაგან 22 მათგანი (64%) კოვიდ პანდემიისას მსხვერპლთა გაზრდილ რაოდენობაზე მიუთითებს, რომლის მიზეზიც შესაძლოა იყოს ოჯახში ძალადობის საკითხთა მიმართ მზარდი საჯარო ინტერესი. 2022 წელს, სკოლების გახსნის შემდეგ ქალთა თავშესაფრებში მიმართვიანობა საგრძნობლად გაიზარდა, რამაც მათი გადატვირთვა გამოიწვია. საჭირო გახდა დამატებითი სივრცეების გამოყოფა და ბენეფიციართა გადანაწილება. თავშესაფართა 45% ლოდინის გაზრდილ პერიოდზე მიუთითებს.

დაწესებულებათა ნახევარზე მეტი გაზრდილი საკონსულტაციო მიმართვიანობის შესახებ იუწყება. რაც შეეხება განთავსებას, ციფრები ამბივალენტურია: კოვიდ-19 პანდემიის განმავლობაში 8 დაწესებულება განთავსების მოთხოვნის გაზრდილ რაოდენობაზე მიაჩნებოდა, 3 - შედარებით ნაკლებს, ხოლო 8 არანაირ ცვლილებას არ აფიქსირებს.

#### 4.2 ოჯახში ძალადობის ფორმები, მოძალადეები

არც ერთი დაწესებულება არ აფიქსირებს ცვლილებებს ოჯახში ძალადობის ფორმების შესახებ კოვიდ-19-მდე და მის შემდეგ პერიოდში (დომინანტურ ფორმად კვლავ ფსიქოლოგიური ძალადობა რჩება, რასაც მოსდევს ფიზიკური ძალადობა, შედარებით იშვიათად ეკონომიკური ძალადობა, ხოლო სექსუალური ძალადობა ოდნავი ნაკლები ინტენსივობით ფიქსირდება). ძალადობის სიმძიმეც გასათვალისწინებელია, ამასთან, გასათვალისწინებელია ადევნების ზრდაც. დახურული სასამართლოების, ბინის ქირაობის შეზღუდვისა და კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობამ თავშესაფრებში ხანგრძლივი დროით დარჩენა გამოიწვია.

მოძალადეთა შორის 91% პარტნიორია, 68% კი ყოფილი პარტნიორი. ორ შემთხვევაში მოძალადეები შვილები, ხოლო ხუთ შემთხვევაში - ოჯახის სხვა წევრები აღმოჩნდნენ.

#### 4.3 კოვიდ-19-ით განპირობებული საჭირო ცვლილებები და ზომები დაწესებულებებში

კოვიდ-19-ის პანდემიამ, გამოკითხულ დაწესებულებებში, ერთის გარდა, ფუნდამენტური ცვლილებები გამოიწვია. ეს ეხება ჰიგიენის, სივრცით თუ დროებით ცვლილებებს. საჭირო გახდა ახალი ტექნიკური საშუალებები, დამატებითი პერსონალი და გაზრდილი ფინანსური მხარდაჭერა. რომ შევაჯამოთ, ხსენებულ ცვლილებებთან გამკლავება ცენტრებისთვის ყველაზე შრომატევადი და დამღლევი აღმოჩნდა. ცვლილებებისთვის საჭირო დაფინანსება დიდწილად სახელმწიფოს მხრიდან იქნა მოწოდებული, ან თავად ცენტრები უზრუნველყოფდნენ შემოწირულობებიდან შემოსული თანხის განკარგვას.

უწყებებთან თანამშრომლობა კოვიდ-19-ის დროს ამბივალენტური რჩებოდა, ვინაიდან ცენტრების ნახევარი (N=22) კოორდინაციაში ცვლილების შესახებ არაფერს იტყობინება, მეორე ნახევარი კი, დამატებით ხარჯებზე მიუთითებს, რაც 25 პროცენტითა და 3 დან 30 საათამდე ხანგრძლივობით ვლინდება.

#### 4.4. კოვიდ 19-ის ზოგადი შთაბეჭდილებები/მომავლის ინოვაციები

კოვიდ 19-ის განმავლობაში საჭირო ცვლილებებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებზე პასუხთა უმეტესობა ათიდან ცხრასა და ხუთს შორის მერყეობს. პანდემიასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკით გამოწვეულ ოჯახში ძალადობის ზრდასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე 7 შვეიცარიული ცენტრი დადებითად პასუხობს, 5 უარყოფითად, ხოლო დანარჩენს პასუხი არ გააჩნია. მათი უმეტესობა თანხმდება, რომ ოჯახში ძალადობა მედიისა და სოციალური ქსელების მეშვეობით აქტიურად შუქდება, რამაც 60%-ის აზრით, მიმართვიანობის ზრდა გამოიწვია, რამაც თავის მხრივ, მეტი სოლიდარობა, საჯარო და მედია ცნობიერების ამაღლება და შემოწირულობების ზრდა განაპირობა.

ჰიგიენასთან და ტექნიკურ მოდერნიზებასთან დაკავშირებული ცვლილებები ცენტრების 75%-ში შენარჩუნდება, ვინაიდან ასე ისინი სამომავლო გამოწვევებისთვის თავს უკეთ მომზადებულად მიიჩნევენ.

დახმარების მაძიებლები, უწყებები და მედია დაწესებულებათა მიერ გაწეულ შრომას უფრო მეტად აღიარებენ, რაც ათიდან შვიდსა და ათს შორის მერყეობაში გამოიხატება. სამომავლო სურვილებად რჩება სტამბოლის კონვენციის პრაქტიკაში გამოყენების გაძლიერება, ძალადობის მსხვერპლთათვის მეტი თავშესაფრები, ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის საჭირო ფინანსები, მეტი კამპანიის წარმოება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაზე, შვეიცარიის მასშტაბით მეტი პრევენციული ღონისძიების გატარება. დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

### 5. კვლევის შედეგების შეფასება

კვლევის შვეიცარიული ნაწილი თავშესაფრებსა და საკონსულტაციო ცენტრებს შორის მნიშვნელოვან განსხვავებებზე მიუთითებს:

დახმარების მამიებელთა წარმომავლობა: საკონსულტაციო ცენტრები უფრო მეტ შვეიცარიის მოქალაქეს ემსახურებიან, ხოლო თავშესაფრებს უფრო მეტად EU/EFTA, ან მესამე წევრი ქვეყნის მოქალაქეები იყენებენ.

ინფორმაცია: თავშესაფრები აფიქსირებენ ინფორმაციაზე გაზრდილ მოთხოვნას კოვიდ-19-ის პერიოდში, ხოლო კრიზისული ცენტრებისთვის საინფორმაციო ინტერესი პანდემიამდეც იგივე იყო.

აღიარება: საკონსულტაციო ცენტრები მათი შრომის აღიარებაში ცვლილებას ვერ ხედავენ, ხოლო თავშესაფრის თანამშრომლები კოვიდ-19-ის პერიოდში მათ მეტად დაფასებაზე მიუთითებენ.

სამუშაო პირობების ცვლილება: საკონსულტაციო ცენტრები პანდემიის საფუძველზე წარმოქმნილ გამოწვევებთან გამკლავების ნაკლებ წნეხზე იუწყებიან, რაც თავშესაფრებისგან განსხვავებით მათი მუშაობის სპეციფიკით შეიძლება აიხსნას.

სამომავლო გამოწვევების შეფასება: სამომავლო გამოწვევების თვალსაზრისით, საკონსულტაციო ცენტრები თავშესაფრებისგან განსხვავებით, თავს ბევრად მომზადებულად თვლიან, რასაც შესაძლოა პირდაპირი კავშირი ჰქონდეს თავშესაფრის მომსახურების მიმწოდებელთა არადაამაკმაყოფილებელ ფინანსურ მდგომარეობასთან.

კოვიდ-19-ის განმავლობაში არსებული გამოწვევების ზოგადი ანალიზი: მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარება მომსახურების გამწევ ორივე დაწესებულებას მოუწია, რაც თავშესაფრების მიერ 5-9, ხოლო საკონსულტაციო ცენტრების მიერ 2-7 ციფრებში აისახა, რომელიც საჭირო ზომების გატარებითა და დამატებითი მუშახელით გამოწვეული ხარჯების ზრდით შესაძლოა აიხსნას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ოჯახში ძალადობის სფეროში მოღვაწე დაწესებულებებს კოვიდ-19-ით გამოწვეული ორწლიანი შეზღუდვებისა და სახელწმიფო რეგულაციების გამო მნიშვნელოვნად მოუხდათ ყოველდღიურ რუტინაში ცვლილების შეტანა. დამატებითი ძალისხმევის შედეგად, კოვიდ 19-ის პერიოდში მსხვერპლთა დაცვის ცენტრები საკმაოდ წარმატებით ადაპტირდნენ, განხორციელებული ცვლილებების აქტიურ გამოყენებას კი სამომავლოდაც აპირებენ (მაგ. ონლაინ-შეხვედრები და კონსულტაციები).

გავლენის მზარდი მატების შესახებ გამართლებულია ჩინეთ-ირანის ურთიერთობების გაღრმავებით, რაც დაადასტურა ჩინეთ-ირანის ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობის 2021 წლის 27 მარტის პროგრამით. სიტუაცია შესაძლოა უფრო გართულდეს აშშ-სთვის რუსეთსა და ირანს შორის შესაძლო სტრატეგიული პარტნიორობის ფონზე. ეს პროცესები არამარტო დაეხმარება რუსეთს სანქციების გვერდის ავლაში, არამედ ხელს შეუწყობს ვაშინგტონის ძლიერი რეგიონალური საპირწონის შექმნას. ასეთ პირობებში გლობალური ძალების გზაჯვარედინზე მდებარე სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მნიშვნელობა იზრდება.

სომხეთს, საქართველოსა და აზერბაიჯანს საგარეო პოლიტიკის განსხვავებული ვექტორები აქვთ, რაც გარკვეულ ბარიერებს ქმნის აშშ-ის ეფექტური ენერგეტიკული დიპლომატიისთვის რეგიონში და კავკასიის სამ ქვეყანას შორის თანამშრომლობისთვის. სამხრეთ კავკასია განიცდის შიდა დაყოფას ორ ბლოკად, რომელთა საზღვრები უფრო ნათელი ხდება 2020 წლის მთიანი ყარაბაღის ომის და 2022 წლის უკრაინის ომის შემდეგ. პირველ ბლოკში წარმოდგენილია აზერბაიჯანი, საქართველო და თურქეთი, ხოლო მეორე - რუსეთი, სომხეთი და ირანი.<sup>25</sup> ბლოკის პარტიები თანამშრომლობენ სამხედრო, ეკონომიკურ და სხვა სტრატეგიულ სფეროებში, ხოლო თითოეული მათგანი ცდილობს განახორციელოს საკუთარი ინტერესები და მოიპოვოს გარკვეული ეკონომიკური სარგებელი რეგიონში გატარებული გრანდიოზული ენერგეტიკული პროექტებიდან. ორაზროვანი და რთული გეოპოლიტიკური პროცესები რეგიონში კარნახობს სამხრეთ კავკასიის მნიშვნელობის გადახედვის აუცილებლობას ამერიკის საგარეო პოლიტიკისთვის და აშშ-ის მხარდაჭერის გაზრდას, ძირითადად ევროკავშირთან ერთად, რეგიონული ენერგეტიკული პროექტებისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობაში. თუმცა, თანამედროვე რეალობაში, ვაშინგტონის უპირველესი საგარეო პოლიტიკური საკითხია მისი მონაწილეობა სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების პრევენციაში.<sup>26</sup>

ისტორიულად, სომხეთი ატარებს სტრატეგიას, რუსეთთან პარტნიორობის აუცილებლობას შორის უსაფრთხოების საკითხებში და დასავლეთის ქვეყნებთან ეკონომიკური და სავაჭრო კავშირების გაღრმავების აუცილებლობას შორის წონაწილის დასამყარებლად, ასევე გლობალური ძალაუფლების სხვა ცენტრებთან თანამშრომლობას. იმავდროულად, სომხეთი რუსეთის სტრატეგიული პარტნიორია, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს მასთან სამხედრო, ეკონომიკურ, ენერგეტიკულ და სხვა სფეროებში. ერევანს აქვს პოზიტიური დამოკიდებულება ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების მიმართ, აქტიურად თანამშრომლობს ევროპულ და ამერიკულ ორგანიზაციებთან. აზერბაიჯანისა და თურქეთის მიერ სატრანსპორტო ბლოკადის გამო, ყარაბაღის კონფლიქტის შედეგად და საკუთარი ნახშირწყალბადების რესურსების ნაკლებობის გამო, სომხეთი ყველაზე დაუცველია რეგიონში საწვავის მომარაგების უსაფრთხოებისა და საიმედოობის და მიწოდების გზების დივერსიფიკაციის თვალსაზრისით. ქვეყანა დიდად არის დამოკიდებული რუსეთიდან საქართველოს ტერიტორიით მიწოდებულ ენერგორესურსების იმპორტზე. სომხეთი ასევე ახორციელებს შეზღუდული რაოდენობის ბუნებრივი აირის იმპორტს ირანიდან ელექტროენერჯის გაზზე გაცვლის პირობებში.

<sup>25</sup> Boltuc, S. Gli interessi dell'Iran nel Caucaso. *SpecialEurasia*. 2022. p. 25-26.

<sup>26</sup> Rumer, E., Sokolsky, R., Stronski, P., U.S. Policy toward the South Caucasus: Take Three. *Carnegie Endowment for International Peace*. 2017.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არ აქვს ნავთობისა და გაზის მნიშვნელოვანი მარაგი, თბილისი, საქართველო ვაშინგტონის მიერ უპირველეს ყოვლისა განიხილება, როგორც ქვეყანა, რომელსაც აქვს ალტერნატიული ინფრასტრუქტურა რუსეთის გვერდის ავლით ენერგომატარებლების ტრანსპორტირებისთვის და გადამწყვეტი გეოგრაფიული პუნქტია აღმოსავლეთ-დასავლეთის საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნისთვის. თურქეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობა ენერგეტიკულ სექტორში ახალ პერსპექტივებს ქმნის და გარკვეულ სარგებელს აძლევს საქართველოს, ამავდროულად ხელს უწყობს რეგიონში პან-თურქული გავლენის ზრდას და თურქული კაპიტალის დომინირებას ქართულ ეკონომიკაში. საქართველო ინტენსიურად თანამშრომლობს ევროკავშირთან ენერგეტიკის სექტორში, საქართველოსა და ევროკავშირის შორის 2014 წლის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში. ქვეყანამ მიაღწია წარმატებას ენერჯის წარმოების დივერსიფიკაციაში RES, როგორცაა ჰიდროენერგეტიკული ენერჯის აქტიური განვითარებით და, ამრიგად, კლიმატის დღის წესრიგის მთავარი გამოწვევების დაკმაყოფილებით.

აშშ-ის მხარდაჭერა საქართველოში, პირველ რიგში, ენერგეტიკის სექტორის დაფინანსებაზეა ორიენტირებული. აშშ დაინტერესებულია საქართველოს ენერჯის სექტორის დივერსიფიკაციით, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ჩინურ, რუსულ ან სხვა კაპიტალზე დამოკიდებულების თავიდან აცილებას. ამ მსჯელობის თანახმად, ევროკავშირთან ერთად და მსოფლიო ბანკის დახმარებით, USAID და USEA (ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის ასოციაცია) თბილისი განიხილავს წყალქვეშა ელექტროენერჯის გადამცემი კაბელის მშენებლობას შავი ზღვის ფსკერზე რუმინეთში, რათა გაზარდოს ორივე ქვეყნის ქსელების საიმედოობის დივერსიფიკაცია და დამოუკიდებლობა.

აზერბაიჯანს აქვს პოტენციური გახდეს როგორც ენერგეტიკული, ასევე სატრანსპორტო კერა რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ ნახშირწყალბადების რესურსების სიმრავლისა და მოსახერხებელი გეოგრაფიული განლაგების გამო. აშშ ძირითადად განიხილავს აზერბაიჯანს მისი ნავთობისა და გაზის მარაგების კონტექსტში, მის მონაწილეობას რეგიონულ ენერგეტიკულ და ლოგისტიკურ პროექტებში და როგორც მთავარ პარტნიორს ევროპისთვის ნახშირწყალბადების რესურსების მიწოდებაში რუსეთის მონაწილეობის გარეშე. აზერბაიჯანის ნავთობისა და გაზის რეზერვების მნიშვნელობა ვაშინგტონში განიხილებოდა, როგორც ერთპიროვნული პასუხი რეგიონის ყველა პრობლემაზე, რომელიც გამოიმუშავებს შემოსავალს ქვეყნის რეკონსტრუქციისთვის მის საზღვრებს მიღმა ტალღოვანი ეფექტით.<sup>27</sup> აშშ და ევროკავშირი მნიშვნელოვნად დაეხმარნენ აზერბაიჯანს 1994 წელს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიას (SOCAR) და 11 უცხოური ნავთობკომპანიის კონსორციუმს შორის (მათ შორის BP, Amoco, Unocal) შორის ე.წ. , Statoil, Ramco, Exxon Mobil და სხვები), რამაც საშუალება მისცა კასპიის ენერგორესურსების ინტეგრირებას გლობალურ ენერგეტიკულ ბაზარზე.

შეერთებულმა შტატებმა აქტიურად მიიღო მონაწილეობა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის მშენებლობაში აზერბაიჯანული ნახშირწყალბადების გლობალურ ბაზარზე ტრანსპორტირების მიზნით. ეს არა მხოლოდ ხელს უწყობს ენერგორესურსების მიწოდების დივერსიფიკაციას კასპიის ზღვა-შავი ზღვის

<sup>27</sup> Rumer, E., Sokolsky R., Stronski P. U.S. Policy toward the South Caucasus: Take Three. Carnegie Endowment for International Peace. 2017, p. 13.

მეგარეგიონში, ხოლო რუსეთს ამ პროცესისგან აკავებს, არამედ ხელს უწყობს საქართველოსა და აზერბაიჯანის რუსეთის გავლენისგან თავის დაღწევას. აღსანიშნავია, რომ რეგიონული გეოპოლიტიკური პროცესების ლოგიკის ფარგლებში სომხეთი მილსადენის პროექტების რეალიზაციის მიღმა დარჩა.

უფრო ფართო გეოგრაფიული დაფარვის თვალსაზრისით, სამხრეთ კავკასია ემსახურება როგორც სატრანსპორტო დერეფანს ტრანსკასპიური მილსადენებისთვის, რომელიც აწვდის უზარმაზარ რაოდენობას გაზსა და ნავთობს თურქმენეთიდან და ყაზახეთიდან წყალქვეშა მილსადენებით ევროპას აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიების გავლით, ხოლო რუსეთისა და ირანის გვერდის ავლით. ეს გააძლიერებს საქართველოსა და აზერბაიჯანის, როგორც სატრანსპორტო კვანძების შესაძლებლობებს და ხაზს გაუსვამს თურქეთის სტრატეგიულ მნიშვნელობას კასპიის ზღვის მეგა-რეგიონსა და ევროპაში. ტრანსკასპიური მილსადენის მშენებლობის პროექტი ევროკავშირის მიერ ინიცირებული სამხრეთ გაზის დერეფნის აღმოსავლეთის გაფართოებაა. სამხრეთის გაზის დერეფანი მიზნად ისახავს რუსეთის გაზზე ევროპის დამოკიდებულების შემცირებას და ენერგომომარაგების ალტერნატიული წყაროების შექმნას. ტრანსკასპიური მილსადენების მშენებლობა, რომლებიც კავკასიიდან ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებას ახდენენ ევროპულ და გლობალურ ენერგეტიკულ ბაზრებზე, არის აშშ-ის ენერგეტიკული პოლიტიკის მთავარი საკითხი რეგიონში. ეს ეხმიანება ვაშინგტონის მთავარ მიზანს - დაეხმაროს სუვერენული ეკონომიკისა და ენერგეტიკული სისტემების მშენებლობას სამხრეთ კავკასიასა და ევროპაში.

## დასკვნა

აშშ-ს ენერგეტიკული პოლიტიკა მიზნად ისახავს ენერგეტიკული იმპორტის დივერსიფიკაციას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონიდან, ასევე მისი ენერგეტიკული ინტერესების ხელშეწყობას. კერძოდ, ამჟამად ყველაზე პერსპექტიული ბაზრები ნახშირწყალბადების და, კერძოდ, LNG შეერთებული შტატების მიწოდებისთვის არის ევროპა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია. ამავდროულად, აშშ-ს ინტერესები აშკარაა ცენტრალური აზიის რეგიონშიც, რომლის ხელშეწყობისთვისაც სამხრეთ კავკასია აშშ-სთვის ძალიან მნიშვნელოვანი ხდება ევროპაში კასპიის ნახშირწყალბადების ტრანზიტისთვის. ნავთობის პროგნოზირებადი ფასები დღეს მოქმედებს, როგორც მნიშვნელოვანი წინაპირობა აშშ-ის, როგორც ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მოხმარების წამყვანი ქვეყნის, ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. მსოფლიო ენერგეტიკულ ბაზარზე ტურბულენტობა უამრავ რისკს უქმნის აშშ-ს, ასევე გავლენას ახდენს შიდა ფასებზე, რაც კარნახობს აშშ-ს ენერგეტიკული დიპლომატიის დივერსიფიკაციის გზების ძიებას.

გლობალურ ძალებს შორის წინააღმდეგობების გაღრმავება და ეკონომიკური ურთიერთქმედების პირობების გაართულება გლობალურად ცხადყოფს სამხრეთ კავკასიის რეგიონის უფრო დიდ მნიშვნელობას მისი ენერგეტიკული ბაზრებისა და ინფრასტრუქტურული ენერგეტიკული სისტემების თვალსაზრისით ამერიკის საგარეო ენერგეტიკული სტრატეგიისთვის. მოსალოდნელია, რომ ბაიდენის ადმინისტრაციის პირობებში აშშ-ს ენერგეტიკული პოლიტიკა გააგრძელებს სამხრეთ კავკასიის რეგიონში ეროვნული ენერგეტიკული სისტემების დივერსიფიკაციას და კასპიის რეგიონში საერთაშორისო ენერგეტიკული და სატრანსპორტო დერეფნების მშენებლობის ხელშეწყობას,

რომელიც მიზნად ისახავს რუსეთის დომინანტური პოზიციის შესუსტებას რეგიონალურ ენერგეტიკულ ბაზრებზე და, ამავე დროს, ირანისა და რუსეთის გვერდის ავლით. იმავდროულად, ევროკავშირი რჩება შეერთებული შტატების მთავარ პარტნიორად რეგიონში ორმხრივი ენერგეტიკული ინტერესების წინსვლის საქმეში. აშშ-ს მიერ გლობალური კლიმატის დღის წესრიგის აქტიური ხელშეწყობა გარკვეულ გავლენას მოახდენს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე, RES-ის განვითარებისა და გამოყენების მხარდაჭერით ამერიკული კერძო და საჯარო სექტორების ჩართულობით. ამ ქვეყნებში განახლებადი ენერჯის სიმძლავრის გაზრდა ხელს შეუწყობს მათი ეკონომიკის დივერსიფიკაციას და სუვერენიზებას, გარდა გარემოსდაცვითი სარგებელის მოტანისა. თუმცა, მოუგვარებელი რეგიონული კონფლიქტები გარკვეულ სირთულეებსა და რისკებს ქმნის გრანდიოზული რეგიონული ენერგეტიკული პროექტების განხორციელებისთვის. ეს არის კიდევ ერთი გამომწვევი ფაქტორი აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ამჟამინდელი მთავარი ვექტორის ფორმირებისთვის, რაც გულისხმობს სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების მოგვარებისა და პრევენციის პრიორიტეტის განსაზღვრის პრივილეგიას.



ბიბლიოგრაფია

1. U.S. Energy in the 21st Century: A Primer. Congressional Research Service. March 16, 2021. URL: <https://crsreports.congress.gov/product/pdf/R/R46723> [უკანასკნელად გადამოწმდა 12.12.2022];
2. Davtyan, Vahe, New World Energy Order: The Obstacles to the Golden Age of American Energy Dominance. *International Journal of Energy Economics and Policy*, 8(4), 2018;
3. Energy Policies of IEA Countries. United States. 2019 Review. September 2019. URL: <https://www.iea.org/reports/energy-policies-of-iea-countries-united-states-2019-review>. [უკანასკნელად გადამოწმდა 12.12.2022];
4. National Security Strategy of the United States of America. December 2017. URL: <https://trumpwhitehouse.archives.gov/wp-content/uploads/2017/12/NSS-Final-12-18-2017-0905.pdf>. [უკანასკნელად გადამოწმდა 12.12.2022];
5. Ladislav, Sarah, Tsafos, Nikos. Race to the Top. The Case for a New U.S. International Energy Policy. Center For Strategic and International Studies, 2020. URL: <https://www.csis.org/analysis/race-top-case-new-us-international-energy-policy>. [უკანასკნელად გადამოწმდა 12.12.2022];
6. Hongyuan Yu, The U.S. Withdrawal From the Paris Agreement: Challenges and Opportunities for China. *China Quarterly of International Strategic Studies*. 04:02, 2018. DOI: <https://doi.org/10.1142/S2377740018500100>;
7. Renewing America’s Advantages. Interim National Security Strategic Guidance. March 2021. URL: <https://www.whitehouse.gov/wp-content/uploads/2021/03/NSC-1v2.pdf> . [უკანასკნელად გადამოწმდა 12.12.2022];
8. The Long-Term Strategy of the United States. Pathways To Net-Zero Greenhouse Gas Emissions By 2050. November 2021. URL: <https://www.whitehouse.gov/wp-content/uploads/2021/10/US-Long-Term-Strategy.pdf>. [უკანასკნელად გადამოწმდა 12.12.2022];
9. Boersma, Tim, Johnson, Corey, U.S. Energy Diplomacy, Columbia SIPA. Center On Global Energy Policy. 2018. URL: <https://energypolicy.columbia.edu/sites/default/files/pictures/CGEPUSEnergyDiplomacy218.pdf>. [უკანასკნელად გადამოწმდა 12.12.2022];
10. Renewable Energy // USAID. URL: <https://www.usaid.gov/climate/renewable-energy>;
11. USAID Climate Strategy 2022-2030. April 2022. URL: <https://www.usaid.gov/sites/default/files/documents/USAID-Climate-Strategy-2022-2030.pdf> . [უკანასკნელად გადამოწმდა 12.12.2022];
12. The Biden Plan for a Clean Energy Revolution and Environmental Justice. URL: <https://joebiden.com/climate-plan/>. [უკანასკნელად გადამოწმდა 12.12.2022];
13. Ladislav Sarah, Tsafos, Nikos, Energy Spheres of Influence. Center for Strategic and International Studies. 2019. URL: <https://www.csis.org/analysis/energy-spheres-influence>. [უკანასკნელად გადამოწმდა 12.12.2022];
14. Joint Statement by President Biden and President von der Leyen on European Energy Security. June 27, 2022. URL: <https://www.whitehouse.gov/briefing-room/statements-releases/2022/06/27/joint-statement-by-president-biden-and-president-von-der-leyen-on-european-energy-security/>. [უკანასკნელად გადამოწმდა 12.12.2022];
15. H.R.1453-European Energy Security and Diversification Act of 2019. URL: <https://www.congress.gov/bill/116th-congress/house->

- bill/1453?q=%7B%22search%22%3A%5B%22H.+R.+83%22%5D%7D. [უკანასკნელად გადამოწმდა 12.12.2022];
16. Ravikumar, Arvind. P., Bazilian, Morgan, Webber, Michael, E. The US role in securing the European Union’s near-term natural gas supply. *Nat Energy*, 7, 2022. DOI: <https://doi.org/10.1038/s41560-022-01054-1>;
  17. Energy Security Doctrine of the Russian Federation. Approved by Decree of the President of the Russian Federation of May 13, 2019, No. 216. URL: [http://www.scrf.gov.ru/security/economic/energy\\_doc/](http://www.scrf.gov.ru/security/economic/energy_doc/). [უკანასკნელად გადამოწმდა 12.12.2022];
  18. Energy Security Doctrine of the Russian Federation. Approved by Decree of the President of the Russian Federation of May 13, 2019 No. 216. URL: [http://www.scrf.gov.ru/security/economic/energy\\_doc/](http://www.scrf.gov.ru/security/economic/energy_doc/) . [უკანასკნელად გადამოწმდა 12.12.2022];
  19. Cohen Saul, Bernard, *Geopolitics: The Geography of International Relations*. Third Edition. Rowman & Littlefield, 2015;
  20. *A National Security Strategy For a New Century*. The White House. October. 1998;
  21. *The National Security Strategy of the United States*. The White House. September. 2002;
  22. Rumer, Eugene, Sokolsky, Richard, Stronski, Paul, *U.S. Policy toward the South Caucasus: Take Three*. Carnegie Endowment for International Peace, 2017;
  23. Blank, Stephen, *What the Biden Administration Can and Should do in the South Caucasus*. The Central Asia-Caucasus Institute and Silk Road Studies Program Joint Center. 2021. URL: <https://www.cacianalyst.org/publications/analytical-articles/item/13661-what-the-biden-administration-canand-should-do-in-the-south-caucasus.html>. [უკანასკნელად გადამოწმდა 12.12.2022];
  24. Zabakhidze, Mariam, Gabriadze, Irakli, Beradze, Rezo, Khishtovani, Giorgi, *Connectivity, Trade and Financial Integration of the South Caucasus Via the Belt and Road Initiative (BRI)*. *Caucasus Analytical Digest* No. 111, 2019;
  25. Boltuc, Silvia, *Gli interessi dell’Iran nel Caucaso*. *Special Eurasia*, 2022;
  26. Rumer, Eugene, Sokolsky, Richard, Stronski, Paul, *U.S. Policy toward the South Caucasus: Take Three*. Carnegie Endowment for International Peace. URL: <https://carnegieendowment.org/2017/05/31/u.s.-policy-toward-south-caucasus-take-three-pub-70122>. 2017. [უკანასკნელად გადამოწმდა 12.12.2022].

## რუსეთ-უკრაინის ომის გეგავლენა რუსეთ-სირიის ურთიერთობებზე

### მარიამი ბაზერაშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი,  
მოწვეული ლექტორი,  
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომმა დიდი ზეგავლენა იქონია არა მხოლოდ აღნიშნულ სახელმწიფოებზე, არამედ მათ ტერიტორიულ მასშტაბებსაც გასცდა. პოლიტიკურმა ქაოსმა განსაკუთრებით ზეგავლენა მოახდინა რუსეთის სტრატეგიულ პარტნიორზე, კერძოდ სირიაზე. ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოები განსაკუთრებით გამოირჩევიან პოლიტიკური არასტაბილური გარემოთი, რასაც ხელს უწყობს ქვეყნის შიგნით არსებული არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა, რის საფუძველზეც მოსახლეობის დიდი ნაწილი არის გადატაკებული. სწორედ, ამიტომ აღნიშნული რეგიონის სახელმწიფოების პოლიტიკური წარმომადგენლები ეძებენ მათთვის მნიშვნელოვან სტრატეგიულ პარტნიორს/პარტნიორებს, რომ დაეყრდნონ და შესაბამისად შეინარჩუნონ დომინანტი პოზიცია მათ ქვეყანაში. გამონაკლისი ამ შემთხვევაში არც სირიაა, მისი მოკავშირე რეგიონში არის ირანი, ხოლო გარე აქტორის პოზიციას ბოლო წლებში იკავებს რუსეთის სახელმწიფო. რა თქმა უნდა, სამივე სახელმწიფოს საკუთარი ინტერესები გააჩნია, რის საფუძველზეც ამყარებენ ურთიერთობებს, მაგალითად, ასადის ხელისუფლებაში ყოფნა და ქვეყანაში მის მოწინააღმდეგეების განეიტრალება დამოკიდებულია ირანის და რუსების ძალაზე. ამავდროულად სირია რუსეთისგან საკვები პროდუქტის იმპორტსაც ახორციელებს. 2021 წელს რუსეთმა საკუთარ თავზე აიღო ვალდებულება სირიაში ხორბლის მიწოდებაზე, თუმცა რუსეთ-უკრაინის ომმა აღნიშნული პროცესი შეაჩერა, რადგან მისი ყურედლების არეალი მთლიანად გახდა უკრაინა, შესაბამისად ცდილობს მის მიერ წარმოებული ყველა რესურსი მოახმაროს ამ ომს. სწორედ მიმდინარე ომის ფონზე, სირიაში საკვები რესურსების მიწოდება შენედა და თითქმის რუსეთის მხრიდან მინიმუმადე დაეცა, რამაც ხელი შეუწყო მოსახლეობის უფრო მეტად გადატაკებას და რა თქმა უნდა, ფასების ზრდაც გარდაუვალი აღმოჩნდა. დარგის ექსპერტების მოსაზრებით, ირანს ყველაზე დიდი შანსი მიეცა, იმისთვის, რომ სირიაში საკუთარ ხელში აიღოს სრული ძალაუფლება, იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთის ყურადღების ეპიცენტრი სხვა სახელმწიფოა. მნიშვნელოვანია, იმის აღნიშვნაც, რომ რუსეთის გავლენები მაინც არ შესუსტებულა პოლიტიკური თვალსაზრისით.

**საკვანძო სიტყვები:** პოლიტიკური ქაოსი, ეკონომიკური ფაქტორი, ურთიერთობები, სტრატეგიული პარტნიორი, საკუთარი ინტერესები.

## შესავალი

2022 წლის თებერვალში რუსეთის შეჭრამ უკრაინაში დიდი ზეგავლენა მოახდინა მსოფლიო პოლიტიკაზე, სადაც არაერთი სახელმწიფო ჩაერთო უკრაინის დასახმარებლად, როგორც ჰუმანიტარული, ისე სამხედრო რესურსების აღჭურვილობის მიწოდების თვალსაზრისით. მიმდინარე ომმა დიდი ზეგავლენა იქონია საერთაშორისო სისტემაში, განსაკუთრებით დამაბული გარემო შეიქმნა ევროპის სახელმწიფოებისთვის. რა თქმა უნდა, აღნიშნული ომი ზეგავლენას იქონიებს პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, რადგან უკვე შეუქმნა საფრთხე საერთაშორისო ბაზრის მუშაობას. დამატებით, ომის მონაწილე სახელმწიფოების სტრატეგიული პარტნიორების დაზარალებიან ან ის სახელმწიფოები, რომელთაც ჰქონათ ეკონომიკური ვაჭრობა.

მიმდინარე ომის შედეგები ცალსახად აისახა სირიის ეკონომიკურ პოლიტიკაზე. ომმა გამოიწვია ისედაც მძიმე ჰუმანიტარული სიტუაციის გაუარესება დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნისთვის, შესაბამისად სირია აღმოჩნდა ეკონომიკური კრიზისის კატასტროფის ზღვარზე, რადგან ხორბლის მიწოდების შეწყვეტით გაიზარდა დეფიციტი პურზე. მიუხედავად იმისა, რომ სირიის ეკონომიკა მთლიანად არ არის დამოკიდებული რუსულ იმპორტზე მაინც აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ეკონომიკურ ფაქტორზე, რადგან გადატაკებული ქვეყნისთვის ხორბლის რესურსი ძალიან მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, ქვეყნისთვის ფუნდამენტურ გამოწვევას წარმოადგენდა Covid-19-ის დაძლევა, მითუმეტეს ომის ზღვარზე მყოფისთვის ძალიან რთული აღმოჩნდა გარკვეული სანიტარული ნორმების დაცვა, რამაც შეუწყო ხელი პანდემიის გავრცელებამ. შესაბამისად მიმდინარე ფონზე სირიის ეკონომიკა გადატაკებულია, რასაც ხელს უწყობს ქვეყნის შიგნით წარმოებული ეკონომიკური კოლაფსი.

რუსეთ-უკრაინის ხანგრძლივმა ომმა შეიძლება გამოიწვიოს სირიაში პოლიტიკური კონფლიქტის დინამიკის ცვლილება, რაც გამოიხატება შემდგომი ფაქტორებით<sup>1</sup>:

- ირანის მცდელობა, რომ გახდეს მთლიანად დომინანტი სახელმწიფო;
- თურქეთის და სირიის ოპოზიციის შესაძლო ზეწოლის გაზრდა სირიის მთავრობასა და ქურთების ხელმძღვანელობით სირიის დემოკრატიულ ძალებზე (SDF);
- არ არის გამორიცხული სოციალური ფონის გამო სირიის ოპოზიციურმა ძალებმა სცადონ ასადის ხელისუფლების მხარდამჭერების ჩამოშორება და სიღარიბის თემის წინა პლანზე წამოწევა;
- მხარდამჭერისგან გარეშე დარჩენილი სირია შესაძლოა კვლავ გახდეს „ისლამური სახელმწიფოს“ შენაერთების თავდასხმების მსხვერპლი.

რუსეთ-უკრაინის ომის დასაწყისში რუსეთმა გამოაცხადა, რომ იგი არ შეასრულებდა 2021 წლის დეკემბრის ვალდებულებას, რაც გულისხმობდა ხორბლის რესურსის შეტანას სირიის რეჟიმის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, რაც თავის მხრივ გულისხმობდა ახალი

<sup>1</sup> Rahman-Jones, I., Why does Russia support Syria and President Assad? <https://www.bbc.com/news/newsbeat-39554171>, [უ. გ. 7.11.2022].

რესურსის მიწოდებასა და გარკვეული მარაგის შევსებას. ჩრდილო-დასავლეთ სირია განსაკუთრებით განიცდის დეფიციტს, რადგან უშუალოდ დამოკიდებული იყო ხორბლის ყიდვაზე რუსეთიდან და ამავდროულად უკრაინიდანაც, ასევე მცირე იმპორტს აწარმოებდა თურქეთიდანაც, სადაც გვალვამ დააზარალა წარმოება. შესაბამისად სირიის მთავრობას უწევს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სასურსათო დახმარების შემცირება, მიუხედავად იმისა, რომ რეჟიმმა მიიღო მკაცრი ზომები, როგორცაა, ფასების კონტროლი, რაციონირება და ექსპორტის შეზღუდვები, თუმცა ეკონომიკურად დაბალი რეიტინგული სახელმწიფოსთვის ძალიან რთულია მიმდინარე ეკონომიკური გამოწვევების წინაშე გარკვეული ზომები მიიღო და გაატარო.

### 1. რუსეთ-სირიის ურთიერთობები

სირიის და რუსეთის ურთიერთობები სათავეს ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს იღებს, კერძოდ 1970-იან წლებში საბჭოთა კავშირმა სირიის ტერიტორიაზე მოიპოვა გავლენა, უზრუნველყოფდა ჰუმანიტარული დახმარების და სამხედრო აღჭურვილობის მიწოდებას, ხოლო სანაცვლოდ მან მიიღო ახლო აღმოსავლეთში არსებული ერთადერთი რუსული სამხედრო ბაზა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ რუსეთ-სირიის ურთიერთობები არც ისე სახარბიელო ტემპით განვითარდა, გამომდინარე რუსეთს შიდა არსებული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემებით. 2000-იანი წლებიდან, როდესაც ხელისუფლებაში ვლადიმერ პუტინი მოვიდა, სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა. რუსეთის გეოსტრატეგიაში ახლო აღმოსავლეთმა წინა პლანზე გადაინაცვლა, ხოლო სირია, რომელთანაც ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდა, მთავარ პარტნიორთა რიგებში აღმოჩნდა. 2011 წლის არაბული გაზაფხულის დაწყების შემდეგ რუსეთის ახლო აღმოსავლური ინტერესები კიდევ უფრო გაიზარდა. გარდა სირიისა რუსეთი ლიბიის პრეზიდენტ მუამარ კადაფიში სტრატეგიულ პარტნიორს ხედავდა, ხოლო კადაფის მკვლელობა რუსეთისთვის არამომგებიანი იყო. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებში სირიამ ცენტრალური ადგილი დაიკავა, მან მიიღო სრული მხარდაჭერა რუსეთის მხრიდან, როგორც სამხედრო ინფრასტრუქტურის მხრივ, ისე სირიის ტერიტორიაზე გაჩნდნენ რუსი სამხედროები, რომლებიც ასადის ხელისუფლების შენარჩუნება/განმტკიცებას ისახავდნენ მიზნად.

2015 წლის 30 სექტემბერს რუსეთის ფედერაცია ოფიციალურად შევიდა სირიის არაბულ რესპუბლიკაში და ჩაერთო სამოქალაქო ომში პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლების შესანარჩუნებლად. 2011 წლიდან მოყოლებულმა ინტენსიურმა ბრძოლებმა და ტერორისტულმა აქტებმა სირიის არმია ძალიან დაასუსტა. სირიის რეგულალური არმია, ირანის რევოლუციური გუშაგთა კორპუსი, რუსეთის სამხედრო შენაერთები და დაქირავებული არმიაც კი არ იყო საკმარისი ომის დასაწყისში ოპოზიციისა და რადიკალური ჯგუფების წინსვლის შესაჩერებლად.

2015 წლის მარტში სირიის მთავრობამ დაკარგა მეორე პროვინციის დედაქალაქი, იდლიბი, როდესაც ჯეიმ ალ-ფატაჰმა, სხვადასხვა შეიარაღებული დაჯგუფების კოალიციებთან ერთად, წარმართა წარმატებული შეტევა ქალაქზე ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში. ერთი წლით ადრე მათ აიღეს პროვინციის დედაქალაქი რაქა, თავისი სტრატეგიული ნავთობისა და წყლის რესურსებით, რომელიც იქცა ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს (ISIL) მთავარი დასაყრდენი. გარდა ამისა, სირიის მთავრობამ დაკარგა კონტროლი რამდენიმე პროვინციაზე

- იდლიბის, ალეპოს, რაქას, დეირ აზ ზორის, ჰასაკეს, დერას და კუნეიტრას დიდ ნაწილზე და იბრძოდა ჰამას, ჰომსისა და დამასკოს სოფლის გასაკონტროლებლად.

რუსეთის და ირანის მხარდაჭერით ასადის ხელისუფლებამ შეძლო და შეაჩერა ოპოზიციური ძალების ინტერვენცია. განიმტკიცა სამხედრო სტრატეგიული პოზიციები, მოიპოვა სრული გავლენა და კონტროლი სირიის ტერიტორიაზე, ორივე სახელმწიფომ სირიის ტერიტორიაზე განათავსა საკუთარი სამხედრო ბაზები, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერ დროს გამოიყენებენ.

2022 წლისთვის უნდა ითქვას, რომ სირიის ოპოზიციური არმია აღარ წარმოადგენს ისეთივე ძალას, როგორც არაბული გაზაფხულის დასაწყისში. ასადის ხელისუფლება სირიის ტერიტორიას თითქმის სრულად აკონტროლებს, რუსეთსა და სირიას შორის სტრატეგიული პარტნიორობა ზენიტშია. პუტინის ხელისუფლება ასადს მუდმივად ახსენებს, რომ მის გარეშე ვერ შეინარჩუნებდა ხელისუფლებას, თავის მხრივ მაღლიერი ასადი, რუსეთს მხარს უჭერს დიპლომატიურ სარბიელზე, რუსეთისგან ახორციელებს საკვები პროდუქტებისა და სამხედრო ინფრასტრუქტურის იმპორტს და რუს სამხედროებს ამყოფებს საკუთარ ტერიტორიაზე „მშვიდობის უზრუნველსაყოფად“.

## 2. სირიაში არსებული სასურსათო კვების დეფიციტი

დღესდღეობით სირია რჩება მსოფლიო სასურსათო პროგრამის ერთ-ერთ ყველაზე გადაუდებელ შემთხვევად, რომელსაც სჭირდება სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო მეტი რესურსის გაწევა/დახმარება. გარდა ამისა, მსოფლიოში ლტოლვილთა მეოთხედი სირიელია და ისინი თავშესაფარს ანუ უსაფრთხო გარემოს ეძებენ 130 ქვეყანაში<sup>2</sup>. რუსეთ-უკრაინის ომმა ჰუმანიტარული დახმარებაზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა და ისედაც გადატაკებული სახელმწიფო უფრო უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენა.

შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მკაცრი სანქციების მეშვეობით, სირია დიდწილად დამოკიდებულია რუსული ხორბლის იმპორტზე. უკრაინა, არის ხორბლის მნიშვნელოვანი მიმწოდებელი გლობალურ ბაზარზე, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში მას არ შეუძლია თავისი მარცვლეულის ექპორტი, რის გამოც მცირდება გლობალური მიწოდება, რაც რეალურად აისახება ფასების ზრდასა და ხორბლის დეფიციტზე, რომელიც პირდაპირ კავშირშია პურის წარმოებასთან. ახლო აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოებმა თავის დაზღვევის მიზნით ომის დაწყებისას მიმართეს სხვა მსხვილ ხორბლის ექპორტიორ სახელმწიფოს, როგორცაა ინდოეთი. თავდაპირველად იყო ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ ინდოეთის მხრიდან იქნებოდა გარკვეული ნაბიჯები გადადგემა, რომ დახმარებოდა სირიას ხორბლისა და ბრინჯის საკვების დეფიციტის შესამსუბუქებლად, თუმცა გვალვის გამო სირიამ მიმდინარე პერიოდისთვის დაკარგა აღნიშნული მიმართულებით ექსპორტიორი სახელმწიფო. აქვე აღვნიშნავ, რომ თუ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი დიდხანს გაგრძელდება, სირია სურსათის უფრო მწვავე დეფიციტის წინაშე აღმოჩნდება, რომელიც რეალურად საბოლოო ჯამში აისახება პოლიტიკურ დღისწესრიგზეც.

ხორბალი ერთ-ერთი აუცილებელი სასურსათო რესურსია სირიელი მოსახლეობისთვის. სირიის წლიური საჭიროება ხორბლის მიწოდებასთან დაკავშირებით შეფასებულია

<sup>2</sup> Hatahet, S., What the Russian Invasion Means for Syria. <https://reliefweb.int/report/syrian-arab-republic/what-russian-invasion-means-syria> [უ. გ. 13.11.2022].

დაახლოებით 4,3 მილიონ ტონაზე. 2021<sup>3</sup> წელს სირიამ რუსეთისგან დაახლოებით 1,2 მილიონი ტონა იმპორტი განახორციელა და მხოლოდ 1,05 ტონა აწარმოა, რის შედეგადაც რეჟიმის დაქვემდებარებაში მყოფ ადგილებში პურის რიგები დაიწყო და ფასები უპრეცედენტოდ გაიზარდა.

სირიის სასურსათო მარაგის დეფიციტის გაუარესება რუსეთის უკრაინაში ინექსირების უშუალო ბრალი არ არის, თუმცა რა თქმა უნდა პირდაპირ კავშირშია, რადგან დღემდე შეწყვეტილია წვდომა რუსულ საკვებ პროდუქტებზე.

გარდა ამისა, საკვების ალტერნატიული მარაგის მოძიება სირიისთვის ნამდვილად მარტივი არ არის, რადგან ქვეყნიდან იმპორტი კომპრომეტირებულია სანქციებით, რის საფუძველზეც მას გაუჭირდება ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება სახელმწიფოებთან.

გამვირდა, ასევე ძირითადი იმპორტირებული საქონელი. მიმდებარე ბაზრებზე წვდომა ასევე გართულდა, რადგან რამდენიმე ქვეყანამ, მათ შორის თურქეთმა, დაიწყო აკრძალვების დაწესება მარცვლეულის, კულინარიული ზეთისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტი სირიაში.

### 2.1. ხელმისაწვდომობის პრობლემა

პროდუქტებზე ფასების ზრდამ იმოქმედა ასევე ჰუმანიტარულ დახმარებაზე. მარტის თვეში, მსოფლიო სასურსათო პროგრამის სტრანდარტული კალათის ეროვნული საშუალო ღირებულება დაახლოებით 24 პროცენტით გაიზარდა ერთი თვის განმავლობაში. დამატებით მძიმე მდგომარეობაა ჯანდაცვის სექტორში. რიგი სამედიცინო დაწესებულებები, რომლებიც ოპოზიციის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეა მთლიანად დამოკიდებულია საერთაშორისო დაფინანსებაზე, რათა უზრუნველყონ აუცილებელი სერვისები და მედიკამენტები.

მიწოდების ჯაჭვის შეფერხებისა და გაზრდილი ხარჯების გარდა, სექტორისთვის გამოყოფილი თანხები ბოლო ათი თვის განმავლობაში 40 პროცენტზე მეტით შემცირდა, რის შედეგადაც საავადმყოფოები და სასიცოცხლო მნიშვნელობის სერვისები დაიხურა.

მიმდინარე ომს არ გამოუწვევია აღნიშნული საკითხების კრიზისი, თუმცა რა თქმა უნდა შეუწყო ხელი მის გამწვავებას. სამომავლოდ კიდევ უფრო გაართულებს ომის ხანგრძლივობა პოლიტიკურ მოლაპარაკებებს ტრანზიციისაზე, რაც რეალურად უფრო და უფრო გააუარესებს ჰუმანიტარულ პირობებს ქვეყანაში.

დარგის ექსპეტების აზრით, სასურსათო უსაფრთხოების მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით, ჰუმანიტარულმა და დონორმა ქვეყანებმა თუ არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ ჰუმანიტარული დახმარების მუდმივი ნაკადის გაზრდა სირიაში.

---

<sup>3</sup> Hatahet, S., What the Russian Invasion Means for Syria. <https://reliefweb.int/report/syrian-arab-republic/what-russian-invasion-means-syria>, [უ. გ. 13.11.2022].

### 3. გეოპოლიტიკური დინამიკა

ბაშარ ალ ასადის ძირითადი მიზანი არის სრული კონტროლი სირიაზე, რაც რეალურად დამოკიდებულია მის მიერ მხარდაჭერის მოკავშირეებზე, კერძოდ, რუსეთსა და ირანზე. აშშ-ისა და ევროკავშირის სანქციების და სერიოზულად დაზიანებული ინფრასტრუქტურის ფონზე სირიას მუდმივად ემუქრება სახელმწიფო ინსტიტუტების დანგრევა, შესაბამისად სირიისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ირანის და განსაკუთრებით რუსეთის თანადგომა გვერდით.

ზოგადად, ირანი უზრუნველყოფს სირიაში ნავთობის, გაზის გარკვეული სახსრების მიწოდებას, ამავდროულად მისი ბაზებიც არის განთესილი სირიის ტერიტორიაზე, ხოლო რუსეთი უზრუნველყოფს საკვები რესურსების ექსპორტს სირიაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პოზიციები უსაფრთხოების მხრივ და დიპლომატიის მომლაპარაკე აქტორად ერთგვება, როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკის მხრივ. შესაბამისად, რუსეთ-უკრაინის ომს ექნება გარკვეული ზეგავლენა სირიის უსაფრთხოებაზე, რადგან ამის ძირითადი პასუხისმგებელი პირი, როგორც სტრატეგიული თვალსაზრისით გამოდის რუსეთი.

მიუხედავად, იმისა, რომ რუსეთი მაქსიმალურად ცდილობს ნაკლებად დაკარგოს ზეგავლენა სირიაზე, მაინც მისი ფოკუსირება უკრაინის ომისკენ არის მიმართული. შესაბამისად, ამის საფუძველზე, თურქეთი და ირანი, შეეცდებიან რეგიონალურად მოახდინოს ზეგავლენა სირიაზე, განსაკუთრებით ირანი და ამას აკეთებს მაქსიმალურად მისი მარიონეტული ძალების დახმარებით.

პოლიტიკურ პროცესს ეკონომიკურად შექმნილი რთული ვითარება აფერხებს. Carter Center/ACLEDA-ის მონაცემებით, რუსეთის სამხედრო აქტივობა სირიაში მკვეთრად შემცირდა, იმის ფონზე, რომ ის დღემდე რჩება ყველაზე საიმედო პარტნიორად. რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებისას, იყო გარკვეული დაუზუსტებელი ფაქტები იმისთან დაკავშირებით, რომ რუსეთმა სამხრეთ სირიიდან გაიყვანა თავისი ჯარები, თუმცა აპრილის თვეში ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდა ყველაფერი. დარგის მკვლევარების მოსაზრებით რუსეთი ფოკუსირება, რა თქმა უნდა მთლიანად არის დათმობილი უკრაინაზე, თუმცა ძალისხმევას მაინც არ იშურებს სირიასთან მიმართებაში.

იმის მიუხედავად, რომ რუსეთი თავის პოზიციებს არ თმობს სირიაში და ეს რა თქმა უნდა, განპირობებულია მისი ინტერესით, რომ ყავდეს მთავარი დასაყრდენი სირიაში, ბოლო დროინდელი ცნობებით ირანი უფრო მეტად იკიდებს ფეხს სასაზღვრო რეგიონში, რაც რეალურად ართულებს იორდანის და ისრაელის მიდგომებს ირანის წინააღმდეგ. სირიაში დღემდე მიმდინარეობს კონფლიქტი ოპოზიციასა და ასადის ხელისუფლებას შორის, ხშირ შემთხვევაში ამის დეესკალაციას რუსეთთან ერთად ახერხებდა, თუმცა მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე რუსეთი ნაკლებად არის ჩართული ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში.

იორდანის ურთიერთობები დღითიდღე იძაბება სირიის მთავრობასთან და ეს განპირობებულია ნარკოტიკებისა და კონტრაბანდისტების სპონსორობაში. კერძოდ,

<sup>4</sup> Prasad H., Blog | Russia's Invasion of Ukraine Complicates the Situation in Syria.

<https://www.cartercenter.org/news/features/blogs/2022/russias-invasion-of-ukraine-complicates-the-situation-in-syria.html>, [უ. გ. 14.11.2022].



იორდანია ცდილობს მკაცრი ზომები მიიღოს სასაზღვრო რეგიონში, რადგან პირდაპირ ბრალს დებს სირიის მთავრობასა და ირანს ამფეტამინის ვაჭრობის სპონსორობაში. რუსეთი თავის დროზე იყო შუამავალი იორდანიასა და სირიით მთავრობის საღვრის უსაფრთხოების საკითხების მოსაგვარებლად, ხოლო ამ ეტაპზე რუსეთის პოზიციები შემცირებულია, რის საფუძველზეც იორდანის მთავრობა გააქტიურებულია, რათა მარტომ უზრუნველყოს აღნიშნული პრობლემის მოგვარება.

გარდა სამხრეთ სირიის მდგომარეობისა, მნიშვნელოვანია ჩრდილოეთ სირიის საკითხი. კერძოდ, ქურთების და თურქეთის პოზიციის განხილვა. რის საფუძველზეც, სირიისთვის მნიშვნელოვანია ჩრდილოეთ სირიის საზღვრის შენარჩუნება იმ ფონზე, რომ უმეტესი ქურთები არიან დასახლებულნი აღნიშნულ ნაწილში. რუსეთი ამ მიმართულებით გააქტიურებულია და კონფლიქტის მომგვარებელ მხარედ გვევლინება, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი ამ მიმართულებით იმიტომ არის გააქტიურებული, რომ თურქეთიც არის ერთ-ერთი ჩართული მხარე.

რუსეთი, ასევე ქვეყნის შიგნით არის მთავარი დამრეგულირებელი ძალა ოპოზიციასა და სირიის მთავრობის შორის, რომელმაც 2020 წლის მარტში ცეცხლის შეწყვეტის ერთ-ერთ გარანტიორად წარადგინა თავი. შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყნის საშინაო პოლიტიკის უსაფრთხოების დარეგულირების ერთ-ერთ საკითხად რუსეთი გვევლინება, მაგრამ ამ მიმართულებით შედარებით ნაკლებად არის ჩართული, რადგან როგორც უკვე აღვნიშნეთ მის ფოკუსირების მთავარ წყაროდ უკრაინა გვევლინება.

მიმდინარე ომის ფონზე რუსეთი ეკონომიკური კუთხით სანქცირებულია, რაც რეალურად სირიის მთავრობის ფინანსურ და დიპლომატიურ მხარდაჭერას აფერხებს. ომის პარალელურად, სირიამ შეწყვიტა სავაჭრო ურთიერთობები უკრაინასთან, არადა უკრაინაც ერთ-ერთი ექპორტიორი ქვეყანა იყო სირიისთვის საკვების მიმართულებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთს აქვს სტრატეგიული ინტერესი სირიაში თავისი საჰაერო და საზღვაო ბაზების შენარჩუნების მხრივ. შესაბამისად, ასადაც გარკვეული ინტერესი აქვს, რომ რუსეთი დატოვოს თავის საკუთარ ტერიტორიაზე, კერძოდ რუსეთის დახმარებით ცდილობს საკუთარი პოზიციების გამყარებას. სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის (IISS) მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის საფუძველზე, რუსეთის სახმელეთო ძალები დაახლოებით 2022 წელს 4000-ს შეადგენდა, შესაბამისად რუსეთი კონცენტრირებულია საჰაერო კოსმოსური თავდაცვის ძალებზე სირიაში. სწორედ აქედან გამომდინარე მას აქვს ჯერ-ჯერობით იმის შესაძლებლობა, რომ ნაკლებად შეცვალოს პოლიტიკური ზეგავლენა სირიაზე.<sup>5</sup>

აქვე აღვნიშნავ, რომ განსაკუთრებით დამაბული ფონი იქმნება ჰუმანიტარული დახმარების მხრივ. ჰუმანიტარული სპექტრის დახმარება დღითიდღე უფრო სჭირდება სირიას. აშშ ერთ-ერთი მსხვილი დამხმარე ძალაა ამ მიმართულებით, შესაბამისად, ჰუმანიტარული დახმარება სირიისთვის სტაბილური უნდა იყოს მოსახლეობის სიღატაკის ზღვრიდან გამომდინარე, თუმცა საერთაშორისო დაფინანსების დეფიციტი შეიძლება აისახოს უკრაინის კრიზისზე რეაგირების მასშტაბიდან გამომდინარე.

---

<sup>5</sup> Stiftung Wissenschaft und Politik. The War in Ukraine and Its Impact on Syria. <https://www.swp-berlin.org/en/publication/the-war-in-ukraine-and-its-impact-on-syria>, [უ. გ. 11.11.2022].

თურქეთის პოლიტიკაც რომ განვიხილოთ, მისი ჩართულობა მიმდინარე ომის ფონზე ნაკლებია, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ეკონომიკური თანამშრომლობა გააჩნია რუსეთსა და თურქეთს, გარკვეულ ზეგავლენას იქონიებდა რუსეთ-უკრაინის ომი მათ ურთიერთობებზე. თურქეთი ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია იმპორტის კუთხით და გაზის ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელი. უკრაინაში რუსეთის შეჭრამდეც კი, თურქეთის გაღრმავებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა გაართულა მისი სირიის პოლიტიკის ეკონომიკური ხარჯების გამართულობა. უფრო მეტიც, უკრაინაში ომის ჰუმანიტარული შედეგები დაამატებს თურქეთის ეკონომიკურ ტვირთს ჩრდილო-დასავლეთ სირიაში. ამრიგად, ტრანსსასაზღვრო დახმარების გაგრძელება თურქეთისთვის აქტუალური პრიორიტეტია, ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე.

მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ასადის მმართველობის რეჟიმის დარჩენაში მეორე მხრივ ირანს. სირიაში ორი ძლიერი მოკავშირე ერთმანეთის ურთიეთქმედებით იყოფენ ზეგავლენას და მაქსიმალურად ცდილობენ თავიანთი პოზიციების გამყარებას. შესაბამისად რუსეთს და ირანს გარკვეულად პოლიტიკური ურთიერთქმედებით დაბალანსებული ჰქონდათ ტერიტორიული კონტროლი, რათა ასადის მმართველობა შეენარჩუნებინათ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთი მაინც დაწინაურებული იყო, რადგან გარდა პოლიტიკურ საქმეებისა, ეკონომიკურ ფაქტორსაც უძღვებოდა. რუსეთ-უკრაინის ომმა, შეიძლება ითქვას შეცვალა გარკვეული დინამიკა, რის საფუძველზეც ირანს მიეცა გარკვეული შესაძლებლობა, რომ გაეზარდა თავისი გავლენა სირიაში. ამის ნათელი მაგალითია მისი გაფართოება ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში, იმის ფონზე, რომ აღნიშნულ ნაწილს, უმეტეს შემთხვევაში აკონტროლებდა რუსეთი. სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის (IISS) სამხედრო ბალანსის მიხედვით, ირანის ჯარები მიმდინარე წელს აღნიშნულ რეგიონში 1500-ს შეადგენდა. შესაბამისად, აღნიშნული მაჩვენებლით მათ გაზარდეს თავიანთი ყოფნა ალ-ჰასაკში. რუსეთ-უკრაინის ომამდე რუსეთი ზღუდავდა ირანის საქმიანობას ალ-ჰასაკში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ალ-ჰასაკი ახლოს არის აშშ-ს მიერ მხარდაჭერილ სირიის დემოკრატიული ძალების (SDF) მიერ კონტროლირებად ტერიტორიასთან.

დარგის ექსპერტების მოსაზრებით, ირანს ყოველთვის ჰქონდა სურვილი ვაშიგტონზე ზეწოლა მოეხდინა და შეიძლება ითქვას აქვს ამის შანსი სირიის გავლით. დამატებით, ირანმა აღჭურვა თავისი მარიონეტული ძალები სირიის სხვადასხვა რაიონში იარაღით, მათ შორის არის ჯავშანტექნიკის ტყვიამფრქვევები. ამ საქციელს ირანი ამართლებს იმით, რომ ISIS-ის განახლებულ აქტივობებთან დაკავშირებული ბრძოლისუნარიანად უნდა გასცენ სამომავლოდ პასუხი. დამატებით, ირანი არ დასჯერდა მხოლოდ ალ-ჰასაკის ტეროტორიას, არამედ გააქტიურა თავისი მიმართულებები მარიონეტული ძალების გამოყენებით ჰომსისა და დეირ-ეზ-ზორის პროვინციებში. და ბოლოს, აპრილის დასაწყისში, ირანულმა ძალებმა, ლიბანურ ჰეზბოლასთან და სირიის არმიის პროირანულ მეოთხე დივიზიასთან ერთად, გაამლიერეს თავიანთი ყოფნა მაჰინის სამხედრო საწყობში აღმოსავლეთ ჰომსში, რუსეთის მიერ მხარდაჭერილი ძალების გაყვანის შემდეგ.

## დასკვნა

რუსეთ-უკრაინის ომმა სირიისთვის მწვავედ იმოქმედა. ისედაც არსებული სიღარიბე, შიმშილი და ეკონომიკური კრიზი კიდევ უფრო წაახალისა. დღევანდელ დღემდე რეგიონს

გარე აქტორები მაქსიმალურად ცდილობდნენ ყველა ის უარყოფითი ზეგავლენა, რომელიც უკრაინა-რუსეთის ომმა გამოიწვია, სირიისთვის აერიდებინათ, თუმცა უშედეგოდ. გამომდინარე იქიდან, რომ სირიის ეკონომიკაში რუსეთის ექსპორტს დიდი როლი უკავია, შესაბამისად უარყოფითი ზეგავლენის აცილება ვერ მოხერხდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთისთვის რუსეთის გავლენის შემცირება სირიაში, სულაც არ აღმოჩნდა დადებითი შედეგის მომტანი. რუსეთის გავლენის შემცირებასთან ერთად გაიზარდა ირანის გავლენა და როლი. ირანის გავლენების ზრდამ სერიოზული შეშფოთება გამოიწვია ისრაელში, რომელიც ასეთი ვითარებიდან გამომდინარე პირდაპირ საფრთხეს გრძნობს სირიის ტერიტორიაზე განლაგებული ირანული სამხედრო ბაზებიდან.

ძალზედ მნიშვნელოვანია რეგიონული კონფლიქტების შემცირებაში თავისი როლი ითამაშონ ევროკავშირმა და პარტნიორმა ქვეყნებმა, ისეთებმა როგორებიცაა: გაერთიანებული სამეფო, შვეიცარია და ნორვეგია. მათ უნდა შეძლონ და ხელი შეუწყონ გრძელვადიან ჰუმანიტარულ მიზნებს, რომელიც ამავედროულად შეძლებს და რეგიონული უსაფრთხოების ინკლუზიური სისტემის გარანტიც იქნება. ამ თვალსაზრისით აუცილებელია, რომ მათ იმუშაონ ლოკალური კონფლიქტების შემცირების მიმართულებითაც. მათი როლი, ასევე მნიშვნელოვანია რეგიონს შიდა დაპირისპირებული მხარეების, ირანი და საუდის არაბეთი, და ისრაელი „ცივი კონფლიქტების“ დაბალანსებაში. ასევე სირიელი ქურთების საკითხის მოგვარებასა და თურქეთის პოზიციების დაბალანსებაში.

სირიის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჯანსაღი საინვესტიციო პოლიტიკა, ამ მიმართულებით მას აშკარად გამოწვევები აქვს. სამოქალაქო ომისგან დაზიანებული სირიაში არსებული საწარმოთა რეკონსტრუქციის ხარჯები 250 დან 400 მილიარდ აშშ დოლარამდე მერყეობს. თეორიული შესაძლებლობა არსებობს არაბული სახელმწიფოების მხრიდან, თუმცა ამ მიმართულებით მრავალ გამოწვევას აქვს ადგილი. ერთ-ერთი ირანის ფაქტორია, რომლის გავლენა სირიაში ძალიან დიდია. შესაძლებელია ამან დადებითადაც იმოქმედოს და სწორედ ირანის გავლენის ზრდის შესამცირებლად განახორციელონ არაბულმა ქვეყნებმა ინვესტიცია, თუმცა ინვესტიციის დაკარგვის რისკები საკმაოდ დიდია. ამავედროულად ეკონომიკის აღორძინებას დიდი დრო სჭირდება, ჯერ კიდევ პოტენციურად არსებულ სამოქალაქო ომის პირას მყოფი სირია არც ისე სასურველ საინვესტიციო ქვეყნად მოიაზრება. კიდევ ერთი მიზეზი თავად ქვეყნის მდგომარეობაა. დაშლილ-განადგურებული ქვეყანა, რომლის პოლიტიკური რეჟიმი არასტაბილურია, მოკავშირედ ორი აგრესორი სახელმწიფოა და არცერთი ქვეყნისთვის არ შექმნის ჯანსაღ საინვესტიციო გარემოს.

რუსეთ-უკრაინის ომი დამატებით პოტენციურ საფრთხეს ქმნის ასადის რეჟიმისთვის. რუსეთის ფედერაცია დღითიდღე ამატებს სამხედრო მოსამსახურეებს უკრაინის ტერიტორიაზე, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი წარმატებას ვერ აღწევენ და უფრო დიდ სამხედრო დახმარებას მოითხოვენ, არსებობს ალბათობა, რომ სირიაში არსებული სამხედრო შენაერთები უკრაინაში გაიგზავნებიან. არც ის არის გამორიცხული რუსეთმა, მეგობრობის ნიშნად ასადს სირიული შენაერთების გაგზავნა მოთხოვოს. ასეთი ვითარება ასადის რეჟიმისთვის სასურველი ნამდვილად არ არის. სირიული შენაერთების გაგზავნა თავისთავად ფართო სპექტრით ვერ მოხდება, მცირედი რაოდენობაც კი ასადისთვის საფრთხის შემცველია აისისის გაძლიერებიდან და ოპოზიციური ძალების გააქტიურებიდან გამომდინარე, ხოლო რუსეთის შენაერთების გასვლის შემთხვევაში ასადს უფრო მეტი მხარდაჭერა ირანის მხრიდან დასჭირდება, რომელიც რუსეთის შემდეგ მთავარი მოკავშირე და მხარდამჭერია. თავის მხრივ მსგავსი ნაბიჯი ისრაელის გაღიზიანებას გამოიწვევს, რაც

გაზრდის ისრაელის მხრიდან სირიაზე სამომავლო თავდასხმებს. ისრაელისთვის რუსეთ-სირიის კავშირი არასასურველია, თუმცა უფრო მეტად არასასურველი, რა თქმა უნდა მისი მთავარი მოწინააღმდეგე ირანია, რომელიც ისრაელს ღიად ემუქრება განადგურებით.

2021 წლის დეკემბერში გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ სირია გააფრთხილა, რომ მოსალოდნელი გვალვის ფონზე ხორბლის მოსავლის კლება და შიმშილის რისკი საკმაოდ მაღალი იქნებოდა. ომის შედეგად ისედაც დაზიანებულ, განადგურებულ და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მისულ სირიას ეს ინფორმაცია ნამდვილად არ წაადგებოდა. ამას დაემატა უკრაინის ომის შედეგები, რომელმაც ისედაც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ სირიაში, დამატებით უფრო მეტად მწვავენ ჰუმანიტარული კრიზისი გამოიწვია. ჯერ კიდევ ომამდე სირიის მოსახლეობის 90% სიღარიბეში ცხოვრობდა, 2/3 დამოკიდებული იყო ჰუმანიტარულ დახმარებაზე, ხოლო 55% საკვებით დაუცველი იყო. სირიის კრიზისს თან ერთვებოდა ცუდი მმართველობის შედეგად დაწესებული სანქციები, კოვიდ პანდემია და ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით სირია არნახულ კრიზისში აღმოჩნდა დღეის მდგომარეობით.

რუსეთ-უკრაინის ომის დასაწყისშივე რუსეთმა განაცხადა რომ ის არ აპირებდა 2021 წლის დეკემბრის დასაწყისში აღებული ვალდებულების შესრულებას, რომელიც ასადის რეჟიმის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებისთვის ხორბლის მიწოდებას შეეხებოდა. ჩრდილო-დასავლეთ სირიაც ამავდროულად განიცდის დეფიციტს, გამომდინარე იქიდან, რომ ის ყიდულობს ხორბალს უკრაინიდან და რუსეთიდან, ან/და თურქეთიდან, რომელიც ასევე დაზარალდა გვალვის გამო. გარდა ამ ყველაფრისა, მსოფლიო სასურსათო პროგრამა, რომელიც დიდწილად არის დამოკიდებული უკრაინაში არსებულ წარმოებაზე, არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაშია მიმწოდებლის დაკარგვის, სურსათის ფასების ზრდისა და მსოფლიო გაჭირვებულთა გაზრდილი რაოდენობის გამო. 2022 წლის მაისიდან პროგრამას მოუწევს ჩრდილო-დასავლეთ სირიაში 1.35 მილიანი ადამიანისთვის სასიცოცხლო დახმარების შემცირება. მიუხედავად იმისა, რომ სირიის რეჟიმმა მკაცრი ზომები მიიღო, მაგალითისთვის რაციონირება, ფასების კონტროლი და ექსპორტის შეზღუდვები, ეს მაინც არ არის საკმარისი სიტუაციის დასტაბილურებისთვის.

საბოლოო ჯამში რომ შევაჯამოთ რუსეთის პოზიცია სირიასთან მიმართებით, გამოიკვეთება ძირითადი ტრაექტორია, რომელიც გავლენას იქონიებს იმ შემთხვევაში თუ დიდხანს გაგრძელდა რუსეთ-უკრაინის ომი. პირველი ეს რა თქმა უნდა ეხება, რუსეთის პოზიციების დაკარგვას, რაც გამოიხატება თავისი სამხედრო ყოფნის დაკარგვით თუ უშუალოდ დიდი ძალით მოახდინა ფოკუსირება უკრაინისკენ. შესაბამისად, შესაძლებელია რუსეთმა აღარ დაბლოკოს ირანის გავლენის გაფართოება. სწორედ აქედან გამომდინარე, ირანს უჩნდება იმის შანსი, რომ მთლიანად მისი გავლენის სფეროდ აქციოს სირია, რაც თავის მხრივ არც ისე სახარბიელო იქნება დასავლეთის ქვეყნებისთვის. მეორეს მხრივ, სირიაში უფრო და უფრო გართულდება მდგომარეობა ჰუმანიტარული დახმარების საჭიროების მხრივ, კერძოდ, თუ სირიამ ახლო პერსპექტივაში ვერ იპოვა საკვები რესურსების მხრივ მიმწოდებელი სახელმწიფო, რომელიც მარაგით უზრუნველყოფს, საბოლოო ჯამში გაართულებს ფონს მოსახლეობისთვის მინიმუმში საკვები რესურსების მიწოდებას.

### ბიბლიოგრაფია

1. Rahman-Jones, Imran. Why does Russia support Syria and President Assad? <https://www.bbc.com/news/newsbeat-39554171> [უკანასკნელად გადამოწმდა 7.11.2022];
2. Yacoubian, Mona. What is Russia's Endgame in Syria? <https://www.usip.org/publications/2021/02/what-russias-endgame-syria> [უკანასკნელად გადამოწმდა 7.11.2022];
3. SYRIA: A 'FROZEN' CONFLICT RISKS ESCALATING DUE TO THE IMPACT OF THE WAR IN UKRAINE. <https://www.pangea-risk.com/syria-a-frozen-conflict-risks-escalating-due-to-the-impact-of-the-war-in-ukraine/> [უკანასკნელად გადამოწმდა 9.11.2022];
4. HELLER, SAM. Russia's War in Ukraine Will Also Hurt Syria. <https://tcf.org/content/report/russias-war-in-ukraine-will-also-hurt-syria/?agreed=1> HYPERLINK "<https://tcf.org/content/report/russias-war-in-ukraine-will-also-hurt-syria/?agreed=1&agreed=1>" & HYPERLINK "<https://tcf.org/content/report/russias-war-in-ukraine-will-also-hurt-syria/?agreed=1&agreed=1>" agreed=1 [უკანასკნელად გადამოწმდა 10.11.2022];
5. Stiftung Wissenschaft und Politik. The War in Ukraine and Its Impact on Syria. <https://www.swp-berlin.org/en/publication/the-war-in-ukraine-and-its-impact-on-syria> [უკანასკნელად გადამოწმდა 11.11.2022];
6. Hatahet, Sinan. What the Russian Invasion Means for Syria. <https://reliefweb.int/report/syrian-arab-republic/what-russian-invasion-means-syria> [უკანასკნელად გადამოწმდა 13.11.2022];
7. Prasad, Hari. Blog | Russia's Invasion of Ukraine Complicates the Situation in Syria. <https://www.cartercenter.org/news/features/blogs/2022/russias-invasion-of-ukraine-complicates-the-situation-in-syria.html> [უკანასკნელად გადამოწმდა 14.11.2022].

# შურნალისტიკა



## ღია პოლიტიკური რეკლამის დაფარული მნიშვნელობები (2014-2021 წლების ქართული საბელაჟიზიო პოლიტიკური რეკლამების მახალითხე)

### თინათინ მაჭარაშვილი

ასისტენტ-პროფესორი,  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ნათია სვანიძე

ასისტენტ-პროფესორი,  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### თორნიკე კაკალაშვილი

საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ ჟურნალისტი

### აბსტრაქტი

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ ვიზუალური კულტურის ეპოქა წარმოშვა, რომელშიც ვერბალურ ინფორმაციაზე დიდი მნიშვნელობა ვიზუალურ ინფორმაციას ენიჭება, რადგან ეს უკანასკნელი, უმეტეს წილად, უფრო მეტად არის გაჯერებული იმპლიციტური შეტყობინებებით. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, შეგვესწავლა ქართული სატელევიზიო ღია პოლიტიკური რეკლამები, რომლებშიც ვიზუალურ ინფორმაციას, ხშირად, ვერბალურ ინფორმაციაზე გაცილებით მეტი დატვირთვა აქვს.

ზოგადად, რეკლამის მწარმოებლები და მით უფრო პოლიტიკური რეკლამის შემქმნელები, ოსტატურად უნდა იყენებდნენ ვიზუალურ კომპონენტს, რათა შეძლონ ინფორმაციული ველის ზრდის ხარჯზე, მომხმარებელზე ზემოქმედების ხარისხის გაზრდა. იმ მიზნით, რომ გავგეზომა, რა ტენდენციები შეიმჩნევა ამ მხრივ ქართულ პოლიტიკურ მარკეტინგში, გავანალიზეთ 2014 - 2021 წლების სხვადასხვა ტიპის არჩევნებზე გამოყენებული სარეკლამო რგოლები.

საკვლევი პერიოდის განსაზღვრა განპირობებული იყო შემდეგი ფაქტით: 2014 წლიდან ქართული პოლიტიკური პარტიების მიერ დამკვიდრებულ ღია პოლიტიკურ რეკლამათა ნაირსახეობას - კონტრრეკლამა, პროპაგანდა - „ქართულმა ოცნებამ“ შემატა ახალი მოდელი - კანდიდატის მრავალმხრივ პოზიციონირება. ჩვენი მიზანია ის იყო, რომ დავკვირვებოდით, როგორ ტრანსფორმაციას განიცდიდა ღია სატელევიზიო პოლიტიკური რეკლამა 2014 წლიდან 2021 წლის მუნიციპალურ ორგანოთა არჩევნების ჩათვლით.

ჩვენი კვლევა სიახლეს წარმოადგენს მეთოდოლოგიის მხრივ, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ღია თუ ფარული პოლიტიკური რეკლამა სხვადასხვა კონტექსტში უკვლევიათ დარგის სპეციალისტებს, აქამდე არ ყოფილა პრეცედენტი სემიოტიკური ანალიზისა და მედიაეფექტების თეორიების საფუძველზე წარმოჩენილიყო ქართული ღია პოლიტიკური რეკლამების იმპლიციტური მნიშვნელობები. მიგვაჩნია, რომ ღია პოლიტიკური რეკლამების

დაფარული მნიშვნელობების სრულყოფილი დეკოდირება ამ ორ დარგზე - სემიოტიკასა და მედიაეფექტების თეორიებზე - დაყრდნობით არის შესაძლებელი.

ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ვიზუალური კოდი ერევა რეციპიენტის მიერ შეტყობინების აღქმის პროცესში და აძლევს მიმართულებას. ჩვენ მიერ შესწავლილი მაგალითები ადასტურებს, რომ ფრეიმებს უმეტესად ვიზუალური ელემენტი ქმნის, რომელიც ადრესატს კარნახობს, თუ როგორ უნდა აღიქვას გზავნილი. „დღის წესრიგის“ თეორიაზე დაყრდნობით, კი პოლიტიკური მარკეტინგის პროფესიონალები პოტენციურ ამომრჩეველს სთავაზობენ, თუ რომელ საკითხებზე უნდა დაფიქრდნენ, ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ და შესაბამისად, სარეკლამო რგოლებში სწორედ ამ პრობლემათა გადაჭრის გზებს აჩვენებენ მაყურებელს.

2014 წლიდან მოყოლებული ქართული სატელევიზიო ღია პოლიტიკური რეკლამა იხვეწება, შეინიშნება შემოქმედებითი მიდგომის ზრდის ტენდენცია, რაც წინასწარჩვენო კამპანიის ამ უმნიშვნელოვანეს ნაწილს მრავალფეროვანს ხდის. „ნეგატივიზმში გადავარდნაც“ იკლებს და მის ადგილს ისეთი ტიპის სარეკლამო რგოლი იკავებს, რომელიც ორიენტირებულია კანდიდატისა და მისი სამოქმედო გეგმის კრეატიულად წარმოჩენისკენ.

**საკვანძო სიტყვები:** პოლიტიკური რეკლამა, სემიოტიკა, ფრეიმინგი, აჯენდა სეთინგი.

## შესავალი

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ წარმოშვა ვიზუალური კულტურის ეპოქა, რომელშიც ვერბალურ ინფორმაციაზე დიდი მნიშვნელობა ვიზუალურ ინფორმაციას ენიჭება, რადგან ეს უკანასკნელი უმეტეს წილად უფრო მეტად არის გაჯერებული იმპლიციტური შეტყობინებებით. ზოგადად რეკლამის და მით უმეტეს პოლიტიკური რეკლამის მიზანი კი მაყურებლის ქცევის შეცვლაა. დავინტერესდით, ღია პოლიტიკურ რეკლამებში რა კოდირებული გზავნილია ჩადებული, რომელიც ვერბალურ კოდს დამატებითი ინფორმაციით ავსებს და შედეგად, რეციპიენტზე ზემოქმედების ხარისხს ზრდის. ყურადღება გავამახვილეთ ქართულ ტელემედიამში გაშუქებულ ღია პოლიტიკურ რეკლამებზე, რადგან, უნდა აღინიშნოს, რომ ამომრჩეველთა უმრავლესობა, რომელშიც სამწუხაროდ ახალგაზრდა თაობა ძალიან მცირე ადგილს იკავებს, კანდიდატებისა და პოლიტიკური პარტიების სარეკლამო რგოლებს სწორედ ტელევიზიით ეცნობა.

კვლევის ჰიპოთეზა ასე ჩამოვყალიბეთ: ზოგადად, რეკლამის მწარმოებლები და მით უფრო პოლიტიკური რეკლამის შემქმნელები, ოსტატურად უნდა იყენებდნენ ვიზუალურ კომპონენტს, რათა მომხმარებელზე ზემოქმედების ხარისხი ინფორმაციული ველის ზრდის ხარჯზე გაზარდონ.

ჩვენი კვლევა სიახლეს წარმოადგენს მეთოდოლოგიის მხრივ, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ღია თუ ფარული პოლიტიკური რეკლამა სხვადასხვა კონტექსტში უკვლევიანთ დარგის სპეციალისტებს, აქამდე არ ყოფილა პრეცედენტი სემიოტიკური ანალიზისა და მედიაეფექტების თეორიების საფუძველზე წარმოჩენილიყო ქართული ღია პოლიტიკური რეკლამების იმპლიციტური მნიშვნელობები.

აქედან გამომდინარე, ჩვენი მიზანია, 2014-2021 წლების ქართული სატელევიზიო პოლიტიკური რეკლამების სემიოტიკურ ანალიზზე დაყრდნობით, კონოტაციური მნიშვნელობების დეკოდირების მიზნით, შევისწავლოთ ღია პოლიტიკური რეკლამის



ვიზუალური მხარე, რაც თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემს, მედიაეფექტების თეორიის - „ფრეიმინგის“ მიხედვით წარმოვაჩინოთ ის „ფრეიმები“ ანუ ჩარჩოები, რომლითაც პოლიტიკური მარკეტინგის სპეციალისტები კარნახობენ ამომრჩეველს, როგორ უნდა დაინახონ და აღიქვან კანდიდატი.

საკვლევი პერიოდის განსაზღვრა განპირობებული იყო შემდეგი ფაქტით: 2014 წლიდან ქართული პოლიტიკური პარტიების მიერ დამკვიდრებულ ღია პოლიტიკურ რეკლამათა ნაირსახეობას - კონტრეკლამა, პროპაგანდა - „ქართულმა ოცნებამ“ ახალი მოდელი შემატა - კანდიდატის მრავალმხრივ პოზიციონირება. ჩვენი მიზანიც ის იყო, რომ დავკვირვებოდით, როგორ ტრანსფორმაციას განიცდიდა ღია სატელევიზიო პოლიტიკური რეკლამა 2021 წლის მუნიციპალურ ორგანოთა არჩევნების ჩათვლით.

### 1. პოლიტიკური მარკეტინგი

პოლიტიკური მარკეტინგი ადამიანებზე ზემოქმედების მძლავრი საშუალებაა. არსებობს იდეურ-პოლიტიკური ზემოქმედების ორი ძირითადი ტიპი: დარწმუნება, რომელიც გულისხმობს ადამიანებისადმი პატიოსან, პირდაპირ მიმართვას, მათ შეგნებასა და კრიტიკულ აზროვნებასთან აპელირებას, და მანიპულირება ანუ ადამიანთა პოლიტიკური ცნობიერებისა და ქცევის ფარული მართვა. არსებობს მანიპულირების ორი ძირითადი მოდელი - ფსიქოლოგიური და რაციონალური. ფსიქოლოგიური მოდელის მიხედვით, ადამიანი განიხილება უბრალო მექანიზმის სახით, რომელიც მოქმედებს შემდეგი პრინციპით: სტიმული - რეაქცია. რაციონალური მოდელი გულისხმობს ადამიანთა პირდაპირი მოტყუების გამოყენებას. ამ მოდელის ფარგლებში გამოიყოფა მანიპულირების შემდეგი ფორმები: ინფორმაციის რაოდენობის შემცირება, გასაიდუმლოება, კანდიდატის საზიარო ინფორმაციის განზრახ დამალვა, საინფორმაციო გადატვირთვა, ე.ი. ინფორმაციის იმდენად ჭარბი რაოდენობით მიწოდება, რომ რიგითმა მოქალაქემ დაკარგოს მისი ადეკვატური შეთვისებისა და სწორი გააზრების უნარი, შედეგად იგი ეყრდნობა ინფორმაციის „მზა“ ინტერპრეტაციას, რომელსაც მას აწვდიან; და ბოლოს, პროპაგანდის გამოყენება, რომელიც გულისხმობს ნაწილობრივ სწორი, მაგრამ ტენდენციური ინფორმაციის მიწოდებას.

პოლიტოლოგიაში ნეგატიური კამპანიის მაგალითებად მიჩნეულია: „*ოპონენტის დისკრედიტაცია, მათი არაკომპეტენტურ და არასანდო პიროვნებად მონათვლა („მათ არ შეასრულებს დაპირება“)* და *დაკავშირება შეცდომებით სავსე წარსულთან და მომავლის სათულო პერსპექტივასთან*“.<sup>1</sup> როგორც ი. ლანგი წერს, ნეგატიური კამპანია გავრცელებული სენია, რომელიც უფრო მეტად გვხვდება ორპარტიული მაჟორიტარული სისტემის ქვეყნებში. ასეთ კამპანიას იმიჯმეიკერები „ნეგატივიზმში გადავარდნას“ უწოდებენ. მისი რეგულაციის ზომების მიღება ძნელი აღმოჩნდა, რადგან „*ზედმეტად მკაცრ წესებს შეუძლია დაარღვიოს სიტყვის თავისუფლება, რაც არაკონსტიტუციური იქნებოდა; ძალიან ლიბერალური წესები კი არაეფექტურია*“.<sup>2</sup> უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევრები აფრთხილებენ პოლიტიკოსებს, ნეგატიური კამპანიის წარმოებისას სიფრთხილე გამოიჩინონ. მაგალითად მოჰყავთ 1994 წლის იტალიის არჩევნები. მემარცხენე ფილოსოფოსი, ლუჩო კოლეტი, 1994 წლის საარჩევნო კამპანიის დროს წერდა: „*არასოდეს აჰყვეთ ცდუნებას და ნუ შექმნით თქვენი მეტოქისგან ხალხის მტერს. ცილისწამება შეიძლება ბუმერანგით შემოგობრუნდეთ*.“ მართლაც

<sup>1</sup> ლანგი, ი., „მედია და არჩევნები“, „რიგთაიმი“, 2004, გვ. 68.

<sup>2</sup> ლანგი, ი., „მედია და არჩევნები“, „რიგთაიმი“, 2004, გვ. 69.

გამართლდა ფილოსოფოსის სიტყვები და იტალიის პრემიერ-მინისტრი გახდა ოპონენტების მიერ „ზნელ ღამედ“, „პატარა სამხრეთელ ამერიკელ დიქტატორად“ მონათლული ბერლუსკონი.

პოლიტიკური რეკლამის ფრანგი ოსტატი ჟაკ სეგელა წიგნში „ეროვნული თავისებურებანი ხმებზე ნადირობის პროცესში“, პოლიტიკოსებისათვის პირველ რჩევად ასახელებს: „ხმას აძლევენ ადამიანს და არა პარტიას.“<sup>3</sup> ამით ხაზგასმულია პიროვნების იმიჯის წამყვანი და უმთავრესი როლი არჩევნებში გამარჯვებისათვის. ელექტორატისთვის კანდიდატის მრავალმხრივი პოზიციონირება წარმატების უტყუარი გარანტია, რასაც განამტკიცებს ასევე ფრანგი სემიოლოგი რ. ბარტი, რომელიც „მითოლოგიების“ ერთ-ერთ თავში - „საარჩევნო ფოტოგენია“ სიღრმისეულად შეისწავლის წინასაარჩევნო ფოტოს და მისი აღქმის პროცესს რეციპიენტის კუთხითაც განიხილავს. ძალიან საინტერესო ანალიზს გვთავაზობს: თუკი კანდიდატი ცდილობს, ფოტოთი წარმოაჩინოს თავისი სოციალური მდგომარეობის მდგრადობა, როგორც რ. ბარტი უწოდებს, ისეთი „ბურჟუაზიული სიკეთეების“ ფლობა, როგორც არის რელიგიური და ოჯახური ნორმები, საკვირაო წირვა, ოჯახური ტრადიციები, ამომრჩეველი ამ იდეოლოგიაში ამოიცინობს საკუთარ თავს. მაყურებელი ფოტოზე გამოსახულ კანდიდატში ხედავს საკუთარ გაიდეალებულ სახეს. „სწორედ ასეთი ხაზგასმულობით განისაზღვრება ფოტოგენია: ამომრჩეველი ერთდროულად გამოსახულიცაა და გმირად ქცეულიც, მას თითქოს საკუთარი თავისთვის სთავაზობენ ხმის მიცემას, აქცევენ რა დეპუტატის მანდატს ნამდვილი ფსიქიკური გადატანის საშუალებად.“<sup>4</sup>

პოლიტიკაში „პოზიციონირება“ გულისხმობს უნიკალური პოლიტიკური შეთავაზებისა და იმიჯის სინთეზს. ჟაკ სეგელამ ფრანსუა მიტერანის საარჩევნო კამპანიის წარმოებისას ასეთი ხერხიც გამოიყენა: იმისათვის, რომ ელექტორატისთვის უკეთ გაეცნო კანდიდატი, მან მიმართა ცნობილ ადამიანებს, დაწყებული მწერალ ფრანსუაზა საგანით, დამთავრებული ვულკანოლოგ ჰარუნ თაზიევით, რომ უბრალო და დამაჯერებელი ტონით მოეთხროთ მიტერანზე. საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, რა თქმა უნდა, უდიდეს როლს თამაშობს მისთვის გავლენიანი პიროვნების შეხედულება.<sup>5</sup>

## 2. სემიოტიკა

კონოტაციური მნიშვნელობების აღმოჩენისას დავეყრდენით ფრანგი სემიოლოგის რ. ბარტისეულ მითოლოგიურ სისტემას, რომელიც თავად შვეიცარიელი სტრუქტურალისტის, ფერდინანდ დე სოსიურის ლინგვისტურ მოდელს ემყარება. ლინგვისტურ-სემიოლოგიურ სისტემაში აღმნიშვნელისა და აღსანიშნის ერთობლიობა ქმნის ნიშანს, რომლითაც იწყება ახალი მეორე სემიოლოგიური სისტემა - მითი. მითის თვალსაზრისით, რ. ბარტი აღმნიშვნელს უწოდებს ფორმას, რადგან ის იგივეა, რაც, ლინგვისტური თვალსაზრისით აზრი, რომელიც არის სახის და ცნების ერთიანი ასოციაციის შედეგი. ბარტი აღსანიშნს ცნებას უწოდებს, ხოლო ნიშანს - მნიშვნელობას. უნდა აღინიშნოს, რომ ფერდინანდ დე სოსიურის მიხედვით, მნიშვნელობა, ანუ ლინგვისტური სისტემის ბოლო წევრი, ნიშანი არის შერჩევისა და შერწყმის ურთიერთქმედების შედეგი. ხოლო ნიშნებით გადმოცემული სამყაროს გააზრება

<sup>3</sup> სეგელა, ჟ., რედ. ვაჟა შურითიძე. „ხმებზე ნადირობის ნაციონალური თავისებურებანი: როგორ იმარჯვებენ არჩევნებში, როგორ ქმნიან პრეზიდენტებს, გამარჯვებისათვის საჭირო 8 მცნება“, თბილისი: ინოვაცია, 2010.

<sup>4</sup> ბარტი, რ., „მითოლოგიები“, აგორა, 2011, გვ 152.

<sup>5</sup> იხ. სქოლიო 3.

აუცილებლად დამოკიდებულია კულტურაზე, რომელშიც ვცხოვრობთ. სამიზნე აუდიტორიის კულტურული რეპერტუარის გათვალისწინებით იქმნება სარეკლამო რგოლები.

ფრანგ სემიოლოგ რ. ბარტსვე ეკუთვნის რეკლამის, როგორც იმპლიციტური ინფორმაციის შემცველი ტექსტის, შესწავლის პირველი მცდელობა. მან ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 60-იან წლებში „სახის რიტორიკაში“ შემოგვთავაზა ბინალური სემიოტიკური მოდელი - იტალიური მაკარონი „პანძანის“ რეკლამის ანალიზის სახით. წითელ ფონზე სურსათის თეთრი ფერის ღია ბადურიდან მოჩანდა: ორი კოლოფი მაკარონი, პომიდვრები, ხახვი, წიწაკები და სხვა ყვითელ-მწვანე ფერებში გამოსახული პროდუქტები. მთავარი გზავნილი მკაფიოდ და ნათლად ჩანდა მაკარონის ეტიკეტებსა და გამოსახულებების ქვემოთ გაკეთებულ წარწერაზე. მეორე ინფორმაცია, რაც ბადურაში პროდუქტების განლაგებით იყო გადმოცემული, მიუთითებდა „პანძანის“ მიერ „ბაზრის დალაშქვრაზე“, ხოლო მესამე ინფორმაცია სწორედ ფერების საშუალებით იყო გამოხატული. გზავნილის მიმღებს იტალიის დროშის ფერები პროდუქტის „იტალიურობაში“ არწმუნებდა.<sup>6</sup>

ვიზუალური კოდის შესწავლისას მივყევით კრისტიან მეცის მოსაზრებას, რომ ვიზუალური სახე არ ქმნის თავის თავში ჩაკეტილ და ავტონომიურ იმპერიას, ერთგვარ დახურულ სამყაროს. პირიქით, მის მნიშვნელობას სწორედ გარშემომყოფი ელემენტები განსაზღვრავს, ამიტომაც არავერბალური კოდი მუდმივად იქნება სიტყვათა თამაშისა და საერთოდ, ყველა იმ სიახლის მსხვერპლი, რაც მოცემულ სოციუმში ქმნის ნიშნის მნიშვნელობას.<sup>7</sup> კიდევ ერთი მტკიცებულება იმისა, რომ ერთი და იგივე ნიშანი, ვერბალური თუ არავერბალური, სხვადასხვა დროსა და სივრცეში სხვადასხვანაირად იქნება გაგებული და აღქმული, ამიტომ სატელევიზიო პოლიტიკური რეკლამის შესწავლისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სოციალური და კულტურული კონტექსტი.

ესთეტიკური, კონოტაციური, კულტურული და კომუნიკაციური ღირებულებების გათვალისწინებით, გრემასი, მეცის მსგავსად, გვთავაზობს გამოსახულების შემდეგ განმარტებას: „ვიზუალურ სემიოტიკაში, გამოსახულება მიჩნეულია, როგორც თვითკმარი გამომხატველობითი ერთეული, როგორც მნიშვნელობის მთლიანობა, რომელიც ექვემდებარება ანალიზს. ამგვარად, სახის სემიოტიკა მიემართება რა კომუნიკაციის თეორიას, ზოგადად გამოსახულებას განიხილავს, როგორც იკონური ნიშნებით შექმნილ შეტყობინებას“.<sup>8</sup> აღნიშნულ განმარტებაში საგულისხმოა, რომ სემიოტიკის თვალსაზრისით, გამოსახულება არის მრავალი მნიშვნელობის მატარებელი ელემენტი, როგორც დენოტაციური, ასევე კონოტაციური მნიშვნელობებით დატვირთული შეტყობინება. გამოსახულების დენოტაციურ დონეზე აღქმისათვის საკმარისია ნიშანთა საერთო მნიშვნელობების ცოდნა, მაგალითად, გეომეტრიული ფიგურების, ფერების, ცხოველების, ხილ-ბოსტნეულის და სხვა. ხოლო გამოსახულების კონოტაციურ დონეზე შესწავლა საჭიროებს იმ კულტურის ღირებულებების ცოდნას, რომელშიც ის შეიქმნა.

<sup>6</sup> Barthes, R., “Rhetorique de l’image”. Communications, 1964.

<sup>7</sup> Metz, C., “Au-dela de l’analogie, l’image”. Communications, 1970.

<sup>8</sup> Greimas, A.J., et Courtès, J., “Semiotique, dictionnaire raisonne de la theoris du langages”, Paris, Hachette. 1979, გვ.181.

### 3. მედია ეფექტების თეორიები

რადგან ჩვენი მიზანია, ღია პოლიტიკური რეკლამების სიმბოლური გზავნილების დეკოდირება სემიოტიკურ ანალიზზე დაყრდნობით და ამგვარად იმ ფრეიმების აღმოჩენა, რითაც იქმნება კონოტაციური მნიშვნელობები, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, მედიაეფექტების იმ ორ თეორიაზე გაგვემახვილებინა ყურადღება, რომელიც რეკლამის შემთხვევაშიც მუშაობს. ეს გახლავთ „დღის წესრიგის“ (აჯენდა-სეთინგის) და „ფრეიმინგის“ თეორიები.

„დღის წესრიგის“ თეორია, შეისწავლის კავშირს მედიის მიერ საკითხის გაშუქებასა და ინდივიდების მიერ გაშუქებული საკითხისთვის მნიშვნელობის მინიჭებას შორის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მედია კარნახობს საზოგადოებას, თუ რომელ საკითხზე უნდა იფიქროს. პოლიტიკური რეკლამის შემქმნელებიც ამომრჩეველს მიუთითებენ, თუ რომელ საკითხებზე უნდა იფიქრონ კანდიდატთან მიმართებაში, ხოლო ფრეიმების გამოყენებით, მაყურებელს კარნახობენ, თუ როგორ უნდა აღიქვან შეტყობინება.

მაკობსი ფრეიმინგს აჯენდა-სეთინგის ანუ „დღის წესრიგის“ მეორე დონესაც უწოდებს, რომელიც რეციპიენტს მიუთითებს, თუ როგორ მიიღოს გზავნილი. თუმცა, ვივერი, რომელიც ფრეიმინგს აძლევს მსჯელობის სტრუქტურის განზომილებას, რომელშიც ჩართულია შეფასება და მიზეზობრივი კავშირები, აღნიშნავს, რომ ფრეიმინგი ნაკლებად არის თავსებადი აჯენდა-სეთინგთან. ეს ინტერპრეტაციული განზომილება გვაბრუნებს კვლევის მეორე ველში, რომელიც გადაბმულია ფრეიმინგის კვლევასთან, ეს გახლავთ პრაიმინგი. გზავნილის მიღების დროს ფაქტობრივად ფრეიმინგის სტრატეგიებს შეუძლიათ გაააქტიურონ ინტერპრეტირების კოგნიტური სქემები. სწორედ ამ სქემებს ეყრდნობა და ეფუძნება შეტყობინება. ეს დროებითი აქტივაცია და ეს განსაკუთრებული მოსაზრებების გაზრდილი ხელმისაწვდომობა არის ზუსტად ის, რაც განსაზღვრულია ტერმინის - პრაიმინგის ქვეშ.

აიენგარი, მედია ფრეიმინგის კიდევ ერთი ცნობილი თეორეტიკოსი, განასხვავებს ფრეიმინგის ორ სახეობას, როგორც თვითონ უწოდებს - „თემატურსა“ და „ეპიზოდურს“. „ეპიზოდური“ ფრეიმინგი აქცენტს აკეთებს განსაკუთრებულ მოვლენებსა და ფაქტებზე, მაშინ როცა „თემატური“ ფრეიმინგი პოლიტიკურ თემებსა და მოვლენებს აქცევს ზოგად კონტექსტში.<sup>9</sup> ფრეიმინგის ამ ორ სახეობას შორის ძირეული სხვაობა ის გახლავთ, რომ ეპიზოდური ფრეიმინგი ხატავს კონკრეტულ მოვლენებს, რომლებიც თავის მხრივ თემის ილუსტრირებას, გაფორმებას ახდენენ მაშინ, როცა თემატური ფრეიმინგი სვამს აბსტრაქტულ საკითხებს. პოლიტიკური რეკლამა, რა თქმა უნდა, ეპიზოდური ფრეიმინგის მიხედვით იქმნება.

<sup>9</sup> Iyengar, S., „Is anyone responsible? How television frames political issues.“ The University of Chicago Press, 1991, გვ.2.

#### 4. სატელევიზიო და პოლიტიკური რეკლამების იმპლიციტური მნიშვნელობები

ქართული სატელევიზიო პოლიტიკური რეკლამების კვლევისას შევეცადეთ, სემიოტიკურ ანალიზზე დაყრდნობით გამოგვეშკარავებინა ის კონოტაციური მნიშვნელობები, რომელსაც ვიზუალური კოდი ვერბალურ გზავნილთან ურთიერთობის საფუძველზე იძენდა და ამგვარად ქმნიდა ერთგვარ ფრეიმებს, რომლითაც მაყურებელს უკარნახებდა, თუ როგორ უნდა მიეღო შეტყობინება, ასევე, „დღის წესრიგის“ თეორიაზე დაყრდნობით დავაკვირდით, რა საკითხები იყო გაჟღერებული სარეკლამო რგოლებში, რომლებიც სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით შევისწავლეთ.

##### 4.1. ნეგატიური სარეკლამო რგოლები

ნეგატიური კამპანიის კლასიკური მაგალითი იყო 2014 წელს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ გამოყენებული რეკლამა - „ოცნება არ მუშაობს“. ფორმატის მიხედვით აღნიშნული რეკლამის სამი ტიპი იკვეთება. ერთში „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის ბ. ივანიშვილის წინასაარჩევნო (2012 წ) მიმართვები, ან „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებებია გამოყენებული, რომელსაც დართული აქვს შესრულებული/შეუსრულებელი დაპირებების პროცენტული მაჩვენებლების გრაფიკა; მეორეში აქცენტირებულია შეუსრულებელი დაპირების კონკრეტული ციფრი, ხოლო მესამე აპელირებს „ოცნების მთავრობის“ წარმომადგენლების ხელფასებისა და პენსიის, საარსებო მინიმუმის, სოციალური დახმარების გამომხატველი ციფრების შეპირისპირებაზე.

იმისათვის, რომ გამოგვეკვეთა ის ძირითადი ხერხები, რომელთა საშუალებითაც შექმნილია აღნიშნული პოლიტიკური რეკლამები, სტრუქტურულად შევისწავლეთ სამივე სახის რეკლამის თითო მაგალითი და შექმნილ მოდელში ჩავსვით მსგავსი ტიპის რეკლამები, რათა დავრწმუნებულიყავით ხელწერის იგივეობაში.

განვიხილოთ პირველი ტიპის რეკლამები, რომელშიც გამოყენებულია მხოლოდ სამი კადრი და კადრების ხანგრძლივობის პროცენტული ურთიერთმიმართება იდენტურია, (მაგ. ყველაზე ხანგრძლივი პირველი კადრია, შემდეგ მესამე და ყველაზე მცირე დრო მეორე კადრს ეთმობა). ამ ტიპის რეკლამების ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი სპეციალური ეფექტები, რომელზეც აუცილებლად უნდა შევჩერდეთ, რადგან ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების მცდელობაში. ესენია: გრაფიკა, ფერი, შრიფტი და ფონტი. რაკი რეკლამა გრაფიკით არის აქცენტირებული (პირველ კადრში თუ სუბტიტრების ადგილს იკავებს, ბოლო კადრი მთლიანად მას ეთმობა), უპრიანი იქნება, კვლევა დავიწყოთ სწორედ გრაფიკის შესწავლით, რაც, რა თქმა უნდა, მოიცავს ფერების, შრიფტებისა და ფონტების ანალიზს.

მომრავ კადრზე დადებული სტატიკური გრაფიკა იწყება თარიღით, რომელიც აღნიშნავს ბ. ივანიშვილის მიმართვის, ან წინასაარჩევნო დაპირების დროს (მაგ., 18.07.2012), თარიღის მითითებას ორმაგი კონტექსტური დატვირთვა აქვს: ერთი მხრივ, ინფორმაციის სანდოობას უზრუნველყოფს, მეორე მხრივ კი, გზავნილის მიმღებს იმპლიციტურად აწვდის ინფორმაციას

იმის შესახებ, რომ საკმარისი დრო გავიდა დაპირების შესრულებისთვის; შემდეგ მოდის პროცენტული მაჩვენებლები, რომლებიც გადმოცემულია ხუთი ფერით: მწვანე, ყვითელი, წითელი, თეთრი, ეს უკანასკნელი ბოლო კადრში ჩანაცვლებულია ლურჯით.

იმისათვის, რომ შეგვესწავლა ამ ფერთა ზემოქმედება ადამიანის ფსიქიკაზე, ვიხელომდვანელეთ ვასილ კანდინსკის ნაშრომით „სულიერების შესახებ ხელოვნებაში“. ავტორის მიხედვით, ფერს გააჩნია ფსიქიკური ძალა, რომელიც სულიერ ვიბრაციებს იწვევს.

ამის გარდა, ვფიქრობთ, მხედველობაში აუცილებლად უნდა მივიღოთ აღნიშნული ფერების ლოკალური კოდები, რათა ამოვიცნოთ, თუ რა მიზანი ამოძრავებდა ვიდეო რგოლის შემქმნელს ფერების შერჩევას. წითელი და თეთრი ფერის კომბინაცია ქართველი ამომრჩევლისთვის ასოცირდება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიასთან, ხოლო ლურჯი და ყვითელი ფერის კომბინაცია - „ქართულ ოცნებასთან“;

„არ შესრულდა“ გრაფიკაში წითელი ფერით არის აღნიშნული. ვასილ კანდინსკის აზრით წითელი ამაღელვებლად მოქმედებს და ასოციაციების მიხედვით სხვადასხვა სულიერ ვიბრაციებს იწვევს. ამას ემატება ლოკალური კოდი, რომელიც ქართველი ამომრჩევლისთვის „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობასთან“ ასოცირდება. ამგვარად, წითელი ფერის სიმბოლიკას გავყვართ რეპლიკის - „არ შესრულდა“ - იმპლიციტურად გადმოცემულ ინფორმაციაზე, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, მიმღების აღელვება/შემფოთებას, ხოლო მეორე მხრივ, ქვეცნობიერად გვაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ შეუსრულებელი დაპირებების რაოდენობა აღმოჩენილია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ, რომლის ქვეტექსტად მოიაზრება შემდეგი: ზოგადად ხარვეზებს ასწორებს ის, ვინც მათ აღმოაჩენს. ასე, რომ ამ რეპლიკის ქვეშ იმალება დაპირება, რომ „ქართული ოცნების“ შეუსრულებელ დაპირებებს ხორცს შეასხამს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

„შესრულდა“, მწვანე ფერით არის აღნიშნული. ვ. კანდინსკის მიხედვით, მწვანე ყველაზე მშვიდი ფერია, რომელიც არ მოძრაობს და შესაბამისად, „გრძნობის არანაირი თანხმობანება“ არ აქვს. ლოკალური კოდების მიხედვითაც მას არანაირი სიმბოლოური დატვირთვა არ აქვს. ამჯერად ის არანაირი დამატებითი ინფორმაციის მატარებელი არ არის. თუმცა, ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, ეს რეპლიკა ლურჯად უნდა ყოფილიყო აღნიშნული, რადგან სწორედ აღნიშნული ფერის ლოკალური კოდი „ქართული ოცნება“, რომელმაც შეასრულა დაპირებების მითითებული რაოდენობა. აღმოჩნდა, რომ მწვანეს, რომელიც თითქოსდა ერთი შეხედვით დაცლილი იყო იმპლიციტური ინფორმაციისგან, აქვს ფუნქცია: ეს არის რეალობის დაფარვა.

„პროცესშია“ აღნიშნულია ყვითელი ფერით. ვ. კანდინსკის მიხედვით, ყვითელი, ძალადობრივად, გამაღიზიანებლად და მომაბეზრებლად მოქმედებს ადამიანის სულზე.


„სულ შესრულდა“, პირველ კადრში თეთრად არის აღნიშნული, ბოლო კადრში კი - ლურჯად. როგორ ავხსნათ ეს ცვლილება? პირველ რიგში განვიხილოთ თვითონ ფერების ზემოქმედების ასპექტები. ვ.კანდინსკის აზრით, თეთრი ჩვენს ფსიქიკაზე დუმილის მსგავსად მოქმედებს, რომელიც „მატერიალურად რომ გამოვსახოთ, გადაულახავ უსასრულობაში მიმავალ გალავანს ჰგავს“. ასე რომ პირველ კადრში შერჩეული ფერის მიერ გადმოცემული დამატებითი ინფორმაცია, რომელსაც მაყურებელი ქვეცნობიერად აღიქვამს, უსასრულო დაპირებებია, რომლებიც გადაულახავი დარჩა. რაც შეეხება ლურჯს, ვ. კანდინსკის მიხედვით, ტიპური ზეციური ფერია, რომელიც სიმშვიდის ელემენტს წარმოშობს, ადამიანში აღვიძებს სწრაფვას ამაღლებულისკენ, უსასრულობისკენ. იმისათვის, რომ ავხსნათ ფერთა მოცემული

ურთიერთჩანაცვლება, ლურჯის შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ ის ლოკალური კოდი, რომლითაც ეს ფერი „ქართულ ოცნებასთან“ ასოცირდება. ბოლო კადრის იმპლიციტური ინფორმაციაც სახეზეა, „სულ დაპირება“-ს მოსახლეობას აძლევდა „ქართული ოცნება“.

ტექსტებში სხვადასხვა შრიფტისა და ფონტფის გამოყენება, შერჩეულ ინფორმაციაზე ადრესატის ყურადღების გამაზვილებლისთვის არის გამიზნული, რაც მიმდებს ხელს უშლის თავად გადაარჩინოს ინფორმაცია. ამის საუკეთესო მაგალითია ბოლო კადრში გამოყენებული მოციმციმე წარწერა - „არ შესრულდა“ - გამმაფრებული წითელი ფერით, რომელიც მთლიანად ფარავს ამ გვერდზე მოცემულ ინფორმაციას.

კადრზე ინფორმაციის გადანაწილების სტილი გარდა კომპოზიციური დანიშნულებისა, სიმბოლური დატვირთვის თვალსაზრისითაც შეირჩევა. ამჯერად ინფორმაციის გადანაწილების ვიზუალური მხარე სიმბოლური დატვირთვის მიხედვით განვიხილოთ. პირველ კადრში გრაფიკა სუბტიტრების ადგილს იკავებს. საინფორმაციო გამოშვებებში სუბტიტრების დანიშნულება ინფორმატორის იდენტიფიცირებაა. აღნიშნულ ვიდეო რგოლებში „ქართული ოცნების“ ლიდერის ბ. ივანიშვილის იდენტიფიცირებას ახდენენ სწორედ გრაფიკულად გამოხატული შესრულებული და შეუსრულებელი დაპირებების პროცენტული მაჩვენებლებით. პირველ ორ კადრში, მარჯვენა ქვედა კუთხეში (რომელიც წერილობით დოკუმენტში შემდგენის ხელმოწერისათვის არის გათვლილი) ძალიან პატარა თეთრი ასოებით წერია: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (რომელიც საერთოდ არ იკითხება). ეს ინფორმაცია, რა თქმა უნდა, მიუთითებს ვიდეო რგოლის დამკვეთზე. ხოლო რეკლამაში განთავსებული ინფორმაციის წყაროდ წითელი ფერით (პირველ კადრში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავზე, ხოლო ბოლო კადრში პირველ ხაზზე) აღნიშნულია საიტის მისამართი dreammeter.ge (არასამთავრობო ორგანიზაციამ „სამოქალაქო ინიციატივა-სამშობლოსათვის (pro-patria)“ შექმნა ინტერნეტ გვერდი dreammeter.ge, სადაც თავმოყრილია ბიძინა ივანიშვილისა და ქართული ოცნების მიერ წინასაარჩევნოდ გაკეთებული ყველა დაპირება. ეს საიტი აღნიშნული დაპირებების მონიტორინგს აწარმოებს).

კიდევ ერთი სპეციალური ეფექტი, რომელზეც გვსურს ყურადღების შეჩერება, მეორე კადრშია გამოყენებული: მოძრავი ფერადი კადრის ბოლო ნაწილის დაპაუზება და შავ-თეთრ კადრად (რომელიც 1 წამი გრძელდება) გადაქცევა.



გარდა იმისა, რომ ეს ეფექტი მაყურებლის ყურადღების კონცენტრაციისთვის არის გამიზნული, მას აქვს გამაფრთხილებელი ნიშანი გაძლიერებული წითელ ჩარჩოში ჩასმული წითელი ფერის წარწერის „არ შესრულდა“-ს დადებით („ზოგიერთი ფერი ზოგიერთი ფორმის მიერ მძაფრდება და სხვა ფორმის გამო კარგავს ინტენსივობას...მძაფრი ფერები წვეტიანი ფორმებით უფრო ამჟღავნებენ თავის თვისებებს“)<sup>10</sup> და საშიშროებასთან მიახლოების ასოციაციას იწვევს.

<sup>10</sup> კანდინსკი, ვ., „სულიერების შესახებ ხელოვნებაში“, ილიაუნის გამომცემლობა, 2013, გვ. 84.

ვიზუალური ეფექტებიდან გადავინაცვლოთ მეტყველებაზე. ორივე ტიპის რეკლამაში, გამოყენებულია ბრძანებითი ფორმები. რ. იაკობსონის მიხედვით, ბრძანებითი ფორმით გამოხატება მეტყველების კონატიური ფუნქცია. ეს არის ადრესატისადმი მიმართული ფუნქცია. იგი გამოიყენება ადრესანტის მიერ, რათა ადრესატმა საკუთარ თავზე მოახდინოს მოქმედება. ამ ფუნქციას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს რეკლამაში. ვნახოთ, როგორ მოქმედებს ჩვენს მიერ განხილულ რეკლამებში გამოყენებული ბრძანებითი ფორმები გზავნილის მიმღებზე. „არ შესრულდა“, „ოცნება არ მუშაობს“ - წარმოთქმული ბრძანებითი ტონით, რეციპიენტის გონებაში კონტექსტურად უკავშირდება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სლოგანს „ავამუშაოთ თბილისი“. იმპლიციტურად ამ რეკლიკაში ჩადებულია შემდეგი იდეა: ის, რაც ვერ აამუშავა „ქართულმა ოცნებამ“, ავამუშავებთ ჩვენ - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ამომრჩეველი.

მეორე ტიპის რეკლამებში, ზემოაღნიშნულ ორ ფრაზას ემატება მესამეც, მაგ., „იმეზნება 100 ქარხანა“. კომუნიკაციის იაკობსონისეული მოდელის მიხედვით, ამ შეტყობინების გაგებაში მეტყველების რეფერენციული ფუნქცია მონაწილეობს. ამ შემთხვევაში რეფერენტი ბ. ივანიშვილის 2012 წლის წინასაარჩევნო დაპირებაა - შეიქმნება 100 ახალი ქარხანა.

მეორე ტიპის რეკლამაში ბრძანებითი ტონი გაძლიერებულია მუსიკალური სპეცეფექტით. ელექტრონულ მუსიკას დართული აქვს ელექტრო შოკის სპეცეფექტი, რაც გზავნილის მიმღებში იწვევს შიშს. მათი დანიშნულება ადრესატის ყურადღების პერმანენტული კონცენტრაცია და საშიშროებასთან მიახლოების შესახებ დამაშინებელი გაფრთხილებაა.

ამ ტიპის რეკლამებში გამოყენებულია მხოლოდ სამი ფერი: შავი, თეთრი, წითელი. განვიხილოთ ფერებისა და ფორმების ურთიერთმიმართება, კერძოდ, „ქართული ოცნების“ დროშის ფერის - ლურჯის - შეცვლა შავით. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ვ. კანდინსკის მიხედვით, ლურჯი, ტიპური ზეციური ფერია, რომელიც, ადამიანში აღვიძებს სწრაფვას ამაღლებულისკენ, ხოლო შავი არის „რღაც ჩამქრალი, როგორც ჩამწვარი კოცონი, რღაც უმოძრაო როგორც გვამი... ის ჰგავს სხეულის დუმილს სიცოცხლის დასრულების შემდეგ“. ფერების ასეთი მანიპულაცია გზავნილის მიმღებს იმპლიციტურად აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დაკარგა ამაღლებისაკენ სწრაფვა და ჩაქრა, გახდა „უმოდრაო, როგორც გვამი“.

„ქართული ოცნების“ დროშის იგივე სახეცვლილებაა გამოყენებული მესამე ტიპის რეკლამებში, რომლებშიც აპელირება ციფრებზე ხდება. ერთის მხრივ, გვაწვდიან ინფორმაციას „ოცნების მთავრობის“ წარმომადგენელთა ხელფასებზე, მეორეს მხრივ, კი - პენსიაზე, ბენზინის ფასზე, საარსებო მინიმუმსა და სოციალურ დახმარებაზე. გზავნილის მიმღებმა ციფრები ერთმანეთს უნდა შეადაროს, რათა კოლოსალურმა სხვაობამ გააღიზიანოს და ნეგატიურად განაწყოს „ოცნების მთავრობისადმი“.

განხილული რეკლამების დეტალური ანალიზი ცხადყოფს, რომ ისინი ნეგატიური კამპანიის ტიპური მაგალითებია, რომლებიც „დღის წესრიგის“ თეორიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამომრჩეველს პირდაპირ კარნახობენ, თუ რა საკითხებზე უნდა დაფიქრდეს გადაწყვეტილების მიღებამდე.

ნეგატიური სარეკლამო რგოლების სტრუქტურა თითქმის იდენტურია. მაგ., კლინტონის ნეგატიური ხასიათის რეკლამები აგებული იყო დოკუმენტურ საფუძველზე: აღებული იყო ციტატები ბუშის წინა დაპირებებიდან, რომლებსაც მოსდევდა სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ამას არ ადასტურებდა. მსგავსი ტაქტიკა 2008 წელს ოპოზიციამ პრეზიდენტ



საკაკაშვილის წინააღმდეგაც გამოიყენა უშედეგოდ; 2014 წელს კი პრეზიდენტ სააკაშვილის პარტიამ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ, თუმცა ვერც მაშინ გაამართლა.

#### 4.2. მანიპულირების ფსიქოლოგიური მოდელი

როგორც ზემოთ უკვე განვიხილეთ, მანიპულირების ფსიქოლოგიური მოდელის მიხედვით, ადამიანი განიხილება უბრალო მექანიზმის სახით, რომელიც მოქმედებს შემდეგი პრინციპით: *სტიმული - რეაქცია*. 2021 წლის მუნიციპალურ ორგანოთა არჩევნებისთვის, თბილისის მერობის ერთ-ერთმა კანდიდატმა, კახა კალაძემ, სწორედ ამ მოდელს მიმართა და ამავე დროს, თითქოს, უპასუხა კიდევ რვა წლის წინ ოპონენტების სარეკლამო რგოლში გამოყენებულ „არ შესრულდა“-ს „დაპირება შესრულებულია“-თი.

აღნიშნული რეკლამების არქიტექტონიკა იდენტურია. ეკრანზე, ცისფერი ფერის სხვადასხვა ტონზე, კანდიდატის ნომერი, სახელი და გვარი და პარტიის სახელწოდება თეთრად ჩნდება, ყვითლად არის შემოხაზული ნომერი და ასევე ყვითელ ფონზე ლურჯად წერია კანდიდატის დევიზი: „მეტი სიცოცხლე ყველა უბანში“. ფერთა გამა დამამშვიდებლად ზემოქმედებს რეციპიენტის ფსიქიკაზე, რომელსაც კიდევ უფრო მყარ საფუძველს უქმნის სიტყვა - სიცოცხლე. ყვითელი კი, როგორც გამაფრთხილებელი ნიშანი მაყურებელს ამზადებს შემდეგი ინფორმაციის მისაღებად. გვერდიგვერდ კადრში მაყურებელი ხედავს კანდიდატს და 2018 წელს იმ ტერიტორიის მდგომარეობას, რომლის რეაბილიტაციაზეც საუბრობს კახა კალაძე. მომდევნო კადრში კვლავ ჩნდება ცისფერი ფერის ტონებზე კანდიდატის ნომერი ყვითლად შემოხაზული, რასაც მოჰყვება თეთრ ფონზე წითელ ჩარჩოში ჩასმული „დაპირება შესრულებულია“ და შემდეგ მაყურებელი ეკრანზე ხედავს მტკიცებულებას, თუ როგორ გამოიყურება 2021 წელს აღნიშნული ტერიტორია. ამ უხმო კადრებს რეკლამის ქრონომეტრაჟის ნახევარი უჭირავს. ეს დრო გამოიხსნის იმისათვის, რომ ამომრჩეველი დაფიქრდეს და მიცემულ სტიმულს ადეკვატური რეაქციით უპასუხოს. ამ რეკლამებში ვიზუალური კომპონენტი გადამწყვეტ როლს ასრულებს. ერთი შეხედვით, უკომენტაროდ მიწოდებული ვიდეო მასალა თავისუფლების განცდას იწვევს ამომრჩეველში, თითქოს მას აძლევდნენ საშუალებას, თავად გააანალიზოს ინფორმაცია, არადა აქ ერთვება სწორედ მედიაეფექტების თეორიიდან ერთ-ერთი - ფრეიმინგი. ფრეიმები შექმნილია ვიზუალური კომპონენტით გადმოცემული ინფორმაციით, კერძოდ, ძველი და ახალი მდგომარეობა. ამ ფრეიმების გამოყენებით, მაყურებელს კარნახობენ, როგორ უნდა აღიქვას შეტყობინება, რომ მან ძველს, განახლებული ვარიანტი უნდა შეადაროს და კანდიდატისთვის ხელსაყრელი დასკვნა გამოიტანოს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა თუ კანდიდატის ღია პოლიტიკური რეკლამები ძირითადად ამ მოდელზეა აგებული, ამიტომ მათ დეტალურ განხილვას აღარ შევუდგებით.

#### 4.3. კანდიდატთა მრავალმხრივ პოზიციონირება

სიახლე იყო რეკლამა, რომელიც 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს „ქართულმა ოცნებამ“ გამოიყენა თავისი კანდიდატის, თბილისის მოქმედი მერის დ. ნარმანიას რეკლამაში, რომელშიც მას ახასიათებდნენ ქართული საზოგადოების ცნობილი და ღვაწლმოსილი ადამიანები. ეს რეკლამა პოზიციონირების კარგი მაგალითია, რადგან მასში შერწყმულია კანდიდატის იმიჯის შექმნა და პოლიტიკური შეთავაზება.

რეკლამა 8 კადრისგან შედგება, აქედან 7 საზოგადო მოღვაწეებს ეთმობა, ხოლო ბოლო კადრი - კანდიდატს.



პირველი შვიდი კადრის ფონად გამოყენებულია თბილისის ძველი ფოტოები, დომინირებს თბილი ფერები, რომლებიც თვალს არ ჭრის მაყურებელს და დადებითად განაწყოებს. საინტერესოდ არის გამოყენებული ინფორმაციის გადაცემის არავერბალური და ვერბალური საშუალებების თანმიმდევრობა. ვერბალურ ნაწილში თავდაპირველად აქცენტირებულია კანდიდატის დ. ნარბეგიას პიროვნული თვისებები. რეკლამა იწყება მსახიობი კახი კავსაძის მიმართებით, რომელშიც აქცენტირებულია „სუფთა“ არა მარტო ხმის ტონის აწევით, არამედ - შესტითაც. მორაგბე ირაკლი აბესაძე ხაზს უსვამს მის „ერთგულებას“ და „გუნდურად თამაშის“ უნარს. პიროვნული თვისებებიდან გადასვლა ხდება კანდიდატის საარჩევნო პროგრამის ძირითად გზავნილებზე. „თბილისის განვითარება“ ორჯერ გაიჟღერებს. მე-3 კადრში მომდერალი ნ. მეტონიძე გააჟღერებს, ხოლო მე-6 კადრში - მხატვარი გ. გუგუშვილი. აქ კადრიც დინამიკურია, რაც სწრაფი განვითარების კონტექსტად არის გამიზნული. მე-3 კადრიდან ფონიც სიმბოლურ დატვირთვას იძენს. 10 წამი (პირველი ორი კადრის ხანგრძლივობა) საკმარისია იმისათვის, რომ მაყურებელმა აღიქვას ფონი და მისი სიმბოლური დატვირთვა აღმოაჩინოს. თბილისის ძველი ფოტოებით იმპლიციტურად ხდება დაპირისპირება „ნაციონალური მოძრაობის“ დედაქალაქის განვითარების გეგმასთან, რაც აისახა ძველი იერსახის დაკარგვასა და ქალაქის გადაჭრელებში.

ზემოაღნიშნულ კადრებს შორის ჩასმულია თბილისის ისტორიული მემკვიდრეობის გაფრთხილების, რომელზეც ისტორიკოსი გ. ოთხმეზური საუბრობს, და თბილისში ეკოლოგიურად სუფთა და ჯანსაღი გარემოს შექმნის გეგმა. ამ მესიჯს ექიმი თ. მიქელაძე გააჟღერებს. საზოგადო მოღვაწეებიდან კანდიდატზე გადასასვლელ რგოლად გამოყენებულია მხატვარ ქ. მატაბელის მიერ გახმოვანებული გზავნილი, რომელიც თბილისის რეგიონის კულტურულ ცენტრად გადაქცევას შეხება. ბოლო კადრში კანდიდატს ვხედავთ ხალხით გარშემორტყემულს. მისი შესტის - მარჯვენა ხელით მიმართვა - და ლოზუნგის „ჩვენს ქალაქს ზრუნვა სჭირდება“, ამომრჩეველთან საუბრისას ღიმილისა და გზავნილის „ერთად ვიზრუნოთ თბილისზე“ თანხვედრა საერთო ბედნიერების განცდას იწვევს ადრესატში. რეკლამაში ორჯერ არის გამოყენებული სიტყვა „სუფთა“- მართალია სხვადასხვა კონტექსტში, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მაყურებელი მხოლოდ პირველი კონტექსტის მიხედვით იმახსოვრებს ამ სიტყვას, რადგან როგორც ცნობილია მეხსიერება იწყება შთაბეჭდილების მიღებით, ფსიქიკურ სისტემაში ინფორმაციის შემოსვლით. ამიტომ მეორედ, მე-5 კადრში ნახსენები - „სუფთა“, ადრესატის „გრძელვადიან მეხსიერებაში“, პირველად ნახსენებ კონტექსტში - „სუფთა ადამიანია“- დარჩება, რადგან ეს სიტყვა, აქცენტირების საშუალებით, ადრესატზე შთაბეჭდილებას აქ ახდენს.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვების - „განვითარება, სუფთა“ - გამეორება რეკლამის აგებისას ისე არის დაგეგმილი, რომ ინტერვალი გამეორებებს შორის ერთი და იგივეა (3



კადრში ერთხელ მეორდება, 12-16 წამი). რომ არა ეს ინტერვალი ამ სიტყვების ადრესატის „გრძელვადიან მეხსიერებაში“ ჩაბეჭდვა ვერ მოხდებოდა. მეხსიერების ფსიქოლოგიის თანახმად, ხანმოკლე მეხსიერებაში შემონახვის დრო 20–30 წამით განისაზღვრება, თუ არ ხდება მისი განმეორება. კოდირების თვალსაზრისით მეხსიერების ამ ფორმაში ინფორმაცია სმენითი მოდალობის ანუ აკუსტიკურ ფორმაშია მოცემული. ხანმოკლე მეხსიერების ფუნქციაა ხანგრძლივ მეხსიერებაში შესატანი მასალის ფიქსირება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთმანეთის მიყოლებით გამეორებული სიტყვები, გზავნილის მიმღებში აზრის ხელოვნურად თავსმოხვევის შეგრძნებას იწვევს, რაც ნეგატიურ დამოკიდებულებაში გადადის.

განხილული რეკლამა, ფრეიმინგის თეორიის მიხედვით, ამომრჩეველს მიუთითებს, თუ როგორ პიროვნებად უნდა აღიქვას კანდიდატი, ხოლო „დღის წესრიგის“ თეორიაზე დაყრდნობით კარნახობს, თუ რომელ საკითხებზე უნდა გაამახვილოს ყურადღება კანდიდატის სამოქმედო პროგრამაზე ფიქრისას.

#### 4.4. ავტოპორტრეტი

„ქართული ოცნება“ ცდილობს, შექმნას თავისი კანდიდატების ტელეპორტრეტები, კერძოდ, თუ დავით ნარმანიას შემთხვევაში, 2014 წლის ადგილობრივი არჩევნებისთვის, პოზიციონერებას მიმართეს, კახა კალაძემ უპირატესობა ავტოპორტრეტს მიანიჭა. პორტრეტის დანიშნულება პირველ რიგში, კანდიდატსა და მის ამომრჩეველს შორის პიროვნული კავშირის დამყარებაა. მაგალითად, 2021 წლის მუნიციპალურ ორგანოთა არჩევნებისთვის საქართველოს დედაქალაქის მერობის კანდიდატი, კახა კალაძე, შესრულებული და მომავალში განსახორციელებელი პროექტების საზოგადოებისთვის გასაცნობად თბილისის რიგით მოქალაქეებსა და ტურისტებს იყენებდა. კანდიდატი მათ შეკითხვებს პასუხობდა და ამგვარად აცნობდა საზოგადოებას სამოქმედო გეგმას. აღნიშნული რეკლამები დატვირთული იყო იმპლიციტური მნიშვნელობებით, რომელთა დეკოდირებისას არსებული სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, რა თქმა უნდა, ვერ გამომჟღავნდებოდა დაფარული გზავნილები.

მაგალითისთვის განვიხილოთ კახა კალაძის ერთ-ერთი სარეკლამო რგოლი, რომლის ვიზუალური კომპონენტი გაჯერებულია კონოტაციური კოდებით და უნდა ითქვას, რომ ვერბალური გზავნილით გადმოცემულ ინფორმაციასთან შედარებით, უფრო მეტი მნიშვნელობის მატარებელია. ამ რეკლამის პრიორიტეტულ საკითხად შერჩეულია ბინების დაკანონების და კოოპერატიული ბინათმშენებლობის პრობლემა. კანდიდატს უსახლკაროების შესახებ შეკითხვას უსვამს ახალგაზრდა გოგონა, რომელიც საწოლზე წევს, მუხლებზე წიგნი აქვს გადაშლილი. ღამის ნათურით განათებული ოთახი, რომლის კედლები პოსტერებით არის დაფარული, ისეთ მყუდრო გარემოს ქმნის, რომელზეც არამარტო უსახლკარო, არამედ ყველა ახალგაზრდა ოცნებობს. ვიზუალური კოდი კონოტაციურ დონეზე ქმნის მითს, რომ ახალგაზრდებს ექნებათ შესაძლებლობა თანამედროვე გარემოში იცხოვრონ. გოგონას პოზა, წინა პლანზე ჩანს მისი შიშველი ფეხები, იმპლიციტურად თავისუფალი ცხოვრების სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელია.



იგივე სიმბოლური დატვირთვა აქვს მოტოზე მჯდომ ახალგაზრდა წყვილს, რომელსაც იმ რეკლამაში ვხედავთ, რომლითაც კახა კალაძე ამომრჩეველზე ზემოქმედებას ტრანსპორტზე ყურადღების გამახვილებით ცდილობს. ახალგაზრდა წყვილის კადრი გადაწყვეტილია პასტელურ ფერებში, რაც ძალადობრივად არ მოქმედებს რეციპიენტის ფსიქიკაზე, პირიქით, დამამშვიდებელი ეფექტი აქვს. ვიზუალური და ვერბალური კოდის ურთიერთზემოქმედებით იქმნება მითური მნიშვნელობა, რომ კანდიდატის სამოქმედო გეგმა მშვიდ გარემოში ცხოვრებას ჰპირდება ამომრჩეველს, რადგან თუ გავითვალისწინებთ არსებულ სოციალურ კონტექსტს, თბილისში გადაადგილება, თუნდაც საცობების გამო, მოსახლეობას სტრესულ გარემოს უქმნის.

ავტოპორტრეტის კუთხით, საინტერესო სიახლე შემოიტანა 2021 წელს პოლიტიკური პარტიის „ლელოს“ კანდიდატმა მამუკა ხაზარაძემ. რეკლამა, რომელიც ერთი შეხედვით, არჩევნებზე წასვლის პროპაგანდას ეწევა, რეალურად კანდიდატის პიროვნებას გვაცნობს. ის მაშინ ჩნდება კადრში, როდესაც მაყურებელს ექმნება მოლოდინი, რომ ახალგაზრდა წყვილის საუბარი კონფლიქტში უნდა გადაიზარდოს. კარზე ერთი ზარით, მ. ხაზარაძე აგვარებს წყვილის პრობლემას - იტოვებს ჩვილს, რათა დედა წავიდეს არჩევნებზე. მომდევნო კადრში ვხედავთ, თუ როგორ ართობს ბავშვს კანდიდატი და თან ღიღინებს: „ჩემი თბილისის სადამო...“ ბოლო კადრში ისმის ბავშვის სიცილი და მას ვხედავთ ბედნიერს, სათამაშოთი. ვიზუალური შეტყობინება ერევა ვერბალური ტექსტის აღქმაში და მას მეტ დამაჯერებლობას სძენს, რადგან ქმნის მითურ მნიშვნელობას, რომლის მიხედვითაც კანდიდატი დანაპირებს ასრულებს - იტოვებს ჩვილს, და საუკეთესოდ ართმევს თავს დაკისრებულ ვალდებულებას - ბავშვი ბედნიერია. „დღის წესრიგის“ თეორიის მიხედვით, ამომრჩეველი უნდა დაფიქრდეს, არჩევნებში მონაწილეობის აუცილებლობაზე. ფრეიმები კი, რომელიც ჩარჩოში სვამს მთავარ შეტყობინებას, ამომრჩეველს კარნახობს, რომ მთავარი გზავნილი, შემდეგნაირად უნდა აღიქვას: უნდა წავიდეს არჩევნებზე და ხმა მისცეს იმ კანდიდატს, რომელსაც შეუძლია დაპირების შესრულება.

„ლელოს“ კანდიდატი ავტოპორტრეტის შექმნის კიდევ ერთ საინტერესო ხერხს მიმართავს, როდესაც ქუჩის მუსიკოსებთან ერთად მღერის.



ამგვარად, მან სცადა ამომრჩევლისთვის სხვა რაკურსით წარედგინა საკუთარი პერსონა. ასევე, მიზანმიმართულად აქვს შერჩეული სიმღერებიც : გოგი ცაბაძის - „ჩემი თბილისის საღამო“, ჰჰა-ს - „დროს როცა უნდა, თოვს“, ჩიხლაძეების - „კართან მოდგა შემოდგომა“... ამ ტიპის რეკლამებში ფრეიმებს სიმღერების ტექსტები ქმნიან. მაგ, „კართან მოდგა შემოდგომა“ და „დრო აღარ გვაქვს ჩვენ ფიქრის“, და ხმა უნდა მივცეთ მას, ვინც მღერის: „ბედის ვარსკვლავი მიდიმის“.

### დასკვნა

შევისწავლეთ 2014-2021 წლების ქართული სატელევიზიო ღია პოლიტიკური რეკლამები. ჩვენი მიზანი იყო, წარმოგვეჩინა ის დაფარული მნიშვნელობები, რომლითაც გაჯერებულია სარეკლამო რგოლები, რადგან სწორედ იმპლიციტური შეტყობინება აფართოებს რეციპიენტზე ზემოქმედების არეალს. კონოტაციური მნიშვნელობების დეკოდირებისას ყურადღება გავამახვილეთ გზავნილის ვიზუალურ კომპონენტზე, რადგან ვერბალურ ნაწილთან მისი ურთიერთქმედებით იქმნება მითი. შევარჩიეთ ისეთი სარეკლამო რგოლები, რომლებშიც მრავალფეროვანი ვიზუალური კომპონენტი დომინანტურ ადგილს იკავებს.

ჩვენმა კვლევამა ცხადყო, რომ ვიზუალური კოდი ერევა რეციპიენტის მიერ შეტყობინების აღქმის პროცესში და აძლევს მიმართულებას. ჩვენ მიერ შესწავლილი მაგალითები ადასტურებს, რომ ფრეიმებს უმეტესად ვიზუალური ელემენტი ქმნის, რომელიც ადრესატს კარნახობს, თუ როგორ უნდა აღიქვას გზავნილი. „დღის წესრიგის“ თეორიაზე დაყრდნობით, კი პოლიტიკური მარკეტინგის პროფესიონალები პოტენციურ ამომრჩეველს სთავაზობენ, თუ რომელ საკითხებზე უნდა დაფიქრდნენ, ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ და შესაბამისად, სარეკლამო რგოლებში სწორედ ამ პრობლემათა გადაჭრის გზებს აჩვენებენ მაყურებელს.

კვლევის ჰიპოთეზა გამართლდა, ცალკეული რეკლამების დეტალურმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ქართული სატელევიზიო ღია პოლიტიკური რეკლამის მწარმოებლები ვიზუალურ კომპონენტს კონოტაციური მნიშვნელობებით ტვირთავენ, რომელთა დეკოდირებაც, ადრესატის მიერ შეტყობინების აღქმისას, ზრდის ინფორმაციულ ველს და შედეგად, პოტენციურ ამომრჩეველზე ზემოქმედების ხარისხიც იზრდება.

ნიშანდობლივია, რომ 2014 წლიდან მოყოლებული, ქართული სატელევიზიო ღია პოლიტიკური რეკლამა იხვეწება, შეინიშნება შემოქმედებითი მიდგომის ზრდის ტენდენცია, რაც წინასაარჩევნო კამპანიის ამ უმნიშვნელოვანეს ნაწილს მრავალფეროვანს ხდის. „ნეგატივიზმში გადავარდნაც“ იკლებს და მის ადგილს ისეთი ტიპის სარეკლამო რგოლი იკავებს, რომელიც ორიენტირებულია კანდიდატისა და მისი სამოქმედო გეგმის კრეატიულად წარმოჩენისკენ.

### ბიბლიოგრაფია

1. ბარტი, როლანდ, „მითოლოგიები“, აგორა, 2011;
2. ბარტი, როლანდ, „გამოსახულების რიტორიკა“, კომუნიკაციები, 1964;
3. გრემას, ალჟირდას ჟულიენი და კურტერი, ჟოზეფი, „სემიოტიკა, ენათა თეორიის დასაბუთებული ლექსიკონი“, პარიზი: ჰაჩეტი. 1979 წ;
4. იენგარ, შანტო, „ვინმე არის პასუხისმგებელი? როგორ აყალიბებს ტელევიზია პოლიტიკურ საკითხებს.“ ჩიკაგოს უნივერსიტეტის პრესა, 1991 წ;
5. კანდინსკი, ვასილ, „სულიერების შესახებ ხელოვნებაში“, ილიაუნის გამომცემლობა, 2013;
6. ლანგი, იაშა, „მედია და არჩევნები“, „რიგთაიმი“, 2004;
7. მეცი, კრიატიან, „ანალოგიის მიღმა, ხატი“ კომუნიკაციები, 1970;
8. სეგელა, ჟაკ, რედაქტორი: ვაჟა შურიითიძე. „ხმებზე ნადირობის ნაციონალური თავისებურებანი: როგორ იმარჯვებენ არჩევნებში, როგორ ქმნიან პრეზიდენტებს, გამარჯვებისათვის საჭირო 8 მცნება“, თბილისი: ინოვაცია, 2010.

## რელიგიური საკითხები ქართულ მედიაში რაოდენობრივი კვლევის ანალიზი

**მარიამ ადამაშვილი**

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი,  
ასისტენტ-პროფესორი,  
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

მედიის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს რელიგიური კონფლიქტები. სწორედ რელიგიური კრიზისების გაშუქების პროცესში მნიშვნელოვანია ჟურნალისტის პასუხისმგებლობა, მიაწოდოს აუდიტორიას დაბალანსებული, ობიექტური, სტერეოტიპებისგან დაცლილი ფაქტები და მომხმარებელს შესთავაზოს პროფესიონალურ დონეზე მომზადებული მედია-პროდუქტი, ფაქტის დამახინჯების ან/და არასწორი ინტერპრეტირების, ასევე სტერეოტიპული განწყობა-დამოკიდებულებების ჩამოყალიბების თავიდან აცილების მიზნით. გასათვალისწინებელია, რომ მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია რელიგიურ ჯგუფებში არ უნდა იწვევდეს კონფლიქტის გაღრმავებას. ბოლო პერიოდში ქართული მედია ხშირად აშუქებს რელიგიურ თემებს, რადგან სწორედ, რელიგიური კონფლიქტების რაოდენობა ქვეყანაში საკმაოდ მომატებულია.

რელიგიური ორგანიზაციების ურთიერთობა სახელმწიფოსთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინტერესის სფეროს წარმოადგენს როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში და იდეალურადაც კი მიიჩნევა ისეთი ქვეყანა, სადაც მოწესრიგებულია ეს ურთიერთობები. საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით, საქართველო ასეთ იდეალურ ქვეყანათა შორის, სამწუხაროდ, არ მოიაზრება. ანგარიშის მიხედვით, საქართველოში რელიგიურ ნიადაგზე შეუწყნარებლობის ფაქტები საკმაოდ ხშირად ფიქსირდება და რაც უნდა გასაკვირი იყოს, ხშირად სახელმწიფო მოხელეებზე მეტად მედიაორგანიზაციები უწყობენ ხელს ამ სიტუაციას. როგორ უქედება რელიგიური მოვლენები ქართულ მედიასივრცეში? ამ მხრივ, მედიაში რელიგიის საკითხთა გაშუქების შესახებ სისტემური და სიღრმისეული კვლევა ჯერ არ ჩატარებულა. წარმოდგენილი კვლევა აღნიშნული პრობლემის გამოსწორების დაწყების მცდელობას წარმოადგენს და ბუნებრივია, როგორც ყველა პირველი მცდელობა, უნაკლო არ იქნება. კვლევის ფარგლებში პირველადაა გაანალიზებული საზოგადოებრივი განწყობა ქართულ მედიაში რელიგიის საკითხების გაშუქებისას.

წარმოდგენილი ანგარიში რელიგიის საკითხთა გაშუქებისას ქართულ მედიაში დღეს არსებული მდგომარეობის შესახებ ამომწურავი სურათის დანახვის შესაძლებლობას იძლევა. ვიმედოვნებ, წარმოდგენილი მიგნებები მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს დისკუსიებში და მათი დახმარებით შესაძლებელი იქნება დაინტერესებულ მხარეთა შორის დიალოგის დაწყება რელიგიის გაშუქების კუთხით ქართული მედიის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

**საკვანძო სიტყვები:** რელიგია მედიაში; რელიგიის გაშუქება; რელიგიური მოვლენები; ქართული მედია.

## შესავალი

*კვლევის აქტუალობა.* დღეს სადაო არაა, რომ ადამიანის სულიერ-კულტურული განვითარების პროცესში მედიას განსაკუთრებული როლი ენიჭება და რომ ტელევიზია საზოგადოებრივი აზრის ფორმირების საკმაოდ მძლავრი იარაღია. დღევანდელ რეალობაში არ არსებობს ოჯახი ერთი ტელევიზორი მაინც არ ქონდეს, რადგანაც ინფორმირებულობა ადამიანის ძლიერი მოთხოვნაა. საკითხავია, რამდენად ინარჩუნებს ქართული სატელევიზიო სივრცე ობიექტურობას, რადგან სწორედ ტელევიზიით ხდება საზოგადოებაში სტერეოტიპების ჩამოყალიბება, რაც მაყურებლის ჩარჩოში მოქცევას იწვევს. ამ მხრივ ქართული ტელევიზია გამონაკლისი არაა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ტელე-ჟურნალისტების მხრიდან გაკეთებული ტენდენციური განცხადება საზოგადოებაში არასასურველი სტერეოტიპის დამკვიდრების ძლიერი იარაღია.

მედიის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს რელიგიური კონფლიქტები. სწორედ რელიგიური კრიზისების გაშუქების პროცესში მნიშვნელოვანია ჟურნალისტის პასუხისმგებლობა, მიაწოდოს აუდიტორიას დაბალანსებული, ობიექტური, სტერეოტიპებისგან დაცლილი ფაქტები და მომხმარებელს შესთავაზოს პროფესიონალურ დონეზე მომზადებული მედია-პროდუქტი, ფაქტის დამახინჯების ან/და არასწორი ინტერპრეტირების, ასევე სტერეოტიპული განწყობა-დამოკიდებულებების ჩამოყალიბების თავიდან აცილების მიზნით. გასათვალისწინებელია, რომ მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია რელიგიურ ჯგუფებში არ უნდა იწვევდეს კონფლიქტის გაღრმავებას. ბოლო პერიოდში ქართული მედია ხშირად აშუქებს რელიგიურ თემებს, რადგან სწორედ, რელიგიური კონფლიქტების რაოდენობა ქვეყანაში საკმაოდ მომატებულია.

ინფორმაციის გავრცელების გარდა მედია ყურადღებას უნდა აქცევდეს საგანმანათლებლო ფუნქციას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეტი მედია-პროდუქტი უნდა მზადდებოდეს საქართველოში როგორც უმრავლესობის, ისე ქვეყანაში არსებული რელიგიური უმცირესობების ფასეულობებთან დაკავშირებით, რათა საზოგადოება მეტად ინფორმირებული იყოს მათი კულტურისა და რელიგიური ღირებულებების შესახებ. რადგანაც მედია საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენს, რელიგიასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას ჟურნალისტმა აუცილებლად უნდა ხელმძღვანელობდეს რელიგიასთან დაკავშირებით საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებითა და ეთიკური ნორმებით, ასევე უნდა გაითვალისწინოს ქვეყნის კანონმდებლობა.<sup>1</sup>

*კვლევის სიახლე.* რელიგიური ორგანიზაციების ურთიერთობა სახელმწიფოსთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინტერესის სფეროს წარმოადგენს როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში და იდეალურადაც კი მიიჩნევა ისეთი ქვეყანა, სადაც მოწესრიგებულია

<sup>1</sup> თავისუფლების ინსტიტუტი, ადამიანის უფლებები, 2005.



ეს ურთიერთობები. საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით, საქართველო ასეთ იდეალურ ქვეყანათა შორის, სამწუხაროდ, არ მოიაზრება. ანგარიშის მიხედვით, საქართველოში რელიგიურ ნიადაგზე შეუწყნარებლობის ფაქტები საკმაოდ ხშირად ფიქსირდება და რაც უნდა გასაკვირი იყოს, ხშირად სახელმწიფო მოხელეებზე მეტად მედიაორგანიზაციები უწყობენ ხელს ამ სიტუაციას. როგორ შექდება რელიგიური მოვლენები ქართულ მედიასივრეში? ამ მხრივ, მედიაში რელიგიის საკითხთა გაშუქების შესახებ სისტემური და სიღრმისეული კვლევა ჯერ არ ჩატარებულა. წარმოდგენილი კვლევა აღნიშნული პრობლემის გამოსწორების დაწყების მცდელობას წარმოადგენს და ბუნებრივია, როგორც ყველა პირველი მცდელობა, უნაკლო არ იქნება. კვლევის ფარგლებში პირველადაა გაანალიზებული საზოგადოებრივი განწყობა ქართულ მედიაში რელიგიის საკითხების გაშუქებისას.

### *კვლევის მიზანი*

კვლევის მიზანს წარმოადგენს საზოგადოებრივი განწყობებისა და რწმენების დადგენა ქართულ მედიაში რელიგიის საკითხების გაშუქებისას. კერძოდ, კვლევის მიზნებს წარმოადგენს საზოგადოებრივი განწყობისა და რწმენის კვლევა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა:

- რამდენად აქტუალურია საზოგადოებისთვის რელიგიური საკითხები, არის თუ არა საინტერესო რელიგიის შესახებ მომზადებული მედიაპროდუქტი მოსახლეობისთვის და რა სახის რელიგიური გადაცემების ხილვას ისურვებდა ქართულ მედიასივრცეში;
- რა საშუალებებს იყენებს საზოგადოება რელიგიური ინფორმაციის მისაღებად;
- საპატრიარქოს ტელევიზიის შინაარსზე და იმ ფასეულობებზე, რასაც ეს ტელევიზია ავრცელებს, აღნიშნული ტელევიზიის საეთერო პოლიტიკის მიზნებისა და პლიუსების დადგენა;
- საზოგადოებრივი აზრის დადგენა იმის შესახებ, უნდა ეთმობოდეს თუ არა საეთერო დრო მართლმადიდებლობის / საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ან/და საქართველოში არსებული რელიგიური უმცირესობების/მათი რელიგიის შესახებ გადაცემებს;
- რეალურად რა ფუნქციებს ასრულებს და რა ძირითად ფუნქციებს უნდა ასრულებდეს მედია საქართველოში რელიგიური საკითხების გაშუქებისას;
- რამდენად ორიენტირებული არიან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო, საქართველოში არსებული რელიგიური უმცირესობები და ქართული მედია საქართველოში რელიგიური ინფორმირებულობის გაზრდაზე;
- რელიგიური თემატიკის ინფორმაციის გავრცელების მხრივ, როგორი ინფორმაციის მიღებას უზრუნველყოფს და რამდენად თავისუფალია დღეს ქართული მედია (პრესა, ტელევიზია, რადიო, სოციალური და ონლაინ მედია) რელიგიური საკითხების გაშუქებისას;
- ვინ აკონტროლებს ქართული მედიის სარედაქციო საქმიანობას რელიგიური გაშუქებისას;

- რამდენად არის დაცული რელიგიური ღირებულებები, ასევე სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება საქართველოში;
- საზოგადოების მოსაზრება ჟურნალისტების განათლებასთან დაკავშირებით რელიგიური თემატიკის გაშუქების მხრივ;
- რამდენად ხშირია ჟურნალისტების მხრიდან მომხმარებლის უფლებების დარღვევა რელიგიურად საკითხების გაშუქებისას?
- რამდენად დაცულია ქართველი მომხმარებელი რელიგიური საკითხების შესახებ ქართული მედიით არასწორი ინფორმაციის მიღებისგან;
- რამდენად ეფექტურია რელიგიურ იერარქებსა და მოსახლეობას შორის (აღმსარებლობის მიუხედავად) ურთიერთობა მედიის გზით და სამღვდლოება, განსაკუთრებით მაღალი იერარქიის სასულიერო პირი, უნდა აკეთებდეს თუ არა საჯარო განცხადებას მედიის საშუალებით;
- საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო და საქართველოში არსებული რელიგიური უმცირესობები უნდა თანამშრომლობდნენ თუ არა მედიასთან, ან რამდენად სწორად თანამშრომლობს საქართველოს საპატრიარქოს პრესსამსახური მედიასაშუალებებთან;
- თქვენი აზრით, რელიგიური თემატიკის საკითხების გაშუქებისას (არა მხოლოდ მართლმადიდებლობის, არამედ საქართველოში არსებული რელიგიების შესახებ) იცავს თუ არა ქართული მედია ეთიკურ სტანდარტებს;
- არსებობს თუ არა პრობლემები რელიგიური საკითხების გაშუქების მხრივ ქართულ მედიაში.

წარმოდგენილი ანგარიში რელიგიის საკითხთა გაშუქებისას ქართულ მედიაში დღეს არსებული მდგომარეობის შესახებ ამომწურავი სურათის დანახვის შესაძლებლობას იძლევა. ვიმედოვნებ, წარმოდგენილი მიგნებები მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს დისკუსიებში და მათი დახმარებით შესაძლებელი იქნება დაინტერესებულ მხარეთა შორის დიალოგის დაწყება რელიგიის გაშუქების კუთხით ქართული მედიის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

## 1. კვლევისას გამოყენებული მეთოდოლოგია

გამოკვლევის ტიპი: რაოდენობრივი სოციოლოგიური გამოკვლევა; რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზი.

შერჩევის ტიპი: მიზნობრივი ანუ შეფასებითი შერჩევა.

გამოკითხვის ობიექტს წარმოადგენდა ექსპერტთა რამდენიმე ჯგუფი პროფესიის მიხედვით:

- ჟურნალისტი (მედიის წარმომადგენელი / მედიაექსპერტი)
- აკადემიური პერსონალი
- სტუდენტი
- საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირი
- საქართველოში არსებული რელიგიური უმცირესობის სასულიერო პირი
- რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენელი

- თეოლოგი
- რელიგიათმცოდნე
- ისტორიკოსი
- სხვა

გამოკითხვის ობიექტს ასევე წარმოადგენდა საზოგადოების ჯგუფი რელიგიური აღმსარებლობის მიხედვით: <sup>2</sup>

- მართლმადიდებელი - გამოკითხულთა 78%
- მუსლიმი - გამოკითხულთა 8%
- ლათინ-კათოლიკეთა კავკასიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი - გამოკითხულთა 2%
- თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესიის წარმომადგენელი - გამოკითხულთა 2%
- სახარების ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების კავშირის წარმომადგენელი - გამოკითხულთა 2%
- საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია - გამოკითხულთა 2%

კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა 88% აღმსარებელია, 12% კი არა. ამ შემთხვევაში კვლევაში მითითებული იყო ყველა ის რელიგიური ორგანიზაცია, რომლებიც საქართველოში ფუნქციონირებს. აღნიშნული რელიგიები აღებულია რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ვებგვერდიდან

*კვლევის ფარგლებში გამოკითხა* სამუშაო ასაკის - 18-დან 65 წლამდე და 65+ ასაკის მოსახლეობა. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა აესახა თავისი კონკრეტული შეხედულება საკვლევ საკითხთან დაკავშირებით. ასაკის მიხედვით, გამოკითხულთა პროცენტული მაჩვენებელი ასე გამოიყურება: 18-25 – 10%; 26-35 – 36%; 36-45 – 26%; 46-65 – 24% და 65+ - 4%.

*კვლევისას ასევე უზრუნველყოფილი იყო გენდერულად სამართლიანი წარმომადგენლობა და კვლევა იძლეოდა შესაძლებლობას, ქალებისა და კაცების პრობლემები და განწყობები ასახულიყო კვლევაში. საბოლოოდ, კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა 46% მამრობითი, ხოლო 54% მდედრობითი სქესის წარმომადგენელია.*

მასობრივი გამოკითხვის ფარგლებში ჩატარდა *ინტერნეტ-კვლევა*, რაც მეილზე დაგზავნილი კითხვარების გზით განხორციელდა. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ფარგლებში დაფუძვნირდით ყველა რელიგიურ ორგანიზაციას, ასევე რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს, ვინაიდან მათი ჩართულობა მნიშვნელოვანია საქმიანობიდან გამომდინარე, საქართველოში არსებული რელიგიური ვითარების ფართო სურათის ასახვის მხრივ, ზოგიერთმა მათგანმა უარი თქვა კვლევაში მონაწილეობაზე. საბოლოო ჯამში კვლევაში მონაწილეობა მიიღო საქართველოში არსებული 7 რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენლებმა. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს

---

<sup>2</sup> რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო. <https://religion.gov.ge/religiebi-saqartvelosi> .[უ. გ. 09.11.2022].

ინტერესებში უნდა შედიოდეს მსგავს კვლევებში ჩართულობა და ხელშეწყობა, მონაწილეობა არ მიიღეს კვლევაში.

კვლევის საგანს წარმოადგენდა საზოგადოების თვალსაზრისის დადგენა რელიგიური საკითხების გაშუქებისას ქართული მედიის მდგომარეობასთან დაკავშირებით. კერძოდ, გამოკითხვა შეეხო შემდეგ საკითხებს, როგორცაა რამდენად აქტუალურია საზოგადოებისთვის რელიგიური საკითხები და არის თუ არა საინტერესო რელიგიის შესახებ მომზადებული მედიაპროდუქტი მოსახლეობისთვის; რა საშუალებებს იყენებს საზოგადოება რელიგიური ინფორმაციის მისაღებად და რა სახის რელიგიური გადაცემების ხილვას ისურვებდა ქართულ მედიასივრცეში; რამდენად ორიენტირებული არიან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო, საქართველოში არსებული რელიგიური უმცირესობები და ქართული მედია საქართველოში რელიგიური ინფორმირებულობის გაზრდაზე; რამდენად ეფექტურია რელიგიურ იერარქებსა და მოსახლეობას შორის (აღმსარებლობის მიუხედავად) ურთიერთობა მედიის გზით და სამღვდლოება, განსაკუთრებით მაღალი იერარქიის სასულიერო პირი, უნდა აკეთებდეს თუ არა საჯარო განცხადებას მედიის საშუალებით.

კვლევის ინსტრუმენტად გამოვიყენე კითხვარი, რაც გამოიყენებოდა, როგორც ზოგადი სახელმძღვანელო ორიენტირი.

## 2. რაოდენობრივი კვლევის ანალიზი

რელიგია უნივერსალური ცნებაა, რაც ყველა ცივილიზაციაში იპოვება. არაერთი არქეოლოგიური მონაცემი თუ სიტყვიერი ტექსტიც მოწმობს, რომ რელიგია კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე არსებობდა. რელიგიის განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების პროცესთან. რელიგია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ყურადღებას, თაყვანისცემას, ღვთისმოსაობას, მორწმუნეობას. რელიგიის თავდაპირველი მნიშვნელობის შესახებ რამდენიმე თვალსაზრისი არსებობს. იმ დარგის აღმნიშვნელად, რასაც რელიგიას ვეძახით, სხვა სიტყვებიც გამოიყენება: კონფესია, რაც ლათინური სიტყვაა და აღმსარებლობას ნიშნავს; კულტი; სარწმუნოება, მაგრამ სიტყვა რელიგია დარგის შინაარსს ყველაზე სრულყოფილად გამოხატავს.

უძველესი დროიდან საქართველოში არსებული მსოფლიო რელიგიები - ქრისტიანობა, იუდაიზმი და ისლამი, მათთვის დამახასიათებელი ფორმებით დღესაც ფუნქციონირებენ ჩვენს ქვეყანაში. ისტორიულად, საქართველო არა ხოლოდ მრავალეროვანი, არამედ რელიგიურად ჭრელი ქვეყანაცაა. ჩვენს ქვეყანაში უძველესი დროიდანვე, დასავლური თუ აღმოსავლური ცივილიზაციების გადაკვეთის პერიოდიდან, საქარავნო გზები გადიოდა. ეს ვითარება კი ხელს ბუნებრივად უწყობდა კულტურულ-რელიგიურ მრავალფეროვნებას. ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენების, რიტუალებისა და ღვთაებების («ადგილის დედების») პარალელურად ბერძნულ-რომაული და აღმოსავლური პოლითეიზმი იკავავდა გზას. არქეოლოგიურმა კვლევებმა და აღმოჩენებმა ქართლში აღმოსავლური და დასავლური კულტების არსებობა დაადასტურა.

რელიგიური სიტუაცია საქართველოში ასეთია: უმრავლესობის რელიგიას მართლმადიდებლობა წარმოადგენს, ხოლო საქართველოს მოქალაქეთა ნაწილი (ეთნიკურ უმცირესობათა მნიშვნელოვანი ნაწილი) ისლამს აღიარებს. ბოლო ათწლეულებში მცირერიცხოვანი მრევლი სხვა რელიგიურმა გაერთიანებებმაც გაიჩინეს, მაგალითად, ბაჰაიტებმა და კრიშნაიტებმა. თავად ქართული კულტურა უმეტესწილად ქრისტიანული რწმენა-ტრადიციების ნაყოფია. სწორედ, მართლმადიდებლობამ განმსჭვალა მთლიანად საქართველოს სამოქალაქო ისტორია. აღსანიშნავია, რომ ქართული კულტურა ქრისტიანულია, მაგრამ ამის მიუხედავად, ქართველი ხალხის კულტურულ-შემოქმედებით პროცესში არაქრისტიანული რელიგიებიც არიან ჩართული.

პოლიტიკისა და რელიგიის ურთიერთობით გამოწვეული პროცესები საზოგადოების მუდმივი ინტერესის სფეროა, რადგანაც სწორედ ეს ურთიერთობა განაპირობებს მსოფლიო ისტორიის განვითარებას. ჩვენს ქვეყანაში რელიგიამ, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახითაა გამოხატული, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასა და შემდგომ განვითარებაში. დღესდღეობით, საქართველოს განვითარებადი სახელმწიფოს ჩამოყალიბება-განვითარება წარმოუდგენელია მართლმადიდებელი ეკლესიის გათვალისწინების გარეშე. ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული მახასიათებლების მქონე რელიგიური ვითარება არსებობს.<sup>3</sup> ეს მახასიათებლებია: რელიგიური გაერთიანებების შიდა ეთნიკური მრავალფეროვნება (მაგალითად: მუსლიმთა რელიგიური გაერთიანება მოიცავს როგორც ქართველ, ქისტ და აზერბაიჯანელ, ასევე სხვა ეთნოსის წარმომადგენელ მუსლიმს); საქართველოში, ასევე, ერთი რელიგიურ ჯგუფში სხვადასხვა დოქტრინის მქონე აღმსარებლები არიან გაერთიანებული (მაგალითად, საქართველოს მუსლიმთა სამმართველო საქართველოში მცხოვრებ შიიტ და სუნიტ მუსლიმებს აერთიანებს).

ადამიანის უფლებები მსოფლიოში აღიარებული სტანდარტია, რაც თითოეულ ადამიანს მოიცავს. აღნიშნული უფლებები არაერთი საერთაშორისო დოკუმენტითაა განმტკიცებული, რითიც ხაზგასმულია ადამიანის უფლების დაცვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ყოველი ინდივიდისა და თითოეული სახელმწიფოსთვის. რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება, ასევე ის ფუნდამენტური უფლებაა, რაზეც დემოკრატიული სახელმწიფოს იდეა დგას. რადგანაც მსოფლიოში დღითიდღე იზრდება რელიგიურ ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტები, სწორედ ამიტომაც ყველა სახელმწიფოს პრიორიტეტული ვალდებულება და მნიშვნელოვანი ინტერესის სფერო რელიგიის თავისუფლების ხარისხის განსაზღვრა და მისი ქმედითობის უზრუნველყოფა.

მედიის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს რელიგიური კონფლიქტები. სწორედ რელიგიური კრიზისების გაშუქების პროცესში მნიშვნელოვანია ჟურნალისტის პასუხისმგებლობა, მიაწოდოს აუდიტორიას დაბალანსებული, ობიექტური, სტერეოტიპებისგან დაცლილი ფაქტები და მომხმარებელს შესთავაზოს პროფესიონალურ დონეზე მომზადებული მედია-პროდუქტი, ფაქტის დამახინჯების ან/და არასწორი ინტერპრეტირების, ასევე

<sup>3</sup>საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის განვითარების სტრატეგია, 2015 წელი, <https://religion.gov.ge> [უ. გ. 09.11.2022].

სტერეოტიპული განწყობა-დამოკიდებულებების ჩამოყალიბების თავიდან აცილების მიზნით. გასათვალისწინებელია, რომ მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია რელიგიურ ჯგუფებში არ უნდა იწვევდეს კონფლიქტის გაღრმავებას. ბოლო პერიოდში ქართული მედია ხშირად აშუქებს რელიგიურ თემებს, რადგან სწორედ, რელიგიური კონფლიქტების რაოდენობა ქვეყანაში საკმაოდ მომატებულია. ინფორმაციის გავრცელებასთან გარდა მედია ყურადღებას უნდა აქცევდეს საგანმანათლებლო ფუნქციაც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეტი მედია-პროდუქტი უნდა მზადდებოდეს საქართველოში როგორც უმრავლესობის, ისე ქვეყანაში არსებული რელიგიური უმცირესობების ფასეულობებთან დაკავშირებით, რათა საზოგადოება მეტად ინფორმირებული იყოს მათი კულტურისა და რელიგიური ღირებულებების შესახებ. რადგანაც მედია საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენს, რელიგიასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას ჟურნალისტმა აუცილებლად უნდა ხელმძღვანელობდეს რელიგიასთან დაკავშირებით საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებითა და ეთიკური ნორმებით, ასევე უნდა გაითვალისწინოს ქვეყნის კანონმდებლობა.<sup>4</sup>

ჰარტი, ტერნერისა და კნუპის საკვლევ საკითხს წარმოადგენს, თუ რა დეფინიციებს იყენებდნენ ჟურნალისტები რელიგიური მოვლენების გაშუქებისას. ხსენებული სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ მედიაორგანიზაციების მიერ რელიგიის შესახებ მომზადებული მედიაპროდუქტი გამოირჩევა სტერეოტიპებით და ისინი აღნიშნულ საკითხს გეოგრაფიულ-დემოგრაფიულ კონტექსტში განიხილავენ.<sup>5</sup> მედია-მკვლევარები ასკვნიათ, რომ ჟურნალისტები ხელს უწყობენ სტერეოტიპების ჩამოყალიბებას და რელიგიასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას ჟურნალისტების არაკვალიფიციურობა მნიშვნელოვან პრობლემად მიაჩნიათ. ეს პრობლემა, შესაძლოა, რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის წახალისების საფრთხეს უწყობდეს ხელს. მკვლევარები რისკის შემცველ ფაქტორად იმ ფაქტს, რომ მედია ნარატივს ქმნის, რამაც აუდიტორიას, შესაძლოა, მცდარი დასკვნის გაკეთებისკენ უბიძგოს, ვითომ ამა თუ იმ რელიგიური ჯგუფის წევრი ზიანის მომტანია საზოგადოებისთვის.<sup>6</sup> რელიგიასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების მხრივ, აღსანიშნავია მაქქინის კვლევაც, რომელშიც ავტორი ამბობს, რომ ხშირად ჟურნალისტები იმ ადამიანების მხრიდან განიცდიან ზეგავლენას, ვისაც მათ მიერ მომზადებული მედიაპროდუქტი ეხება. მაქქინი აღნიშნავს, რომ პრესა სიმბოლოებით სავსე არენაა, სადაც პროდიუსერის სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით აყალიბებენ ჟურნალისტები ჯგუფებს მენისტრიმად, რელიგიურად თუ არარელიგიურად.<sup>7</sup>

საქართველოში რელიგიასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების კვლევების უმეტესობა მედიამონიტორინგის საშუალებითაა განხორციელებული. მკვლევარები მხოლოდ ისეთ საკითხებს იკვლევენ, როგორცაა - სიმულვილის ენა ჟურნალისტის მხრიდან, ობიექტურობა

<sup>4</sup> თავისუფლების ინსტიტუტი, ადამიანის უფლებები, 2005.

<sup>5</sup> Hart, R. P., Turner, K. J., & Knupp, R. E., Religion and the Rhetoric of the Mass Media. Review of Religious Research, 1980, გვ. 256-275, [https://www.jstor.org/stable/3509807?seq=1#page\\_scan\\_tab\\_contents](https://www.jstor.org/stable/3509807?seq=1#page_scan_tab_contents) [უ. გ. 13.11.2022].

<sup>6</sup> Wright, S., Media Coverage of Unconventional Religion: Any "Good News" for Minority Faiths? Review of Religious Research, Religious Research Association, Inc., 1997. <http://www.jstor.org/stable/3512176> [უ. გ. 13.11.2022].

<sup>7</sup> McCune, C. A., Framing Reality: Shaping the news coverage of the 1996 Tennessee Debate on Teaching Evolution. Journal of Media and Religion, 2 (1), 2003, pp.5-28.

და წყაროთა ბალანსი, ასევე პროფესიულ ეთიკის დარღვევა თუ კვალიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემები. აღნიშნულ კვლევათა უმრავლესობა შეეხება, თუ რამდენად ხშირად ხდებიან რელიგიური უმცირესობები სიძულვილის ენის ადრესატები, რომ ხშირია მათი უფლებების დარღვევა და ა.შ. თუმცა არცერთი კვლევა არ ეხება საქართველოში არსებული უმრავლესობის რელიგიის აღმსარებელთა პრობლემებს. ყველა კვლევა განხილულია, მხოლოდ ვიწრო ჭრილში, ქვეყანაში არსებულ რელიგიურ უმცირესობათა შესახებ და არ მომხდარა ზოგადი რელიგიური ვითარების შეფასება.<sup>8 9 10 11 12</sup>

საქართველოს კონსტიტუციის 14-ე მუხლის მიხედვით, “ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.” თუმცა, სხვადასხვა რეგულაციების მიუხედავად, საქართველოში ჯერ კიდევ მძაფრად დგას განსხვავებულის მიღების პრობლემა. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების საქმეში, ძალიან მნიშვნელოვანია მედიის როლის განსაზღვრა. ტრადიციული მედიასაშუალება ინფორმაციის მიღების მთავარი წყაროა საქართველოში. ამიტომაც, აუცილებელია, მედიის საქმიანობის განხორციელებისას დაცული იყოს საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტები - ადამიანის ფუნდამენტური უფლებების პატივისცემა, ბალანსი და ობიექტურობა.

სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობას უძველესი დროიდანვე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნის განვითარების პროცესში. აქედან გამომდინარე, გასაკვირიც არაა, რომ რელიგიურ მოვლენებთან დაკავშირებით ხალხის დაინტერესება საკმაოდ მაღალია. გამოკითხულთა 39.2% მიმდინარე რელიგიურ მოვლენებს აქტიურად ადევნებს თვალს, ხოლო რესპოდენტთა 45.1% რელიგიურ ტელეგადაცემებს დიდი ინტერესით აკვირდება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 2008 წლის ნოემბერში დაარსდა საპატრიარქოს ტელევიზია “ერთსულოვნება”. როგორც აღნიშნული ტელეკომპანიის ვებ-გვერდზე ვკითხულობთ,<sup>13</sup> ეს არის „ყველაზე ობიექტური, ტრადიციული, სულიერი, კულტურულ-შემეცნებითი და ქრისტიანული ღირებულებების გამომხატველი და მაუწყებელი ტელევიზია საქართველოში“, თუმცა კვლევისას გამოიკვეთა ტენდენცია, რომ აღნიშნული ტელეკომპანიის საეთერო

<sup>8</sup> მედიის განვითარების ფონდი, ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული თემების ასახვა მედიაში, 2010. [http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//BCG\\_kvleva.pdf](http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//BCG_kvleva.pdf) [უ. გ. 13.11.2022].

<sup>9</sup> BCG Research, ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული თემების ასახვა მედიაში, 2010. [http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//BCG\\_kvleva.pdf](http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//BCG_kvleva.pdf) [უ. გ. 13.11.2022].

<sup>10</sup> ინტერნეტი - საქართველო, ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების გაშუქება პრესაში, 2012. [https://ge.boell.org/sites/default/files/downloads/Media\\_Monitoring\\_report\\_IV\\_Geo.pdf](https://ge.boell.org/sites/default/files/downloads/Media_Monitoring_report_IV_Geo.pdf) [უ. გ. 13.11.2022].

<sup>11</sup> მედიის განვითარების ფონდი, სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციული გამოხატვის მონიტორინგი ქართულ მედიაში, 2013, [http://www.notophobia.ge/uploads/publications/2/file/Monitoring\\_Hate\\_Speech\\_and\\_Discrimination\\_in\\_Georgian\\_Media\\_GEO.pdf](http://www.notophobia.ge/uploads/publications/2/file/Monitoring_Hate_Speech_and_Discrimination_in_Georgian_Media_GEO.pdf) [უ. გ. 13.11.2022].

<sup>12</sup> მედიის განვითარების ფონდი სიძულვილის ენა - 2016 წლის ანგარიში; [http://mdfgeorgia.ge/uploads/library/55/file/Hate\\_Speech\\_GEO\\_\(1\).pdf](http://mdfgeorgia.ge/uploads/library/55/file/Hate_Speech_GEO_(1).pdf) [უ. გ. 13.11.2022].

<sup>13</sup> ერთსულოვნება, <https://sstv.ge/about> [უ. გ. 12.11.2022].

პოლიტიკაში და მაუწყებლობის ბადეში უამრავი პრობლემა არსებობს, რაც ხელს უშლის „ერთსულოვნების“ რეიტინგის ზრდასა და კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ხსენებული მედიასაშუალებების მხრიდან აუდიტორიის ინტერესების ასახვის მცდელობა.

გამოკითხულთა უმეტესი ნაწილი თვლის, რომ აღნიშნული ტელევიზიის საეთერო რიტმი იმდენად დუნეა, რომ არ იწვევს მაყურებელში ინტერესს, პირიქით, აფრთხობს აუდიტორიას. „ერთსულოვნების“ საეთერო ბადე იმდენად მონოტონურია, რომ ხშირად საინტერესო თემატიკის მიუხედავად, არ უჩნდება ადამიანს სურვილი, რომ მოუსმინოს გადაცემას. კითხვაზე, რას შეცვლიდით საპატრიარქოს ტელევიზიის საეთერო პოლიტიკაში, გამოკითხული საზოგადოება აღნიშნავს, რომ მედიაპროდუქტის მომზადებისას აუცილებელია თხრობის ტექნიკის თანამედროვე მეთოდების გამოყენება და ზოგადად საეთერო ბადის თანამედროვე რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანა. აქედან გამომდინარე, კარგი იქნება საკადრო ცვლილებების განხორციელება, გადახალისება და ამ პროცესში მეტი ახალგაზრდა პროფესიონალის დასაქმება (როგორც ჟურნალისტების, ისე წამყვანების), რომელთაც რელიგიის გაშუქების მხრივ შესაბამისი განათლებაც ექნებათ მიღებული. ასევე გამოთქმული იყო აზრი, სხვადასხვა ეპარქიებიდან იყვნენ მოწვეული სასულიერო პირები და მათი მოღვაწეობის შესახებ მომზადდეს გადაცემები, რათა ხალხი გაეცნოს რამდენად თავდადებული და გულანთებული მოძღვრები ყავს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესია. რესპოდენტების თქმით, ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა იქიდან გამომდინარე, რომ სხვა საშუალებები მხოლოდ საწინააღმდეგოს აშუქებენ და ხელს უწყობენ სტერეოტიპების ჩამოყალიბებას, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირთა უმრავლესობა მხოლოდ ზიანის მომტანია საზოგადოებისთვის. მსგავსი იდეის გაშუქება კი ხელს უწყობს დისკრიმინაციისა და სიძულვილის ენის ტირაჟირებას, რაც დაუშვებელია.

დღევანდელი მდგომარეობით, საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ ეთერშია 15 გადაცემა.<sup>14</sup> წინამდებარე კვლევის რესპოდენტთა უმრავლესობისთვის (60.7%) მათგან ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა პატრიარქის ქადაგება, შემდეგ კი 35.7-35.7% უყურებს საინფორმაციო გამოშვებასა და დილის გადაცემას. რესპოდენტები „ერთსულოვნების“ ეთერში მეტი შემეცნებითი გადაცემის ხილვას ისურვებდნენ და თვლიან, რომ საჭიროა მეტი ისტორიულ-კულტურული ინფორმაციის შემცველი გადაცემების მომზადება, რაც საინტერესო და ყურებადი იქნება ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდა მაყურებლისთვის. ასევე, აღინიშნა, რომ კარგი იქნება საინფორმაციო გამოშვებების სიხშირის ზრდა და გადაცემების მომზადება ფსიქოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით, სადაც ფსიქოლოგიური საკითხები გაშუქდება და ცხოვრებისეულ პრობლემებზე მოძღვრის მიერ განმარტებები გაკეთდება.

კითხვაზე - რა ძირითად ფუნქციებს ასრულებს მედია საქართველოში რელიგიური საკითხების გაშუქების მხრივ? - კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ „ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ - „ასრულებს“ და „უნდა ასრულებდეს.“ მედია პოლიტიკური კრიზისის დროს, უნდა ასრულებდეს „სარკის“ ფუნქციას. ამა თუ იმ რელიგიური მოვლენის ყველა მონაწილე

<sup>14</sup> ერთსულოვნება, <https://sstv.ge/shows> [უ. გ. 12.11.2022].



მედიის მეშვეობით საკუთარ სახეს უნდა ხედავდეს. იმავდროულად მედია უნდა იყოს მიუკერძოებელი და ობიექტური. თუმცა იმისათვის, რომ მედია რეალურად დამოუკიდებელი იყოს, იგი პირველ რიგში უნდა იყოს თვითკმარი, ანუ მედია თავად უნდა ახერხებდეს საკუთარი თავის შენახვას. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს ის, იყოს თავისუფალი.

რელიგიასთან დაკავშირებული საკითხების მიკერძოებულად გაშუქება მიუღებელია გამოკითხულთა უმრავლესობისთვის. ამის მიუხედავად, გამოკითხულთა მოსაზრებით, რელიგიის შესახებ მომზადებული ახალი ამბების მიუკერძოებლობა საფრთხის ქვეშაა. კვლევის მონაწილეები თვლიან, რომ რელიგიური თემების გაშუქებისას სარედაქციო პოლიტიკაზე მედია-მფლობელები ახდენენ გავლენას, რაც მიუღებელია გამოკითხულთა უმრავლესობისთვის. კვლევის მონაწილეთათვის კარგადაა ცნობილი მედიასივრცეში არსებული პრობლემები. გამოკითხული რესპოდენტები გამოთქვამენ სურვილს, ცენტრალური მედიასაშუალებების მხრიდან მიიღონ მიუკერძოებელი ინფორმაცია რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით და რაც მთავარია, პროფესიონალურ დონეზე მომზადებული მედიაპროდუქტი.

კვლევის მონაწილეთა უმეტესობა (17.6%) თვლის, რომ საქართველოში მათი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება დაცულია, გამოკითხულთა 7.8% კი მიიჩნევს რომ ეს უფლება საერთოდ არ არის დაცული. სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების დაცვის გარეშე დემოკრატიული სახელმწიფოსა და საზოგადოების ჩამოყალიბება შეუძლებელია. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება უზრუნველყოფს ადამიანის პიროვნულ განვითარებას. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება სამართლებრივად დასაშვები მოვლენაა, რომელიც ყველა ადამიანზე ვრცელდება და მისაღებია, როგორც სუბიექტური ფორმით გამოიხატოს, ასევე ობიექტურად. გამოკითხულთა თქმით, აზრის თავისუფლად გამოხატვის ფორმები არ უნდა იყოს მაზარალებელი ამა თუ იმ პიროვნებისთვის და არ უნდა სცდებოდეს სამართლებრივ ნორმებს, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ხდებოდეს ადამიანის უფლებების შელახვა. ეს თავისუფლება შესაძლებელია გამოიყენო ხალხის მასებზე შთაბეჭდილების მოსახდენად. ასევე გამოკითხულთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება უმთავრესი უფლებაა, რომელიც არ უნდა ატარებდეს აგრესიულ ხასიათს, ადამიანის მიერ გამოთქმული თავისუფალი აზრი არ უნდა ახდენდეს სხვა ადამიანის ან ჯგუფის დისკრიმინაციას.

ინფორმაციის გავრცელება და ხელისუფლების გაკონტროლება, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხების განხილვის უზრუნველყოფა, ეროვნული ღირებულებებისა და ტრადიციების დაცვა, ასევე დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების ხელშეწყობა - გამოკითხული მოქალაქეები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მედია, წესით, თითქმის ყველა ამ ფუნქციას უნდა ასრულებდეს და ჟურნალისტები მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდნენ დემოკრატიული საქართველოს ჩამოყალიბების პროცესში. რესპოდენტთა აზრით, ჟურნალისტები ობიექტურად უნდა აფასებდნენ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს მოვლენა ეხება ისეთ მეტად მგრძნობიარე საკითხს, როგორცაა რელიგია. განსაკუთრებით, როცა თემა რელიგიურ საკითხებს ეხება, ჟურნალისტები საზოგადოებას უნდა აწვდიდნენ დროულ, სტერეოტიპებისგან დაცლილ, ზუსტ და უტყუარ

ინფორმაციას, რაც რელიგიურ ჯგუფებს შორის შუღლს არ გამოიწვევს, არამედ ხელს შეუწყობს მათ ჰარმონიულ თანაარსებობას. რადგანაც მედია, როგორც მეოთხე ხელისუფლება, ახდენს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას და მასაში განწყობას ქმნის, მისი როლი ძალიან დიდია როგორც რელიგიასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების პროცესში, ისე ნებისმიერ ვითარებაში, თუმცა ჟურნალისტთა დიდ ნაწილს არ ესმის, ან არ იციან რამდენად დიდი მნიშვნელობა და ძალა გააჩნია მედიას. რესპოდენტების თქმით, ქართველი ჟურნალისტების პროფესიული დონე გარდა ერთეული შემთხვევებისა, ძალიან შორსაა პროფესიონალიზმამდე, განსაკუთრებით რელიგიის საკითხთა გაშუქებისას. მათი ძირითადი ინტერესია გაავრცელონ სენსაცია, თუნდაც აბსოლუტურად მცდარი, რათა გახდეს ცნობადი სახე და გაიუმჯობესოს მატერიალური მდგომარეობა. საქართველოში დღეს საკმაოდ დაბალი დონის ჟურნალისტიკა არსებობს, რადგან ქართულ რეალობაში ცნობადი სახეები ხდებიან ჟურნალისტები, რომლებიც ძირითადად ორიენტირებული არიან ხმამაღალი, სენსაციური განცხადებების კეთებაზე და არა ფაქტებზე, მოვლენის არსსა და ანალიზზე.

ჟურნალისტების დახასიათებისას ფოკუსს ჯგუფის მონაწილეები აფასებენ მათ ჭკუას, გამბედაობას, კითხვის სწორად დასმისა და ფაქტების გასაგებად გადმოცემის უნარს. მაშინ, როდესაც ჟურნალისტს საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯის ცემაზე აქვს ხელი და ასახავს ყველაფერს რაც ხდება, ხშირ შემთხვევაში ის არის ინფორმაციული ხიდი ადამიანსა და დანარჩენ სამყაროს შორის.

რესპოდენტებს მედიის განვითარებისთვის აუცილებელია მოგვარდეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა: ჟურნალისტების პროფესიონალიზმი, დამოუკიდებლობა, პრინციპულობა და პროფესიის უზომო სიყვარული; კანონმდებლობის დახვეწა რელიგიური საკითხების გაშუქების მხრივ; საზოგადოების ინტერესის ერთგულება. მოსახლეობის უმრავლესობა ჟურნალისტებისაგან მიუკერძოებელ, დაბალანსებულ და ობიექტურ რეპორტაჟებს მოითხოვს, განსაკუთრებით, როცა მოვლენა მეტად მგრძნობიარე თემასთან - რელიგიურ საკითხებთანაა დაკავშირებული. ამასთანავე, საზოგადოებას სურს მიიღოს პროფესიონალურად მომზადებული მაღალხარისხიანი მასალა.

საქართველოში ყოველდღიურად მატულობს ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობა. სოციალური მედია თანდათან ბევრად სერიოზულად აღიქმება, ვიდრე ელექტრონული ან/და ბეჭდური. ინფორმაციის გაშუქების მხრივ, ფაქტების გადმოცემის ფორმის კუთხით, და თუნდაც სანდოობითა და პროფესიონალური მხრიდან გამომდინარე, სოციალური მედია ქართველი მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის უფრო მისაღებია ვიდრე სხვა დანარჩენი. თუმცა კვლევის პროცესში გამოითქვა აზრი, რომ სოციალური მედია დღეს უფრო მიდრეკილია ტენდენციურობისკენ, ვინაიდან აქ ავტორს უფრო მეტი თავისუფლების ხარისხი აქვს და ყველაფერს "საკუთარ სტანდარტს" არგებს. ქართველი საზოგადოება ტელევიზიასთან შედარებით მედიის სხვა საშუალებებით, პრესითა და რადიოთი, გაცილებით იშვიათად სარგებლობს.

ბეჭდური მედია მეტნაკლები სანდოობის ხარისხს ატარებს, რადგან ის ყველაზე მეტად ახერხებს დამოუკიდებელ რეჟიმში ყოფნას, თუმცა ხშირია შემთხვევები, როცა სკანდალური სტატიის გამოქვეყნების გადაჭარბებული სურვილი რეალობის დამახინჯებას იწვევს.

ტელევიზიები, რომლებიც ობიექტურობისა და სანდოობის მხრივ კრიტიკას იმსახურებენ, ოპერატიულობის თვალსაზრისით სათანადო სიმაღლეზე დგანან. სოციალური მედია, რომელიც ახლა იდგამს ფეხს, მთავარ ამოცანად, ინფორმაციის ოპერატიულად გავრცელებას ისახავს მიზნად, მისი შემოსავალი დამოკიდებულია ძირითადად ელექტრონულ და ბეჭდურ მედია საშუალებებზე, მათ კი სჭირდებათ სანდო ინფორმაცია, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. შესაბამისად სანდოობის ხარისხი შედარებით მაღალია.

კვლევის მონაწილეთა 66.7% აღნიშნავს, რომ ქართულ მედიაში რელიგიური საკითხების გაშუქების მხრივ უამრავი პრობლემა არსებობს. კვლევაში მონაწილე ყველა პირი ერთ-ერთ მთავარ პრობლემად ჟურნალისტთა განათლების საკმაოდ დაბალ დონეს ასახელებს და აღნიშნავენ, რომ რელიგიური საკითხები ძალიან არაკვალიფიციურად და მიკერძოებულად შუქდება. რესპოდენტთა თქმით, არ შეიძლება რელიგიის გაშუქება ისე, როგორც პოლიტიკა და არ შეიძლება რელიგიის, რომელიმე ერის კუთვნილებად მიწერა.... კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ქართული მედიის მხრიდან გამუდმებით ხდება მართლმადიდებლობის შეურაცხყოფა, აღმსარებელთა უფლებების დარღვევა და ამაზე არავინ რეაგირებს, აგრესიულად მიმდინარეობს მოვლენების გაშუქება. იგივე დამოკიდებულება იკვეთება რელიგიური უმცირესობების საკითხების გაშუქების მხრივაც. რესპოდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ რელიგიური საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებით მედიასაშუალებები ინტერესს არ გამოთქვამენ, ან თუ შუქდება მხოლოდ ისიც არასანდო წყაროების საფუძველზე დაყრდნობით, გადაუმოწმებლად. მათი თქმით, ყველგან იგრძნობა აგრესია, რაც აუცილებლად უნდა იყოს აღმოფხვრილი. ეს დამოკიდებულება ავტომატურად გადადის მაყურებელზე. ორივე მხარე მუდმივად შეტევისა და თავდაცვის რეჟიმში მუშაობს, რაც რესპოდენტთათვის ძალიან გამაღიზიანებელია.

კითხვაზე, თუ რამდენად ორიენტირებული არიან სხვადასხვა უწყებები საქართველოში რელიგიური ინფორმირებულობის გაზრდაზე, რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო (გამოკითხულთა 31.4%) და საქართველოში არსებული რელიგიური უმცირესობები მეტნაკლებად ორიენტირებული არიან (გამოკითხულთა 30.6%), ხოლო კვლევის მონაწილეთა 41.2% მიიჩნევს, რომ ქართული მედია არ არის ორიენტირებული რელიგიური ინფორმირებულობის ხარისხის გაუმჯობესებაზე. კვლევაში მონაწილე პირები ერთხმად აღიარებენ, რომ კარგი იქნება თუ ქართული მედიის მხრიდან რელიგიური საკითხების გაშუქების მხრივ ინტერესი გაიზრდება და მომზადდება მეტი შემეცნებითი გადაცემა თუ საგანმანათლებლო ხასიათის სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი, რაც ემსახურება განათლებას და რელიგიების შესახებ ინფორმირებულობის ზრდას და რომლებიც დაეხმარებოდა ადამიანს სწორი მსოფლმხედველობის, ღირებულებების და ფასეულობების ჩამოყალიბებაში. გამოითქვა აზრი და სურვილი, მომზადდეს სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები და შემეცნებითი გადაცემები რელიგიების ისტორიასთან და რელიგიურ საკულტო ნაგებობებთან დაკავშირებით, ასევე განსაკუთრებული ღვაწლის მქონე სასულიერო პირთა (რელიგიური აღმსარებლობის მიუხედავად) სატელევიზიო პორტრეტები. ერთ-ერთი რესპოდენტის თქმით, „აუცილებელია ქართულ მედიაში განმარტებითი ხასიათის მედიაპროდუქტის მომზადება, რადგან სამწუხაროდ, ადამიანებმა ელემენტარულ დონეზეც კი არ იციან რა არის იმ სარწმუნოების რელიგიური დოქტრინა, რომელიც სწამთ (ნებისმიერი

სარწმუნოების) და ინერციით არიან ამა თუ იმ რელიგიური ორგანიზაციის წევრი“. რესპოდენტები სიამოვნებით იხილავდნენ თუნდაც კითხვა-პასუხის რეჟიმის ფორმატში მომზადებულ გადაცემებს, რომლებშიც მიწვეული იქნებიან სხვადასხვა სასულიერო პირები, ვინც ისაუბრებენ მართლმადიდებლობის შესახებ. კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ნებისმიერი ფორმატის გადაცემა „სასურველია იყოს აკადემიური მაგრამ ტემპიანი, ისე, რომ მისი მოსმენა არ ღლიდეს მაცურებელს“.

ქართული მედია უნდა უთმობდეს დროს და ადგილს გადაცემებისთვის, რომლებიც მორგებული იქნება ბავშვთა ინტერესებს და რომლის მიზანიც იქნება ბავშვებისთვის ღირებულებების სწავლება, რელიგიური ცოდნის მიღება, ასევე სადაც საუბარი იქნება როგორ ვიცხოვროთ რელიგიური ღირებულებებით 21 საუკუნეში, რამხელა როლი აქვს ეკლესიას ადამიანის მორალურ აღზრდაში და როგორია რელიგიის როლი თანამედროვეობაში. სასურველი იქნება ეპარქიების და მათი მდგომარეობის გაშუქება. კარგი იქნებოდა საგანმანათლებლო ტიპის გადაცემების მომზადება, რომელიც საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდაზე იქნება ორიენტირებული, სადაც ორიენტირებული იქნება ფართო მასებისთვის გაცნობაზე. ასევე უნდა იყოს შესაძლებელი იქნება თავად რელიგიური გაერთიანებები წარმოაჩინონ თავს. ასევე კარგი იქნება, თუ ქართული მედია უზრუნველყოფს ჯანსაღ დებატებს სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენლებს შორის დასაბუთებული ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 1981 წელს, 25 ნოემბერს, მიიღო „რელიგიისა და რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ დეკლარაცია. აღნიშნულ დოკუმენტში რელიგიის თავისუფლება აღიარებულია, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლება.<sup>15</sup>

ბავშვთა უფლებათა შესახებ კონვენცია საერთაშორისო საზოგადოების მიერ მიღებული ყველაზე არსებითი დოკუმენტია, რაც რელიგიის თავისუფლებას შეეხება.<sup>16</sup> ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის 1993 წლის განცხადებაში აღინიშნა, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის 18-ე მუხლი „იცავს თეისტურ, არათეისტურ და ათეისტურ მრწამსს ისევე, როგორც უფლებას არ აღიარონ რომელიმე რელიგია ან რწმენა“.<sup>17</sup> კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოებს ეკრძალებათ „გამოიყენონ ფიზიკური ძალა ან სისხლის სამართლის სანქციები იმისათვის, რომ მორწმუნეები და არამორწმუნეები აიძულონ “ უარყონ თავიანთი მრწამსი. ამის მიუხედავად, მსოფლიოში ჯერჯერობით ისევ ხდება რელიგიურ ნიადაგზე დევნა-შევიწროება.

<sup>15</sup> Declaration on the Elimination of All Forms of Intolerance and of Discrimination Based on Religion or Belief. United Nations, 25.11.1981; <https://www.ohchr.org/sites/default/files/religion.pdf>. [უ. გ. 13.11.2022].

<sup>16</sup> Religious Rights – International Legal Instruments, unesco.org, <https://www.ohchr.org/en/special-procedures/sr-religion-or-belief/international-standards> [უ. გ. 13.11.2022].

<sup>17</sup> Freedom of religion | Religious discrimination, CCPR General Comment No. 22: Article 18 (Freedom of Thought, Conscience or Religion), UN Human Rights Committee (HRC), 30 July 1993, <https://www.refworld.org/docid/453883fb22.html> [უ. გ. 13.11.2022].

საქართველო ეთნიკური, კულტურული და რელიგიური თვალსაზრისით მრავალფეროვანი ქვეყანაა. აქ საუკუნეების მანძილზე ერთმანეთის გვერდით მშვიდობიანად ცხოვრობდნენ და თანაარსებობდნენ სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანები. საქართველოში, მისი გეოპოლიტიკური რეალობის გამო, ძველთაგანვე ერთმანეთს სხვადასხვა შინაარსის კულტურა და რელიგია ხვდებოდა. საქართველო, რომელიც დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ქრისტიანული და აღმოსავლური რელიგიების (ჯერ მაზდეანობის და შემდეგ მაჰმადიანობის) გზაჯვარედინზე არსებობდა, ყოველთვის მიისწრაფოდა კულტურული დასავლეთისაკენ. ქრისტიანობის მიღებით კი მან საბოლოოდ განსაზღვრა თავისი მიმართულებისა და განვითარების გზა. მაგრამ ამ გზაზე ქართველ ხალხს ყოველთვის წინ ეღობებოდნენ. ჩვენი ერი ამ წინააღმდეგობას მაინც არ ეპუებოდა და ეძებდა გზებს იმ კულტურულ-რელიგიური სამყაროსაკენ, რომელსაც სამუდამოდ მიაკუთვნა თავი. ქრისტიანობა, კონკრეტულად მართლმადიდებლობა, თითქმის უკვე 17 საუკუნეა ქართველთა ეროვნულ სარწმუნოებას წარმოადგენს. ქრისტიანობისათვის ბრძოლა ნიშნავდა ქართული ეთნიკური ერთობისათვის, მისი გადარჩენისათვის ბრძოლასაც. მაგრამ საქართველოში ისტორიულად სხვა სარწმუნოების მიმდევრებს ჰქონდათ სრული თავისუფლება და გასაქანი. არავინ, არც ერთი რელიგიური მიმდინარეობა არ იდევნებოდა და ასეა დღესაც.

კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა უმრავლესობა (17.6%) მიიჩნევს, რომ რელიგიური ღირებულებები საქართველოში დაცულია, 11.8% კი თვლის რომ ძალიან დაცულია. კვლევის მონაწილეთა მხოლოდ 2%-ის აზრით არ არის რელიგიური ღირებულება სათანადოდ დაცული ქართულ რეალობაში. კვლევისას გამოიკვეთა ტენდენცია, რომ (კვლევის მონაწილეთა 53%-ის აზრით) რელიგიური თემატიკის საკითხების გაშუქებისას (არა მხოლოდ მართლმადიდებლობის, არამედ საქართველოში არსებული რელიგიების შესახებ) ქართული მედია ეთიკურ სტანდარტებს იშვიათად იცავს. რესპოდენტები თვლიან, რომ რელიგიური საკითხების გაშუქებისას ჟურნალისტების მხრიდან მომხმარებლის უფლებების დარღვევა ძალიან ხშირია და მიიჩნევენ, რომ (გამოკითხულთა 33.3%) ქართველი მომხმარებელი რელიგიური საკითხების შესახებ ქართული მედიით არასწორი ინფორმაციის მიღებისგან საერთოდ არ არის დაცული.

გამოკითხულთა 75-78% მიიჩნევს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო და საქართველოში არსებული რელიგიური უმცირესობები აუცილებლად უნდა თანამშრომლობდნენ მედიასთან და აღნიშნავენ, რომ ხალხი უსაზღვროდ გაუთვითცნობიერებელია რელიგიურ საკითხებში და თუ კვალიფიციურმა პირმა არ განუმარტა რელიგიასთან დაკავშირებული თემატიკა, მაშინ ხდება იოლად მოწყვლადი და მიყვება იმ დინებას, რასაც მედია ქმნის, ეს დინება კი ძირითადად ძალზედ მიკერძოებულია. რესპოდენტთა 51%-ის აზრით სამღვდელოება, განსაკუთრებით მაღალი იერარქიის სასულიერო პირი, საჯარო განცხადებას მედიის საშუალებით აუცილებლად უნდა აკეთებდეს მათი განათლებისა და კომპეტენციის გათვალისწინებით და აღნიშნავენ, რომ იერარქიც საზოგადოების წევრია და მისი პოზიციის გამოხატვა მნიშვნელოვანია. კვლევის მონაწილეები თვლიან, რომ საზოგადოების რელიგიური ინტერესიდან გამომდინარე, რაც უფრო ხშირად და არგუმენტირებულად გაკეთდება განმარტებრბი მით უკეთესი.

## დასკვნა

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2005 წლის № 1720 რეკომენდაციაში, რაც განათლებასა და რელიგიას ეხება, აღნიშნულია, რომ ყოველი პირის რელიგია, მათ შორის, არა რელიგიურობა, მკაცრად განსაზღვრული პირადი საკითხია. თუმცა ეს არ ეწინააღმდეგება მოსაზრებას, რომ რელიგიის ზოგადი ცოდნა და ტოლერანტობის განცდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია დემოკრატიული საზოგადოებისთვის. ხსენებული რეკომენდაცია ბავშვის აღზრდის პროცესში ოჯახს აკისრებს გადამწყვეტ როლს, მათ შორის, რელიგიის არჩევის საკითხში. დღესდღეობით მრავალი ოჯახისთვის რელიგია და მასთან დაკავშირებული საკითხები არ წარმოადგენს ინტერესის სფეროს, რის გამოც ახალგაზრდების ნაწილს არ გააჩნია საჭირო ცოდნა და ინფორმაცია რელიგიებთან დაკავშირებით, რასაც ასამბლეა პრობლემურ საკითხად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ამ კუთხით მედიას შეუძლია, დადებითი როლი ითამაშოს. ზოგადად, პოლიტიკა და რელიგია ერთმანეთისაგან გამიჯნული უნდა იყოს. თუმცა დემოკრატია და რელიგია არ უნდა იყოს შეუთავსებელი. პირიქით, ორივე მათგანი ერთად უნდა ემსახურებოდეს საერთო სიკეთისთვის ბრძოლას. სოციალური პრობლემების მოგვარებით ხელისუფლებას შეუძლია ისეთი სიტუაციების განმუხტვა, რაც შესაძლოა, რელიგიურ ექსტრემიზმში გადაზრდის საფრთხეს შეიცავს. რელიგიასთან დაკავშირებული განათლება აუცილებელია დაპირისპირებების, სტერეოტიპული აზროვნებისა და გაუგებრობის აღმოსაფხვრელად ანდაც თავიდან ასაცილებლად. ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლებამ მაქსიმუმი უნდა გააკეთოს რელიგიისა და სინდისის თავისუფლებს გარანტიის უზრუნველსაყოფად, ასევე უნდა მოხდეს რელიგიათაშორისი დიალოგების წახალისება.

მედია ყოველთვის იცვლის ფორმას და იღებს იმ სოციალურ და პოლიტიკურ სტრუქტურების ელფერს, რომელშიც მას უწევს ფუნქციონირება. ამა თუ იმ სისტემაში მედიის თავისუფლების ხარისხი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ როგორ არის ძალაუფლება განაწილებული საზოგადოებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ეხება პოლიტიკურ და ეკონომიკურ გადანაწილებას. დასავლეთის ქვეყნებში კომერციული მასმედია უფრო მეტად პლურალისტურია, რადგან კაპიტალისტური საზოგადოება ძალაუფლების დეცენტრალიზაციას გულისხმობს, მაგრამ მესამე ტიპის ქვეყნებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების „საბაზრო“ მოდელი უმტკივნეულოდ თანაარსებობს დიქტატურასთან. აღმოსავლეთ ევროპის და აზიის ქვეყნების მედიის ტრადიციის მიხედვით, მმართველი პოლიტიკური ძალა ინარჩუნებს მასობრივი ინფორმაციის სუბსიდირების მნიშვნელოვან როლს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ცალკეული ტელევიზიები ვერ აღწევენ ფინანსურ მოგებას. ინტეგრირებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ”ელიტა” ტელეკომპანიებს უყენებს პოლიტიკურ ამოცანას, სამაგიეროდ მის ეკონომიკურ საქმიანობას გარანტირებულს ხდის. შესაბამისად, მედიამფლობელები, მაღალი რანგის მენეჯერები ნაკლებად ზრუნავენ ფინანსური დამოუკიდებლობის მიღწევისათვის და მიზანმიმართულად ემსახურებიან დამფინანსებლებს.

დღესდღეობით საქართველოში რეალურ, ობიექტურ, მიუკერძოებელ და სანდო ინფორმაციაზე დიდი მოთხოვნაა. აღნიშნულის მისაღწევად კი აუცილებელი ჟურნალისტური

ეთიკის ძლიერი შეგრძნება და მედია-მფლობელების პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. ჯანსაღი მედია-გარემოსა და მედიის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, აუცილებელია საჯარო განხილვები, რომ ჟურნალისტების სამუშაო გარემოში არსებული პრობლემებისა და ტენდენციების შესახებ ინფორმაცია საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იყოს. ტენდენცია, რასაც მედია-მფლობელები ამჟღავნებენ მიზნის მისაღწევად, არ ემთხვევა მედიის უმთავრეს ფუნქციას – დაბალანსებული, მიუკერძოებელი და ობიექტური ინფორმაცია მიაწოდონ მომხმარებელს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე რელიგიურ საკითხებთანაა დაკავშირებით. მედია შეგვიძლია მოვიაზროთ მოვლენების სცენად, რომელსაც უამრავი მაცურებელი ყავს და ის აშკარად ახდენს დიდ გავლენას მაცურებელზე, მსმენელსა თუ მკითხველზე. მედია პირდაპირ გავლენას ახდენს ადამიანის აზროვნების, ხედვის, აღქმის ჩამოყალიბებაზე. ის საზოგადოების გავლენიანი ნაწილია. მედიას შეუძლია აბსოლუტურად მართოს პროცესები თუ ის იქნება დამოუკიდებელი და სიმართლის გამავრცელებელი. მედიას მიაქვს ინფორმაცია საზოგადოებამდე, შესაბამისად მასზე ძალიან ბევრია დამოკიდებული, როგორ მიიღებს საზოგადოება აღნიშნულ პროცესებს, იქნება პანიკა თუ მეტ-ნაკლებად სიმშვიდე.

რელიგიური საკითხების გაშუქების მხრივ, დღესდღეობით, ქართულ მედიაში უამრავი პრობლემა არსებობს. როგორც კვლევისას გამოიკვეთა, ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა ჟურნალისტთა არაკომპეტენტურობა და განათლების უაღრესად დაბალი დონეა. რელიგიის საკითხების გაშუქებისას ქართული მედია ორიენტირებულია არა ამა თუ იმ რელიგიური მოვლენის სიღრმისეულ ანალიზზე, არამედ ჟურნალისტების მთავარი ამოსავალი წერტილი მხოლოდ სკანდალი და რეიტინგია. შესაბამისად რელიგიური თემატიკის მედიაპროდუქტის მომზადებისას არ ხდება საკითხის შესწავლა სიღრმისეულად. ზოგადად, ქართული მედიის ინტერესის სფეროს არ წარმოადგენს რელიგიურ-კულტურული შემეცნებით გადაცემების მომზადება და სამწუხაროდ, რელიგიური თემატიკა გახდა მანიპულაციისა და სკანდალების საუკეთესო წყარო მედიისთვის, რაც რასაკვირველია არაეთიკურია. დღესდღეობით, ძირითადად მედიით მხოლოდ რელიგიურ ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტები შუქდება, დანარჩენს ან საერთოდ არ აშუქებენ ან არასაკმარისად და მიკერძოებულად, აგრესიულად მიმდინარეობს მოვლენების გაშუქება, ქართული მედიის მხრიდან გამუდმებით ხდება მართლმადიდებლობის შეურაცხყოფა, აღმსარებელთა უფლებების დარღვევა, სასულიერო პირების დისკრედიტაციისკენ მიზანმიმართულ კამპანია აქტიურად ხორციელდება. იგრძნობა რელიგიისადმი მტრული დამოკიდებულება, როგორც სიბნელის და წარსულის გადმონაშთისადმი, რელიგიის როგორც ცივილიზაციისა და პოროგრესის მტრის წარმოჩენა და ზოგადად მიკერძოებულობა.

## ბიბლიოგრაფია

1. თავისუფლების ინსტიტუტი, ადამიანის უფლებები, 2005;
2. საქართველოს კონსტიტუცია, 1995;
3. სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2016;
4. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, <https://religion.gov.ge/religiebi-saqartvelosi> [უკანასკნელად გადამოწმდა 09.11.2022];
5. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. ტომი I;
6. რელიგიები საქართველოში. რედ: ზ. კიკნაძე. 2008;
7. საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის განვითარების სტრატეგია, 2015 წელი, <https://religion.gov.ge> [უკანასკნელად გადამოწმდა 09.11.2022];
8. თავისუფლების ინსტიტუტი, ადამიანის უფლებები, 2005;
9. Hart, Roderick P., Turner, Kathleen J., & Knupp, Ralph E., Religion and the Rhetoric of the Mass Media. Review of Religious Research, 1980. [https://www.jstor.org/stable/3509807?seq=1#page\\_scan\\_tab\\_contents](https://www.jstor.org/stable/3509807?seq=1#page_scan_tab_contents) [უკანასკნელად გადამოწმდა 13.11.2022];
10. Wright, Stuart A., Media Coverage of Unconventional Religion: Any "Good News" for Minority Faiths? Review of Religious Research, Religious Research Association, Inc., 1997. <http://www.jstor.org/stable/3512176> [უკანასკნელად გადამოწმდა 09.11.2022];
11. McCune, Cynthia A., Framing Reality: Shaping the news coverage of the 1996 Tennessee Debate on Teaching Evolution. Journal of Media and Religion, 2 (1), 2003;
12. მედიის განვითარების ფონდი, ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული თემების ასახვა მედიაში; 2010. [http://eurocommunicator.ge/mdf/uploads/BCG\\_kvleva.pdf](http://eurocommunicator.ge/mdf/uploads/BCG_kvleva.pdf) [უკანასკნელად გადამოწმდა 13.11.2022];
13. BCG Research, ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული თემების ასახვა მედიაში; 2010. [http://eurocommunicator.ge/mdf/uploads/BCG\\_kvleva.pdf](http://eurocommunicator.ge/mdf/uploads/BCG_kvleva.pdf) [უკანასკნელად გადამოწმდა 13.11.2022];
14. ინტერნიუსი - საქართველო, ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების გაშუქება პრესაში; 2012. [https://ge.boell.org/sites/default/files/downloads/Media\\_Monitoring\\_report\\_IV\\_Geo.pdf](https://ge.boell.org/sites/default/files/downloads/Media_Monitoring_report_IV_Geo.pdf) [უკანასკნელად გადამოწმდა 13.11.2022];
15. მედიის განვითარების ფონდი, სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციული გამოხატვის მონიტორინგი ქართულ მედიაში; 2013. [http://www.notophobia.ge/uploads/publications/2/file/Monitoring\\_Hate\\_Speech\\_and\\_Discrimination\\_in\\_Georgian\\_Media\\_GEO.pdf](http://www.notophobia.ge/uploads/publications/2/file/Monitoring_Hate_Speech_and_Discrimination_in_Georgian_Media_GEO.pdf) [უკანასკნელად გადამოწმდა 13.11.2022];
16. მედიის განვითარების ფონდი, სიძულვილის ენა - 2016 წლის ანგარიში; [http://mdfgeorgia.ge/uploads/library/55/file/Hate\\_Speech\\_GEO\\_\(1\).pdf](http://mdfgeorgia.ge/uploads/library/55/file/Hate_Speech_GEO_(1).pdf) [უკანასკნელად გადამოწმდა 13.11.2022];
17. ერთსულოვნება, <https://sstv.ge/about> [უკანასკნელად გადამოწმდა 12.11.2022];
18. ერთსულოვნება, <https://sstv.ge/shows> [უკანასკნელად გადამოწმდა 12.11.2022];



19. Declaration on the Elimination of All Forms of Intolerance and of Discrimination Based on Religion or Belief. United Nations (25.11.1981);  
<https://www.ohchr.org/sites/default/files/religion.pdf>. [უკანასკნელად გადამოწმდა 13.11.2022];
20. Religious Rights – International Legal Instruments, unesco.org,  
<https://www.ohchr.org/en/special-procedures/sr-religion-or-belief/international-standards>  
[უკანასკნელად გადამოწმდა 13.11.2022];
21. Freedom of religion | Religious discrimination, CCPR General Comment No. 22: Article 18 (Freedom of Thought, Conscience or Religion), UN Human Rights Committee (HRC), 30 July 1993, <https://www.refworld.org/docid/453883fb22.html> [უკანასკნელად გადამოწმდა 13.11.2022].

ISSN 2667 9892  
ჟიკ (udc) 001.5 ბ 75

